



ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№250 (309) 17-24 დეკემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თემი

ნაცნობი აყალ-მაყალი “უცნობ პუტინზე”, ანუ, მოთმინებითა უნითა...

(მთავარი რედაქტორის გვერდი)

დმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ ქართველებზე რომ ვთქვა – საკმაოდ სულსწრაფი ხალხი ვართ-მეთქი, არა მგონია რეალობის დამახინჯებად ან უპატიებელ ინსინუაციად ჩამეთვალოს.

დაიხ, ქართველები სულსწრაფები ვართ მტერ-მოყვარესთან ურთიერთობაში, რაც, სამწუხაროდ, ხშირად, მოყვარეს მტრად გადაგვიქცევს ხოლმე. მტერს კი – მოყვარედ.

კაცს დედა არ უყვარდა და დედინაც-ვალს იფიცებდაო, ზუსტად ასე ჩვენი საქმე. სწორედ ჩვენმა დაუფიქრებლობამ და სულსწრაფობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ჩვენს მოყვარედ ვეროამერიკელები მიაჩნია, “დაუძინებელ მტრებად” კი – რუსები!

როგორც იტყვიან, მაგ სიმართლით იაროს იმან, ვინც ჩვენს თანამოქალაქებს ეს გამრუდებული აზრი ჩაუტენა თავში. და თუ დღეს რუსები მართლაც ისე განგვიხილავენ, როგორც მტრებს, იქნებ ამის მიზეზი საკუთარ თავში ვეძიოთ და ყველაფერი სხვებს არ გადავაბრალოთ?! სწორედ ჩვენი სულსწრაფობის გამო შევაქციეთ ზურგი ზვიად გამსახურდიას და დაუფიქრებლად მოვიყვანეთ შევარდნაძე, მერე არც ის დავინდეთ და, ახლა უკვე სააკაშვილი გავადმერთეთ, რომელმაც, როგორც იტყვიან, ყუაზე დაიყვანა სრულიად საქართველო.

ბოლოს, როცა ყველა იმედი გადაგვწოწოდა, როგორც იქნა, გამოსწრაფა ადამიანი, რომელმაც თავიდან მოგვაშორა სატანა სააკაშვილი და არც იმაზე დავეფიქრებულავართ, რომ ივანიშვილის დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ საქართველო ხელში ჩაუვარდა ნაციონალებზე მეტად დიდ დამანგრეველ ძალას – რესპუბლიკელებს. ჩვენ კი, დაფიქრებისა და მომავლის თუნდაც ზერედე განჭვრეტის გარეშე ვსაყვედურობთ ქვეყნის მართლაც მსხველ (თუნდაც დროებით) ბიძინა ივანიშვილს: მტკვარი რქედ რატომ არ გვიქციე და თითო მილიონი დოლარი რატომ არ ჩამოგვირიგეთ!

სხვა საშუალები რომ არ დაგვადგეს, დმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს ამგვარ მკრეხელობას!

არც ის გვაფიქრებს, რომ პოლიტიკურ სანაგვეზე მოსწროლილი სისხლის სამართლის დამნაშავე ნაციონალები კვლავაც საეჭვოდ აქტიურობენ და რეანიმირებას ცდილობენ, რა თქმა უნდა, ამერიკელების უშუალო ხელშეწყობით.

ისინი ახლაც გაშლილ დანაზე რომ ურტყამენ ხელს – პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს და საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი უნდა გამოვაცხადოთო, როგორ გგონიათ, არ იციან ვის მახინჯ ტვინშია შემუშავებული ეს გეგმა? ძალიან კარგად იციან, მაგრამ თავადც დაშნაკები არიან და ამიტომაც ასრულებენ დიდი ხალხისთა და მონღოლების მათი წინაპრის დაშნაკების მსგავსად გვერებს.

მაინტერესებს, სად არიან ახლა ის ქუთაისელი “მეცნიერები” – გვანცვალაძეები, ფუტკარაძეები და სხვები, რომლების მგერელებს სეპარატისტებად და საქართველოს დამშლელ ძალად მოიხსენიებენ? როგორ დავიჯერო, იმდენად ბრყვები არიან, რომ ქვეყნის აკარგაში ოდნავდაც ვერ ერკვევიან? ნუთუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ სეპარატისმის უმაღლესი გამოვლინება სწორედაც რომ საქართველოს დედაქალაქის თბილისიდან ქუთაისში გა-

დატანაა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს განქართველებისა და გასომხების წინა პირობა იქნება!

ერთხელ მაინც დაეკითხონ ეს უბადრუკები საკუთარ თავს, თუ რატომ გადმოიტანა დავით აღმაშენებელმა, გიორგი ჭყონდიდელის რჩევით, ქვეყნის დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში!

ახლა, რაც შეეხება წიგნ “უცნობ პუტინს”, რომელმაც ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, რუსეთის პრეზიდენტზე ძალიან ბევრი რამ იწერებოდა და იწერება. ჩვენ გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის განცხადებებიც, სადაც იგი ქება-დიდებათ მოიხსენიებდა ვლადიმერ პუტინს, რომელმაც, მისი თქმით, რუსეთში ხელისუფლების ძლიერი ვერტიკალი შექმნა. შემდეგ ამ პირ-წავარდნილმა დაშნაკმა რიტორიკა სრულებით შეიცვალა.

რუსეთის პრეზიდენტზე გამოცემულ წიგნში თავმოყრილია ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, და ეს ძალიან კარგია, რადგან მკითხველს ეძლევა საშუალება, ერთგვარი შედარებები გააკეთოს და საკუთარი დასკვნები გამოიტანოს.

წიგნი კი გამოვიდა, მაგრამ, აქ ამბავი დატრიალდა – მტრისას!

ჩვენმა სულსწრაფმა თანამოქალაქებმა, ყოველგვარი ფიქრისა და მოვლენათა გაანალიზების გარეშე, რა არ გვიყოფეს: “მეხუთე კოლონაო”, “ქვეყნის მოდელატეხიო”, “რუსების მამებლებიო”. ჩვენ იმდენი რა უნდა ვაპოთ რუსებს, რაც სააკაშვილმა და მისმა ნაცხროვამ აპო, როცა 2008 წელს ომი წამოიწყო და რუსებს აფხაზეთისა და სამხაბლოს ცალკე სახელმწიფოებად გამოცხადების იურიდიული უფლება უბოძა. და თუ მართალია ერისა და ქვეყნის წინაშე სააკაშვილი, რატომ დატოვა ასე ქურდულად ქვეყანა?

შევარდნაძესაც არანაკლები დანაშაული მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ იგი არავის შეუწყუხებია. სააკაშვილს კი, საკუთარ ბანდასთან ერთად, იმდენად მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე, რომ იცის – ციხის კედლებს ვერ ასცდება!

არა და, აღნიშნული წიგნის გამოცემის სტიმული სრულიად უწყინარი და სასარგებლოც კი იყო.

წიგნი “უცნობი პუტინი” უნიკალურია იმით, რომ ეს – საქართველოში გამოსული პირველი გამოცემაა ვლადიმერ პუტინზე ქართულ ენაზე. კრებულის სათაური – “უცნობი პუტინი” – ნათლად მეტყველებს მისი გამოცემის ძირითად მიზანზე: რაც შეიძლება სრულად და მართლად გააცნოს ფართო ქართულ საზოგადოებრიობას დიდი რუსეთის – მეზობელი სახელმწიფოს, საქართველოს ისტორიული მფარველის ხელმძღვანელის პიროვნება, რადგან ბოლო ათწლეულში, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ტელეარხების დაბლოკვის შედეგად, ქართველი საზოგადოება მხოლოდ ცრუ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ სათანადოდ დამახინჯებულ და ცენზურა-გავლილ ინფორმაციას იღებდა თანამედროვეობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის და უდიდესი პოლიტიკოსის შესახებ, როგორადაც გვევლინება ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი. მაგრამ ყველაზე ინფორმირებული ინტერნეტ-მკითხველიც კი ამ წიგნში ბევრ საინტერესო, მისთვის აქამდე უცნობ ფაქტს და ინფორმაციას იპოვის, მაგალითად, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთ-

საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, სრულიად ბუნებრივია, საზოგადოების ნაწილის მხრიდან ემოციური თვალსაზრისით გამოცემაზე ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვიოს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ თუ გვინდა, ჩვენი ქვეყანა გადარჩეს, გადარჩეს საქართველოს დარჩენილი ნაწილი და სამომავლოდ საქართველოს გამოვლიანების პერსპექტივა შეიქმნას, რუსეთთან ურთიერთობები უნდა მოვაგვართო. მე გავიხსენებდი თავად ვლადიმერ ვლადიმერის ძის სიტყვებს, სადაც მან აღნიშნა, რომ თუ ქართველები და აფხაზები ან ქართველები და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები ოდესმე ერთ სახელმწიფოში ცხოვრებაზე შეთანხმდებიან, ეს მათი გადასაწყვეტიაო – პუტინმა ამ სიტყვებით ბევრი რამ თქვა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და საგულდისხმაოა. ამიტომაც ჩვენ ემოციები გვერდზე უნდა გადავდოთ და პრაგმატულად ვიმოქმედოთ. მოხარული ვარ, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა არ ჰყვება ყალბ პატრიოტულ პროვოკაციებს და მოთმინებით, ფრთხილად ავრძელებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გზას.

აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის წინასწარმეტყველებისა არ იყოს, აღნიშნულ წიგნს ქართული საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილი დადებითად შეხვდა, დიდი ნაწილი კი – უარყოფითად.

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება დღეს ორად არის გაყოფილი. თუ ადამიანი საღად აზროვნებს, მიხედვება, რომ პუტინი არის ის კაცი, რომელიც უზარმაზარ ქვეყანას კარგად მართავს. ზოგს უნდა, რომ საქართველო ამ უზარმაზარ იმპერიას ეჭიდაოს. ვიღაცამ თქვა კიდევაც, რომ ჩვენ ქართული დროშა კრემლის თავზე უნდა ავავსოთ – ეს ილუზიაში ცხოვრებაა. ნუ დაგვაიწყებება, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას პეტრე პირველის

სიღინჯე ბგმართებს!

ამირანივით ჩრდილმან ჩრდილოსმან
კვლავ მიგვაჯაჭვა კავკასიონს და
ისე დაგებორკა მავთულხლართებით,
დრო აღარ რჩება ხათრი-მათრების
და უსუსურად თავის მართლების.
აღმაშენებლის მოდგმის მართვენ—
აფხაზნი, ოგსნი, მეგრნი, ქართვენი,
სვანნი, რაჭველნი და ლეჩხუმლები,
ერთმანეთს თუ არ წაგვჩხუბებით,
მტრისთვის მოყვარეს არ ვჩხუბებით
და კვლავ დავრჩებით ალაღმართლები;
გურულ-იმერი და აჭარელი,
კახი, ხევსური, ფშავი, მოხევე
თუ შევერთდებით, –
დმერთი მოგხედვად
და წელში ლაღად გავიმართებით.
დღეს ჭყონდიდელის სიღინჯე გგმართებს,
ილია მართლის სიღინჯე გგმართებს,
უნეტარის სიღინჯე გგმართებს,
რომ ვძლიოთ ბორკილს და მავთულხლართებს.

ალექსანდრე შენაბელია

მეფობის შემდეგ ომი არ წაუგია და ამ სახელმწიფოსი მსოფლიოში ყველას ეშინოდა. ჩვენ რატომ ვცდილობთ მასთან ჭიდაობას, ჩემთვის გაუგებარია. მიმანჩია, რომ პუტინი არის უჭკვიანესი კაცი, რომელმაც რუსეთის იმპერია ელცინის მმართველობის შემდეგ ფეხზე დააყენა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინი არ არის ქართველთა მოძულე – ეს მან დაამტკიცა მაშინ, როდესაც საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობა ილია მეორეს უმასხინდა და მუხლმოყრილი ემთხვია ხელზე. შევადრეთ ეს საქციელი მიხეილ სააკაშვილის უზრდელობას, მახათას მთაზე ნარკოტიკებით თუ ელკოლით გაბჭუებული უბოდიშოდ რომ ჩაებერტყა უწმინდესის სავარძელში. პუტინთან საუბარი კი ნამდვილად შეიძლება და ეს გონიერმა ხელისუფალმა უნდა გამოიყენოს. წიგნში, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი, ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტი მოცემული და იმედოვნებ, საზოგადოება მის მიმართ დიდ ინტერესს გამოიხენს.

მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველ აუდიტორიას პუტინის სიტყვები: ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს ტერიტორიული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. ვიმეორებ არავთოზის ნათქვამს – პუტინი ის კაცი არ არის, რომ სააკაშვილივით დაუფიქრებლად ამბობდეს რამეს!

გონებისა და თვალის დიდი სიმახვილე არ სჭირდება იმის განჭვრეტას, რომ ამერიკას თანდათან მიეყვარებოდა აფხაზეთისა და სამხაბლოს აღიარებისაკენ, რადგან ნატო-ში არავის სჭირდება სახელმწიფო, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები გაჩნია. ამრიგად, ამერიკის პატრონაჟით აფხაზეთისა და სამხაბლოს აღიარება (პროსექსუალებისა და ლეგსოსელების მომძღვარებას რომ თავი გავანებოთ) მათ საბოლოოდ დაკარგავს ნიშნავს. რუსეთის პატრონაჟით მათი აღიარება კი ნიშნავს კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნას, სადაც საქართველოც, აფხაზეთიც და სამხაბლოც კვლავ ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში იქნებიან (თუმცა ამასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება!).

იქნებ ვინმე შემეძლოს, რომ ეს ასე არ არის, რა თქმა უნდა, გარდა ძველებურად მოთავსებულ ნაციონალებისა!

ქათქათა პერანგზე მოცხებული მახუთივით ვერ და ვერ მოვიშორეთ თავიდან ეს ვითომ გუგორიშვილები, თაქთაქიშვილები, ვაშაძეები, წერეთლები, კანდელაკები და სხვა უჯიშო დანი და ძმანი მათნი.

დღესაც ავგედითად დაგვჩხავიან თავს ეს მართლაც არამზადები და საკუთარ ქვეყანაში საკუთარ ნებაზე ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევენ.

მოკლედ, ზუსტად ნაციონალთა ამ ყოველად უგვანო და სულბინძურ ბანდაზეა ზედგამოტრიალი ყვარყვარე თუთაბერის სიტყვები, რომლითაც იგი თავის მეზობლებს კაკუტას და ქუნარას “ამკობს”: “არა, ძმაო, თქვენგან არაფერი არ გამოვა!” მართლაც არაფერი არ გამოვა თქვენისთანა ნამუსგარეცხილებისაგან, და თუ ყვარყვარემ ციხეში უკრა თავი კაკუტას და ქუნარას, თქვენ ხელერთობრად მტკვარში უნდა გადაგვართოთ კაცმა, მაგრამ მტკვარი აზერბაიჯანზე გადის და იქაურებს რომ ჩაუვარდეთ ხელში, ხომ იცით, როგორ მოექცევიან აზერბაიჯანელები სომხებს, თანაც თქვენნაირი უგვარებისა?

ამიტომ არ გვემეტებით მტკვარში გადასაყრელად, თან ბუნებასაც ვუფროთხილდებით, თქვენი ვესლით უწყინარი თვეზები რომ არ დაიწამლონ!

ბესლან კობახია: “უნდა შეწყდეს უზუი ოცნებები, რომ აღიარებამდე რამე შეიცვლება”

რა მოლოდინები აქვს აფხაზურ საზოგადოებას საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან, რას ელოდა ისინი საქართველოსგან, რამდენად მოსწონთ აფხაზებს აფხაზეთის მიწაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები, რუსული სამხედრო ქალაქები, რა პირობებში იზრდება აფხაზი ახალგაზრდობა რომელიც „თავიანთი სახელმწიფოს“ არაფრისთვის დათმობს არ აპირებენ. ამ და მრავალ სხვა საკითხებზე სააგენტო „ჯი-ეი-ენისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე ბესლან კობახია საუბრობს და საქართველოს ახალ პრეზიდენტს რჩევებსაც აძლევს.

– საქართველოს ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავრობა ჰყავს. თქვენ, როგორც გამოჩენილი აფხაზ საზოგადო მოღვაწე, გაცდობენ, რა მოლოდინები არსებობს აფხაზურ საზოგადოებაში საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ?

– გულწრფელად ვამბობ, რომ საქართველოდან მომავალი ახალი ამბები აფხაზეთისათვის პრიორიტეტული არ არის, ვინაიდან აფხაზეთს მრავალი თავისი შიდა ახალი ამბები აქვს, რომელიც გაცილებით უფრო აღელვებს ჩვენს მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვუყურებთ იმას თუ რა ხდება საქართველოში და შეფასება არის ასეთი: პირველად საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანად ცვლილება განხორციელდა და ამას ყველაფერს თან სდევს არა მხოლოდ ხელისუფლების ცვლილება არამედ მისი მმართველობის სტრუქტურის შეცვლა – საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა ხდება. არის შესაძლებელი რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო: გადავადგა ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ადგილი ახალგაზრდა პოლიტიკოსს დაუთმო. არ ვიცი ეს ყველაფერი სადამდე მივყავართ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ნორმალურად იქნება.

მაგრამ, ნებისმიერი ხელისუფლება ხომ ტრადიციებს ეყრდნობა, ტრადიციები კი თავის მხრივ დროის მდინარეებთან ერთად იქმნება. ბოლო 25 წლის განმავლობაში ის ტრადიცია, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიქმნა, რბილად რომ ვთქვათ არ აღგავრთოვანებს.

იმედს დავიტოვებ, რომ ის რაც ხდება დღეს ეს არის დასაწყისი რაღაც ახალი, კარგი ტრადიციის საპარლამენტო ქვეყნისა, სადაც ხელისუფლება უმტკივნეულოდ გადაეცემა ერთი ადამიანისგან მეორეს.

– რა კომენტარს გააკეთებთ საქართველოს არჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებაზე, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველო ისეთ საზოგადოებას შექმნის, რომ აფხაზები და ოსები თავად მისი სუბიექტები გახდებიან?

– მე მაინც მინდა გავაფრთხილო საქართველოს ახალი ხელმძღვანელი, თუ მას ჩემი რჩევა სჭირდება, დროა უკვე იღუბოები დასრულდეს. უკვე მივიდა დრო პრაგმატული მოქმედებებისა და პრაგმატული აზროვნებისა.

უკვე 20 წელზე მეტია აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მას განვითარების საკუთარი გზა აქვს არჩეული ანუ ეს დემოკრატიული სახელმწიფოს აქნება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზური სახელმწიფო მტრულადაა განწყობილი ქართული სახელმწიფოსადმი – აბსოლუტურად არა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა აფხაზი ხალხის მიერ და დადასტურებული რეფერენდუმით და სრულად შეესაბამება საქართველოს პრაქტიკას, რომელიც ხალხთა თვითგამორკვევას ეხება. ამ თვალსაზრისით აფხაზმა ხალხმა აირჩია თავისი გზა და უკვე 20 წელზე მეტი ხანია ამ გზაზე მიდის. ის თავის სახელმწიფოებრიობას აშენებს. თაობა, რომელიც გაიზარდა, გაიზარდა სწორედ ამ პარადიგმაში და არაფერი სხვა მათ არ იცინა. აფხაზურ სახელმწიფოს ჩვენი ახალგაზრდობა არავის დაუთმობს. საუბარია არა მხოლოდ საქართველოზე, ვინაიდან გარე-სამყაროში ბევრი რისკია ჩვენი სახელმწიფოსათვის, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს სწამთ თავიანთი სახელმწიფოსა.

ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაცილებით უფრო პრაგმატული იქნებოდა დავსრულებინათ ბოლო 25-30 წლის ჩვენი ეს ტრაგიკული ისტორია, გადავშალათ ეს ფურცელი და ეცადოთ დაეწყო ურთიერთობების მშენებლობა ახალ საფუძველზე, რომელიც ახლა შექმნილ რეალობას დაეყრდნობა. რეალობა კი შემდეგნაირია: არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო – აფხაზეთი და არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველო. ჩვენ ხელი უნდა მოვაწყოთ შეთანხმებებს ჩვენს შორის და განვავითაროთ ურთიერთობები. თუ ეს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაკეთდება ეს შესაძლოა გახდეს იმპულსი ურთიერთობების ხელახალი აღორძინებისა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ პატივისცემაზე და კეთილგაწყობაზე იქნება დაამყარებული.

– აფხაზური საზოგადოება ახსენეთ და მინდა გკითხოთ... საქართველო ვითარდება, ჩვენთან მართალია თანდათან, მაგრამ ცხოვრების დონე უმჯობესდება, წინ მივდივართ, მომავალ წელს ვერთგავართავთ ასოციაციებს, წევრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასაც ველოთ. არსებობს აფხაზური საზოგადოების ნაწილი, რომელიც სარკველობს

ყველა იმ სიკეთით, რომელსაც მათ საქართველო სთავაზობს... ისინი ჩამოდიან, ისვენებენ აქ, სწავლობენ და მკურნალობენ აქ. თუ მათი რაოდენობა გაიზარდება და ისინი საქართველოსთან თანაცხოვრებას მონიშნავენ აფხაზეთის ხელმძღვანელობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წავა?

– მე არ ვიცი, თქვენ რა ფაქტებს ეყრდნობით, თუმცა, ერთეული შემთხვევები რა თქმა უნდა არსებობს. ჩვენი საზოგადოებრივი ალიზებულია იმდენად, რომ რა თქმა უნდა ვიდაც მიდის საქართველოში, ვიდაც საქართველოდან ჩამოდიან აფხაზეთში, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია. ერთი, ორი, სამი, გნებავთ ათი გენაბათ ახი ადამიანი. მე თქვენ კი ზოგადად აფხაზი ხალხის განწყობის შესახებ გესაუბრებით.

აფხაზი ხალხი საერთოდ არ აპირებს შუადღი პქონდეს ვინმესთან ამ მსოფლიოში. ჩვენ ვმეგობრობთ და ვურთიერთობთ მათთან ვინც ჩვენ გვაძლავს. აი შეხედეთ, როგორ ურთიერთობენ გვაქვს დამყარებული რუსეთის ფედერაციასთან. უზარმაზარი სახელმწიფო 140 მილიონი ადამიანი და პატარა აფხაზეთი 300 ათასი ადამიანი, რომელიც ჩვენიანს ცხოვრობს. ამაღროდელად ჩვენს შორის უკვე ხელმოწერილია 80-ზე მეტი, დაახლოებით ახი, – მე მინდა ციფრებში არ შემეშალოს, – სახელმწიფოთა შორის შეთანხმება, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ყველა სფეროს არეგულირებს. პერიოდულად, ურთიერთობების განვითარების დროს, რაღაც კითხვები წარმოიშობა, რომლებიც მოლაპარაკებათა მაგიდასთან წყდება და თავად მოლაპარაკებები ყოველთვის მიმდინარეობს კონსტრუქციულად. ყოველგვარი ანტიგონიზმის გარეშე და გამოსავალი ყოველთვის იძებნება. აი, რა მაგალითის მძიმეა დღეს რუსეთის ფედერაცია. და რატომ არ უნდა დაგაშინოთ ურთიერთობები აფხაზეთსა და საქართველოს შორის სწორედ ამ მიმართულებით?!

ჩვენ მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს საერთო და ჩვენს ხალხებს ძალიან ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კავშირებმა ვერ იმოქმედა 20 წლის წინ, როდესაც სახელმწიფო საბჭოს ჯარი შევიდა აფხაზეთში და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება დაიწყო. გესმით, არ შეიძლება ასე უბრალოდ შემოვიდეთ, უამრავი რაოდენობის ადამიანი დახოცო, მთელი აფხაზეთი 20 წლის წინ სასაფლაოდ იყო ქცეული, განადგურებული მთელი ეკონომიკა...

– ერთი წუთით, ჩვენ ახლა ომზე არ ვსაუბრობთ და, მოდი, არ გვიანდა ამ საკითხებზე საუბარი...

– მე მინდა კონსტრუქციული ვიყო, აქეთ მივდივარ... მიმაჩნია, რომ არავითარი სხვა გამოსავალი, გარდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დღეს არ არსებობს. ეს ნაბიჯი გაბედულმა პოლიტიკოსმა, გაბედულმა ადამიანმა უნდა გადადგას. საქართველოში უნდა გამოიწიდეს დე კოლის მასშტაბის პოლიტიკოსი, რომელმაც თავის დროზე უარი თქვა ტუნისზე, ლიბიაზე თუ არ ვცდები და ახალი პოლიტიკოსი გატარება დაიწყო. შედეგად, მან პრეზიდენტის თანამდებობა დაკარგა, მაგრამ ცხოვრებამ აჩვენა, რომ მისი არჩევა იყო სწორი იყო. იმიტომ, რომ დღეს არავითარი ანტიგონიზმი აფრიკულ ქვეყნებსა (რომლებიც მაშინ საფრანგეთის კოლონიები იყვნენ) და საფრანგეთს შორის არ არის. პირიქით, მათ შორის ნორმალური ურთიერთობებია.

მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი დონის პოლიტიკოსი აცილებლად უნდა გამოიწიდეს საქართველოში, იმიტომ, რომ ეს არის ის, რასაც დრო გვაკარნახობს დღეს. იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ ვერ გამოვალთ 20 წლის წინანდელი მოვლენებიდან.

– რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობა მაგალითად მოვიყვანო, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო უარს აცხადებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. რა მოცულობის მხრიდან აღიარება თუ ჩვეულებრივ მოქალაქე აფხაზეთში არ აქვს საშუალება ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომელიც დღეს თანამედროვე მსოფლიოში არსებობს და ხდება. მთელი მსოფლიო რუსეთია თქვენთვის?

– რატომ მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთს არ აქვს საშუალება ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით რაც დღეს თანამედროვე მსოფლიოში ხდება? თქვენ რაღაც მცდარი წარმოდგენები გაქვთ თანამედროვე აფხაზეთის ცხოვრებაზე. პირიქით, ყველა გზა განსწილი გვაქვს მსოფლიოში და ყველაფერი დადგინდეს და ყველაფერი ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ჩვენ ამაში პერიოდულად ხელს გვიშლის არის სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო. რამდენიმე რამეს ჩამოკითხვით კიდევ, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს იერსახეს საერთოდ არ შეესაბამება. მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენი სტრუქტურისათვის პერიოდულად ხელის შეშლას ცდილობენ იმაში, რომ მათ ვერ მიიღონ ვიზა კარგ ვეროვალ სასწავლებლებში განათლების დასაუფლებლად. – ერთ-ერთი რაც ვიგულისხმებ სწორედ ეს იყო... საქართველო ამას ყოველთვის ეწინააღმდეგება. რაღაც კულტურულ დონის მიხედვით ვატარებთ, მაგალითად გაერმანიაში ვიყავი 2 წლის წინ. იქ ცვადა საქართველოს საელჩო და გაერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელი შეეშალათ ამ დონის მიხედვით ჩატარებაში.

ჩვენი ავადმყოფები, რომლებიც ცდილობენ გავიდნენ სამკურნალოდ ვეროპულ კლინიკებში ასევე სამწუხაროდ აწვდებიან წინააღმდეგობებს იმის გამო, რომ საქართველო ყოველივე ამის გამო პროტესტს აცხადებს. საბავშვო კოლეჯებში გამოდიოდნენ ბულგარეთში, თურქეთში არ მისცეს ბავშვებს გამოსვლის საშუალება. ყოველივე ეს აფხაზეთისა და საქართველოს პოზიციების დახლეობას ხელს არ უწყობს და პირიქით, ეს ჩვენ ერთმანეთისგან გვაცილებს. მიმაჩნია, რომ გაცილებით უფრო კონსტრუქციული იქნება დასრულებებს მთელი ეს ისტორია, ხელი მოეწერის სამშვიდობო შეთანხმებას და დაიწყო ურთიერთობების განვითარება. თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ ამ შემთხვევაში რა შესაძლებლობები გაიხსნება საქართველოსთვისაც და აფხაზეთისთვისაც. იმიტომ, რომ ჩვენ ხომ მოსახლდრდეთ ვართ. აქ არის ენგურაჰესი, ნახეთ რამდენი კომუნიკაციაა მის ირგვლივ არის საავტომობილო გზა, არის რკინიგზა, არის პორტები ფოთის, სოხუმის, არის საშუალება ოჩამჩირის პორტის განვითარებისა, არის საშუალება დაიწყო პორტების რეალიზაცია ჩრდილოკავკასიის გზის მიმართულებით. ეს ხომ მასწავლებელი საინვესტიციო პროექტებია, რომელთა ამოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ და თქვენ შევიძლებთ და გამოვალთ ჩვენი ურთიერთობების ჩიხი-დახი, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ ერთია – ურთიერთდადობა, სამშვიდობო და ეკონომიკური ურთიერთქმედების შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერა. ამ შემთხვევაში ჩნდება შესაძლებლობების მასა, რომელიც ათეულობით ათასი სამუშაო ადგილის შექმნასთან არის დაკავშირებული, რაც დღეს ძალიან მწვავედ სჭირდება, როგორც საქართველოს ისე აფხაზეთს.

– როგორც აფხაზეთის პატრიოტს გეკითხებით. პირდაპირ თქვენთვის და პატრიოტულად განწყობილი აფხაზური საზოგადოებისათვის, რამდენად მისაღებია და მოსაწონია რუსული ბაზები, რომელიც დღეს აფხაზეთის მიწაზე უფრდება, რუსული სამხედრო ქალაქები, რომლებსაც რუსეთი თავისი სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის აფხაზეთში მიწაზე აშენებს... იქნება ისეთი შთაბეჭდილება რომ რუსეთი აფხაზეთის ტერიტორიას არ დატოვებს. მინ-ტერიტორია, თქვენ ეს მოგწონს?

– მინდა გითხრა, რომ ყველაფერი ის რაც დღეს აფხაზეთში ხდება არის შედეგი იმ მოვლენებისა, რომლებიც 20 წლის წინ მოხდა – ეს ერთი. მეორე – გარდა აფხაზეთის და გარდა საქართველოს ინტერესისა არსებობს კიდევ მსხვილი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები. მხედველობაში მაქვს რუსეთი, რა თქმა უნდა, მხედველობაში ასევე მაქვს ევროკავშირი და აშშ. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ ამ თემებში იღივალა ყველა ამ დიდი სახელმწიფოს ინტერესი. აფხაზეთი დღეს მოქმედებს ისე, როგორც მათ შეუძლიათ იმოქმედონ ამ სიტუაციაში, ჩვენ პრაქტიკულად სხვა გამოსავალიც არ გვაქვს. დღეს, რუსეთის ფედერაცია არის სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთის მოსახლეობას უსაფრთხოებას, ხოლო რა მისცა მაგალითად აფხაზეთის აღიარებამ რუსეთის ფედერაციას, მე მინდა და ასეც არის აღბათ, ამას მას საშუალება მისცა დეკლარატივად განეთავსებინა თავისი სამხედრო კონტინენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის მთავრობასთან გაფორმებული სამხედრო შეთანხმებით. მიმაჩნია, რომ ეს ბაზები, რომლებიც იქ დგას არ არის მიმართული საქართველოს წინააღმდეგ. ეს ბაზები წვედენს აბსოლუტურად სხვა გლობალურ ამოცანას – რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების დაცვას. ასე რომ, არსებობს ნატო, არსებობს დაპირისპირება მსოფლიოში... დაპირისპირება არ რეგონში გრძელდება და არაფერი გასაკვირი არაა ის, ჩვენი და თქვენი ამოცანა კი არის ის, რომ ავაშენოთ ურთიერთობა ისე, რომ ეს მოხდეს იყოს ჩვენი სახელმწიფოებისათვის – ქართული სახელმწიფოსთვის და აფხაზური სახელმწიფოსთვის. ამიტომაც არ არის საჭირო ამაში ტრაგედიის დანახვა, რადგან არის ისე როგორც არის, ხოლო ჩვენთვის კი აუცილებელია ურთიერთშორის ნორმალური ურთიერთობები გავიდეთ.

ერთი მარტივი რამე გაიკეთო, შესაძლოა გლობალურ მსოფლიოში ჩვენ არაფერს ვნიშნავთ აფხაზეთი და საქართველო, მაგრამ თუ ჩვენ შევძლებთ ამოვიღოთ ჩვენი ურთიერთობების ჩიხიდან და შევიძლებთ ურთიერთობების დადასტურებას ერთმანეთში ამას მთელს კავკასიაში სიტუაციის ცვლილება მოჰყვება. საერთოდ შეიძლება სიტუაცია – ეს გაუფრთხილ და მაშინ საქართველო და აფხაზეთიც სულ სხვანაირად გამოიწივდება.

– აფხაზური საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი აფხაზური ენის, თვითმყოფადობისა და ენის შენარჩუნებაა. რბილად რომ ვთქვათ, თქვენ ძალზე ახლო ურთიერთობები რუსეთთან ხომ არ აყენებს პატარა ერს ასიმილაციის ან გაქრობის საფრხის წინაშე?

90 % იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი სამშობლო დღემდე ვერაძობთ.

თუმცა, ჩვენ დღეს გვაქვს მთავარი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ ჩვენ არ გავქრეთ ამ მსოფლიოში და ამ ინსტრუმენტს ჰქვია – აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენ დღეს მხარს ვუჭერთ ისეთ პოლიტიკას, რომ დაიწყო ჩვენი მოქალაქეების რეპარტიაცია. ეს პროცესი დაიწყო და ხალხი თანდათან, ვისაც სურვილი აქვს ბრუნდება და აფხაზური სახელმწიფოც თავისი მოკრძალებული შესაძლებლობებით ცდილობს მათი ნორმალური პირობები შეუქმნას – ეს ერთი. მეორე – თანამედროვე მსოფლიოს პირობებში სულაც არ არის აუცილებელი ყველა აფხაზი აფხაზეთში მოაგვროთ. ეს ამოცანა ყველა ქართველის საქართველოში მოგროვებისა.

უბრალოდ ყველა აფხაზისა და ყველა ქართველს უფლებაა თავისი ქვეყნის მოქალაქეობა აქონდეს. ეს ჩვენს კონსტიტუციაში დაფიქსირებულია, რომ ნებისმიერ კონკურს აფხაზს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების უფლება აქვს. ჩვენ ამ გზით მივდივართ. რა თქმა უნდა, რისკი ჩვენი ხალხისთვის ბევრია, თუმცა მე რატომღაც მჯონია, რომ ვინაირი უნდა პოლიტიკის წყალობით ჩვენ ყველა სიძულვილის გადაღახვას შევძლებთ.

– როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი ურთიერთობები თუნდაც ხილულ მომავალში? მჯონია, რომ ადრე თუ გვიან ჩვენს შორის გაფორმდება სამშვიდობო ხელშეკრულება და ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვექმნება. ძალიან გთხოვთ, მიიტანეთ ქართულ საზოგადოებად, რომ ჩვენ, აფხაზეთში, ახალგაზრდობას ქართველების, საქართველოსადმი და ყოველივე ქართულისადმი სიძულვილის პირობებში არ ვზრდით. ჩვენ უბრალოდ ჩვენს სახელმწიფოს ვაშენებთ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია. ეს ჩვენი ძირითადი მიზანია. ნებისმიერი ხალხი რომელიც თავისი გადარჩენისათვის იბრძვის, ასევე მხოლოდ სიმპატიას იმსახურებს. აფხაზური სახელმწიფო არავის არ ეშუქება მსოფლიოში. ამიტომ უნდა დავასრულოთ ეს ისტორია – სხვა გზა არ არსებობს. სხვა ვარიანტებია, რომლითაც ადრე საქართველოს წინა ხელისუფლება ხალხს ატყუებდა, ფუჭი ილუზიების უქმნიდა და ეუბნებოდა, რომ თავის დროზე ყველაფერი შეიცვლება, უნდა შეჩერდეს – არაფერი არ შეიცვლება. იმისათვის რომ ყველაფერი შეიცვალოს კარდინალური მოქმედებებია საჭირო. კარდინალური ქმედებები კი არის: პირველი – ომის განხილვა, რომელიც 1992-1993 წლებში მიმდინარეობდა და მისი შედეგებია, როგორც დანაშაულის, ჩადენილს აფხაზი და ქართველი ხალხის წინააღმდეგ – ეს ჩემი დრმა რწმუნაა. მეორე – საქართველოში უნდა ჩატარდეს სასამართლო სხდომები, სადაც გასამართლებული იქნებიან ისინი ვინც აფხაზეთში ჯარის შეყვანის გადაწყვეტილება მიიღო და მესამე – მე ვფიქრობ, რომ ომი დაიწყო თბილისში, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთში ჯარის შეყვანის შესახებ და ომი იქვე უნდა დასრულდეს, თბილისში, პარლამენტის სხდომაზე. იმ პარლამენტის სხდომაზე, რომელმაც შესაძამისი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. ხოლო თუ ყველაფერი ეს შესრულდა აქედან უკვე გამომდინარეობს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მასთან მსოფლიოში მიღებული ყველა შეთანხმების გაფორმება.

– თქვენ ახლა მითხრით, რომ არც აფხაზი ახალგაზრდობას ზრდით ქართველებისადმი სიძულვილით და ზოგადად ხაზი გაუსვით რომ აფხაზეთი თანამშრომლობისთვის ღიაა. მე მაგალითად, საქართველოს მოქალაქეს აფხაზეთში არ მიშვებენ, გნებავთ პირადი და, გნებავთ, პროფესიული მიზნებით. მე ხომ არ მოვიდებო ატომობით, მე ფურცელი და კალამი მაქვს თან. ეს რა პოლიტიკაა?

– იცით, მინდა გესმოდეთ, რომ არა მხოლოდ ეს საკითხი, არამედ მრავალი სხვა საკითხი, როდესაც ადამიანი მიდის თბილისიდან ეს საკითხი მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილება, ამ სიტუაციაში, როდესაც ჩვენ ფაქტურად ომის პირობებში ვიმყოფებით. ჩვენ მშვიდად მხოლოდ 5 წელია რაც გვიძინავს. ვიდრე არ იყო რუსული ჯარი აფხაზეთში თავად იცავდნენ საზღვარს, მსახურობდნენ ჯარში და ასე მხედველობით იდგნენ ენგურზე და ეს ყველაფერი 15 წელიწადს გრძელდებოდა 1992 წლიდან. ამ სიტუაციაში, ნებისმიერი ისეთი განცხადება, რომელზეც თქვენ საუბრობთ სწორედ ამ თვალსაზრისით იქნება აღქმული. ხოლო როგორც კი ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ ყველაფერი დასრულდა, რომ ყველაფერი ეს წარსულშია, ყველაფერი დაგმობილია და დასჯილი და მიღებულია გადაწყვეტილება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ და ხელმოწერილია შეთანხმება ერთობლივი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, ყველა ეს საკითხი პოლიტიკური სფეროდან პუბლიცურულში ირაციონალიზდება. ამის მეორე უკვე, კი ბატონო თუ ჩვენ ვმეგობრობთ, თუ ჩვენ ვთანამშრომლობთ და თუ ჩვენ ერთმანეთს ვღიარებთ რატომაც არა, რა თქმა უნდა ადამიანები იღიან აფხაზეთშიც, აფხაზეთიდან საქართველოშიც და ამის აღქმა ისეთი არ იქნება როგორც დღეს, მაგრამ აქამდე უნდა მივიდეთ.

ესაუბრა მანაშიაშვილი მირიანაშვილი, სამცხე-ჯავახეთის

ამბები სამეგრელოდან

ხოვში ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

26 ნოემბერს ქსობში ცოტნე დადიანის, 9 აპრილის, ბერიას, სტალინის ქუჩები დათვალიერეს გამგებელმა გონა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილეებმა ბადრი ჯობავამ და ედიშერ ჯობავამ. ქალაქში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ ხდება სანიაღვრე არხების გაყვანა, ქვაფენილების დაგება, კიუეტების მოწყობა, ავტომაქანების პარკირების ადგილების კეთილმოწყობა.

დიანა ლომიას მორიგი წარმატება

ქუთაისში ჩატარდა საჭადრაკო ფესტივალი „**მაია ჩიბურდანიძის თასი-2013**“. ფესტივალის პროგრამით გაიმართა აბსოლუტური ტურნირები მამაკაცთა და ქალთა შორის და ასევე 14, 12, 10 და 8 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. მასში 160-მდე მოჭადრაკე ასპარეზობდა. ფესტივალში 8 წლამდე გოგონათა შორის მონაწილეობდა ხობელი მოჭადრაკე დიანა ლომია, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებმა ულოცავს საამაყო ნორჩ მოჭადრაკეს დიანა ლომიას გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

კულტურისა და კვლავი დაცვის მინისტრი ბურამ ოდიშარია ზუგდიდში

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ზუგდიდში იმყოფებოდა. მან დადიანისეული სასახლეები მონახულა და სასახლის მიმდებარე გაყიდული მიწის ნაკვეთის დეტალური ინფორმაციით დაინტერესდა. მინისტრს გაყიდული მიწის ნაკვეთის

შესახებ დოკუმენტური მასალები ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ედიშერ თოლორაიამ და მუხუშუმის დირექტორმა ლილი ბერაიამ მიაწოდეს.

მინისტრ ოდიშარიას განმარტებით მოხდება განხილვა დადიანისეული მიწების თაობაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან.

საზეიმო კონცერტი ზუგდიდში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „**ოდიში**“-ს კულტურის სასახლეში (ყოფილი კომბინატის კულტურის სახლი) გაიმართა საზეიმო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს:

- სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „**ჩელა**“;
- ფოლკლორულმა ანსამბლმა „**ოღოია**“;
- უხუცესთა ანსამბლმა „**ოღოია**“;
- ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „**ცისკარი**“;
- ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „**თუთარჩელა**“;
- ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „**სიჭაბუკე**“.

ავტოავარიას მამაკაცი ემსხვერპლა

ქუთაისში მომხდარ ავტოავარიას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა – ჟურნალისტი ემა გოგოხია საკუთარი ავტომანქანით ფეხით მოსიარულეს დაეჯახა, რომელიც მიყენებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, რომლებმაც მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.

შენგენის საზოგადოება „სენაკელის“ აქტივით

ქალაქ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის შენგენში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ გონა დგებუაძის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა საზოგადოება „**სენაკელის**“ აქტივისტებთან.

შეხვედრა გახსნა საზოგადოება „**სენაკელი**“ თავმჯდომარემ რეზო ჯანჯღავამ. წამოჭრილი საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების გამგებლის წევრებმა: ოთარ კოხიამ, მურმან ბელქანიამ, ანზორ ცაგურიამ, ლევან ხუხუამ, თენგიზ ახალიამ, ზურაბ ჭანტურია, გურამ სიჭინავამ, გული ჭანტურია.

საზოგადოების წევრებმა განსაკუთრებული სიმწვავეთ ადინიშნეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ხშირად გამოდის საზოგადოების სახელით, ავრცელებს ჭორებს და აუგად იხსენიებენ რაიონის ხელმძღვანელობას. „**სენაკელები**“ ერთხმად გმობენ ასეთ გამოსვლებს და აცხადებენ, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს არავითარი საერთო არ აქვს საზოგადოებასთან, არ ეთანხმებიან და არ იზიარებენ ასეთ გამონათქვამებს. მწვავედ დაისვა საკითხი ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების აუცილებლობაზე პირველ რიგში საჭიროა მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა.

ადინიშნა, რომ წყალდიდობისა და ხარაღებულებულთა უმრავლესობამ კომპუნაციის სახით საკმაოდ მაღალი თანხები მიიღო, ასევე დიდი რაოდენობით ასიგნება გამოიყო წვიმების შედეგად დაზიანებული ქალაქის ინფრასტრუქტურის აღსადგენად. ამჟამად ეს სამუშაოები საკმაოდ ხარისხიანად მიმდინარეობს.

დასასრულს ბატონმა გონა დგებუაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისა და გვერდში დგომისათვის,

ამასთან ითხოვა უფრო გააქტიურდნენ რაიონის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში. მან დაწვრილებით ილაპარაკა მომდევნო წლისათვის ქალაქსა და სოფლებში გასატარებულ ღონისძიებებზე. მედიცინისა და სხვა დარგის განვითარების პერსპექტივებზე, მოსახლეობის დასაქმების მაქიმალურ უზრუნველყოფაზე.

საჩუქარი კვების მიმდებარე

გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება უკვე ტრადიციად იქცა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „**სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი**“, მკვების მიმდებ ბენეფიციარებს დაურიგეს ტბილეთის და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის თანადგომით მოუწვევს ღამიანი ღონისძიება.

პროექტის პრეზენტაცია

სენაკის გამგებობაში ჩატარდა შეხვედრა პროექტი „**ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის**“ ფარგლებში სენაკის 3 თემის (ნოქალაქეი, ნოსირი და ახალსოფელი) წარმომადგენელთა პრეზენტაცია თემში არსებულ პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. პროექტი ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროგრამის „**გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში**“ მხარდაჭერით პროექტს ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ასოციაცია „**ათინათონ**“ პარტნიორობით. შეხვედრას ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ.შ გონა დგებუაძე, საკრებულოსა და გამგებობის წარმომადგენლები. სამიზნე თემების რწმუნებულები.

ქართული ღვინის იმპორტით რუსეთი კვლავ ღიღერობს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2013 წლის ივნისიდან სექტემბრამდე საქართველომ რუსეთში 8 მლნ 917.7 ათასი ბოთლი ნატურალური ყურძნის წვენი ექსპორტირება მოახდინა, რამაც მიმდინარე წლის 9 თვის განავლობაში მისი ექსპორტის მთლიანი მოცულობის 33.7% შეადგინა. ამის შესახებ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო იუწყება.

რუსეთის პრესამ არაერთგზის ადინიშნა, რომ დამყარდა თავისებური „**რეკორდი**“, – მოსკოვის მაღაზიებში შეტანილი ნახევარ მილიონამდე ბოთლი ქართული ღვინო გაიყიდა სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში!

შესაბამისად, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთი კვლავ იქცა ქართული ღვინის უმსხვილეს იმპორტიორად, – ადინიშნეს უწყებაში.

სულ, წლის დასაწყისიდან საქართველომ 26 მლნ 458.7 ათასი ბოთლი გაიტანა ექსპორტზე, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 71%-ით აჭარბებს.

შეგახსენებთ, რომ ქართული ღვინის ექსპორტი 49 ქვეყნის ბაზარზე ხორციელდება.

მართალია, ავადსახსენებელი „**ნაციონალები**“ კვლავაც ძველებური მონღოლებით ფაყანებენ, რომ ღვინოს მიზეზით ადგილი უკავია ქართულ ეკონომიკაში, მაგრამ აქ მთავარია არა ის, თუ რამდენი ბოთლი ღვინო ან კონიაკი გაიყიდება რუსეთის მაღაზიებში, არამედ ის, რომ საქართველო კვლავაც იბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს რუსეთის ბაზარზე და მეხოტბობს შორის თანდათან ვითარდება ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების პროცესი.

სწორედ ადინიშნულზე მეტყველებს გაზეთის ამავე გვერდზე გამოქვეყნებული მომდევნო ინფორმაციაც.



მიხეილ მარბელოვი: „მოგა დრო და ქართველ პარლამენტარებს მოსკოვში უმასპინძლებენ“

მოგა დრო, როდესაც ქართველ პარლამენტარებს მოსკოვში გაუმასპინძლებდებიან და რუს დეპუტატებსაც მიიღებენ თბილისში, – ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელმა მიხეილ მარბელოვმა ლონდონში, **Chatham House**-ის ინსტიტუტში გააკეთა, სადაც მას ქართულ სოფლებში, გამყოფ ხაზთან მათუღხლართების გაბმავაზე განმარტებებს გაკეთება სთხოვეს.

“**2003 თუ 2004 წლებში, პანკისის ხეობაში არსებული პრობლემების დროს, ძალზედ დაძაბული ურთიერთობის ფონზე, საქართველო და რუსეთი ომის დაწყების პირას იყვნენ. მაშინ ჩვენ მართებული ნაბიჯები გადავდგით და მოვახერხეთ, რომ სტრასბურგში პანკისის ხეობაში არსებული სიტუაცია განეხილეთ. ამ საერთო პოლიტიკურმა ძალისხმევამ შედეგი დროულად გამოიღო. ვფიქრობ, მაშინ ჩვენ სერიოზული სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილება მოვახერხეთ, თუმცა სამწუხაროდ, ეს 2008 წელს ვეღარ მოხერხდა. მეჯერა, მოგა დრო, როდესაც გაეუმასპინძლებით ქართველ პარლამენტარებს მოსკოვში და, ასევე, ჩვენც მიგვიღებენ თბილისში. ვფიქრობ, საქართველოში ვითარება საკმაოდ პოზიტიურად ვითარდება. სწორი მიმართულებით მიდის ხიდების ადდგენის მცდელობა რუსეთ-საქართველოს შორის. სხვათა შორის, მოსკოვში მე ყოველწლიურად მაქვს საშუალება ვისიამოვნო ბორჯომის მინერალური წყლით და მე ეს მომწონს”, – განაცხადა მარბელოვმა კონფერენციაზე, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა.**

მიუსაფართა პირველი თავშესაფარი თბილისში მოსკოვის პროსპექტზე მოეწყო

11 დეკემბერს მოსკოვის პროსპექტის დასაწყისში მიუსაფართა პირველი თავშესაფარი ამოქმედდა. უკვე დადგმულია 4 საცხოვრებელი კარავი, სადაც 80 მიუსაფარის განთავსება შეესაძლებელია. კარავები აღჭურვილია შეშის დუმილით, საწოლებით, ლეიბებით, პლედეებით და მიეწოდება ელექტროენერგია. ამავე ტერიტორიაზე განთავსდა 80-კაციანი კარავი, რომელიც სახაიდლო ოთახის ფუნქციით დაიტვირთება. თავშესაფარის მოწყობაში აქტიურად არიან ჩართული რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროები. მობილიზებულია სამაშველო სამსახური და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი (112).

იმავე საღამოს საპატრულო პოლიციის კეიპაუბმა უკვე დაიწყო მიუსაფართა ადამიანების თავშესაფარში მიყვანა და განთავსება.

გარდა სამთავრობო უწყებებისა, მიუსაფართა დახმარების შესაძლებლობა მიეცემა ყველა იმ საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციას თუ მოქალაქეს, რომელსაც ამ ადამიანთა მხარდაჭერა სურს. მათ შეუძლიათ საკვებით, ტანსაცმლითა თუ ნებისმიერ სხვა საჭირო ნივთებით დაეხმარონ თავშესაფარში განთავსებულ მიუსაფარ ადამიანებს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ღონისძიება პირველად მოეწყო საქართველოში მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. საინტერესოა, რას იტყვის ყოველივე ადინიშნულზე საკუთარი თანამოქალაქეების ძარცვა-ყველეფაში გაწაფული, თბილისის მერად წოდებული პირმორღვეული არარაობა, „**კარგო თბილისელი**“ გიგი უბუღავა, რომელიც ახალი ხელისუფლების გაუთავებელ ღანძლა-გინებაში ათენ-აღამებს. მას ხომ არასოდეს მოსვლია აზრად მიუსაფარ ადამიანთა ხელშეწყობა და, პირიქით, ღამის მიუსაფარად ხდიდა თბილისელებს ნაგვის გადასახადის დენზე მიბმით და სხვა სიხარბემოძალგებული „**ანტი-თბილისური**“ მანიპულაციებით.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგითხრობთ იმაზე, თუ როგორ უზნოდ აცლის პირიდან ლუკმას თბილისის მოსახლეობას ეს პირწავარდნილი მომხვეჭელი და, პარალელურად, როგორ თავხედურად მარცვავს თბილისის ბიუჯეტსაც, მის მიერვე შექმნილი კოლექტიური ყანადის „**სიტპარკის**“ მეშვეობით.



4 ათასი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე – შუამრები, ურარტუ და ქართველები

600-მდე ქართველის კვლევის შედეგად მიღებული ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორია

ქართველები არიან უძველესი ცივილიზაციების – ურარტუს, ქალდეებისა და შუმერების გენეტიკური მემკვიდრეები და დღეს არსებული ერებიდან ის ქურთებს, ებრაელებს, არაბებსა და ჩეჩენ-ინგუშებს ენათესავებიან, – ასეთია კავკასიელთა ეთნოგენეზისის სამეცნიერო კვლევის ცენტრის დასკვნა.

როგორც კვლევის ცენტრის დირექტორი, საეკლესიო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ანდრიაძე აცხადებს, ებრაელებთან და არაბებთან, გენეტიკურის გარდა, ენათმეცნიერული სიახლოვეც დგინდება.

ბიორბი ანდრიაძე: გენეტიკური ანალიზით ხდება მამა-შვილობის და ნათესაობის დადგენა. ეს ცნობილი მეთოდი განვითარდა და შესაძლებელი გახდა ხალხების ურთიერთნათესაობის დადგენა. იგრეკ ქრონოსში, რომელიც მამაკაცის მემკვიდრეობით მახასიათებელი ქრომოსომაა, ასევე მიტოხონდრიით, რომელიც დედის მხრიდან გადაეცემა შვილს და აუტოსომურით, ადამიანს რაც აქვს ყველა ქრომოსომის ანალიზებით ხდება შესწავლა. ამ დაჯგუფებულ ნათესაურ გენებს პაპლოჯგუფები, პაპლოტიპები ეწოდება. ამ ჯგუფების მიხედვით დგინდება ხალხების, სუბეთნიკური ჯგუფების ერთმანეთთან ნათესაობა და მათი წარმომავლობა.

თუ ჩვენ ამ ანალიზებს ისტორიოგრაფიას, არქეოლოგიას და ენათმეცნიერულ ანალიზს შევუერთებთ, შეგვიძლება ის ისტორიული პროცესი აღვადგინოთ, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფების მიგრაცია, ერების ერთმანეთთან შერევა და სხვადასხვა ეთნოსების წარმოშობა მოხდა.

დნმ-ის კვლევა სრულიად არ უკავშირდება ეროვნული იდენტობის დადგენას, ეს გვაძლევს უტყუარ ისტორიულ სურათს, თუ სად და რა ეპოქაში დაიწყო იმ ხალხის განვითარება, ვისგანაც შემდეგ ქართველი ერი ჩამოყალიბდა... საქმე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4000 წლის წინანდელ ისტორიას ეხება.

“მთელი კვირა”: რამდენი ადამიანის კვლევა განხორციელდა და საქართველოს რომელ კუთხეებში?

ბ.ა.: რაჭა და აჭარა დაგვრჩა მხოლოდ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენ ინგილოების, ფერეიდნელების და ლაზების შესწავლაც გვსურს. სულ 600-მდე ინდივიდი შესწავლილი.

“მ.ა.”: რა შედეგამდე მივყავართ კვლევას, საიდან ვართ და ვის ვენათესავებით?

ბ.ა.: რაჭა და აჭარა დაგვრჩა მხოლოდ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენ ინგილოების, ფერეიდნელების და ლაზების შესწავლაც გვსურს. სულ 600-მდე ინდივიდი შესწავლილი.

“მ.ა.”: რა შედეგამდე მივყავართ კვლევას, საიდან ვართ და ვის ვენათესავებით?

ბ.ა.: ეს მეცნიერული დარგი ყველასთვის ხელმისაწვდომია და სტატეიტი პოპულარულ ენაზეც იწერება, ესა თუ ის პაპლოჯგუფი რომელ რეგიონში დაიბადა. აი, შემდეგ, ინტერპრეტაციისათვის ჩვენი ისტორიკოსების დახმარება საჭირო. ისტორიოგრაფია იდეოლოგიზირებული დარგი იყო და ტენდენციური გაშუქებით ხასიათდებოდა.

ქართული წარმომავლობა უძველესი ცივილიზაციების – ხეთებისა და შუმერების უკავშირდება. ეს არის კაცობრიობის ცივილიზაციის გარეგანი, შუამდინარეთი და მცირე აზია. ეთნოგენეტიკოსები ამ რეგიონებში მიუთითებენ იმ პაპლოჯგუფების დაბადების ადგილს, რომელიც ქართველებს გააჩნიათ: G2 და J2.

J2 დაიბადა შუამდინარეთის ჩრდილოეთით და მცირე აზიისკენ, სადაც ძველად ხეთების ცივილიზაცია არსებობდა და G2 დაიბადა ზაგროსის მთების მიდამოებში, დღევანდელი ირანისა და ერაყის ნაწილის ტერიტორიაზე, სადაც შუმერების უძველესი კულტურა არსებობდა. ეს ორი პაპლოჯგუფი ქართულ ეთნოსში 75%-ს

შეადგენს და საქართველოს ბარის მოსახლეობაში თანაბრად არის განაწილებული.

სვანეთში G2 80%-მდეა, რაც, ჩემი აზრით სვანური სუბეთნიკური ჯგუფს შუმერულ წარმომავლობას ნიშნავს და მას შუმერულ-სვანური პაპლოჯგუფი ეწოდება. ხოლო J2 დასავლური წარმოშობისაა, 78%-ია აღმოსავლეთის მთის მოსახლეობაში და 80%-მდე აქვს ჩვენს მონათესავე ჩეჩნებსა და განსაკუთრებით ინგუშებს. როგორც ჩანს, ეს ორი ჯგუფი, რომელიც უძველესი ცივილიზაციის რეგიონში მოსახლეობდა, კავკასიის მთებამდე იყო განსახლებული.

ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია მოწმობდნენ, რომ ქართველები ხეთურსუბარული წარმომავლობის არიან (ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ებრაეთ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე რედ.). ეს პირობა ჩვენი კვლევების შედეგად ნაწილობრივ დადასტურდა. ჩვენ ამ უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეები ვართ, მაგრამ ამ მეცნიერების ერთი პატარა შეცდომა პქონდა – ისინი მიგრაციაზე საუბრობდნენ, თითქოს წინარე ქართველებმა ტომებმა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ამოიწიეს. ისინი შუამდინარეთიდან დაწვებული კავკასიის ქედამდე იყვნენ განსახლებულები და ამ ცივილიზაციების ცენტრ სამხრეთით, შუამდინარეთში, ურარტუში იყო. ეს ცენტრი ველური ტომების შემოსევის შედეგად განადგურდა და პოლიტიკურმა ცენტრმა ამოიწიეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს მეცნიერები ამ პირობას 1950-იან წლებში ამტკიცებდნენ, წიგნებიცაა გამოცემული და ის ჩვენ ხელთ გვაქვს. მაგრამ მათი ეს მოსაზრებები საბჭოთა ცენზურამ აკრძალა.

“მ.ა.”: კვლევების მიხედვით არც ერთი ქართული კუთხე არ იყო დანარჩენებისგან დიდად განსხვავებული?

ბ.ა.: კუთხეების მიხედვით კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართველი ერი შედგება ორი დიდი ნაკადისგან, ურარტულ-კოლხური და სვანურ-შუმერული, მესამე – ე.წ. “ქართის ტომი” აქ არ ფიქსირდება.

“მ.ა.”: ამ ორი პაპლოჯგუფის გარდა, თუნდაც მცირე პროცენტით, კიდევ რა პაპლოჯგუფი გააჩნია ქართველებს და საიდან მოდის ის?

ბ.ა.: ქართულ პოპულაციას ასევე ახასიათებს J1, I1, R1, R1a და L1 პაპლოჯგუფები. ეს სიტრევე ყველგან არის და მომდინარეობს როგორც შერეული ქორწინებებიდან, ასევე სხვა ისტორიული მოვლენებიდან, თუ როდის რომელ ეთნიკურ ჯგუფებთან გექნოდა შეხება. ეს მიგრაციები უძველესი დროიდან განსაკუთრებით თავადაზნაურულ გენში ხდებოდა. ივანე ჯავახიშვილის კალმასობაში ჩამოწერილია, რომელი გვარი საიდან არის.

ერთ-ერთი უძველესი პაპლოჯგუფი E1c1 წარმოდგენილია ქართულ თავადაზნაურულ წრეებში და უფრო ვევიპტური წარმოშობისაა. ასევე ქართულ გენეტიკაში არის R1a და R1b, 7%, რომლებიც ინდოევროპული გენებია. R1b-ს მაქსიმალური პროცენტობა აქვთ ბასკებსა და კელტებს მთელს დასავლეთ ევროპაში. ამიტომაც ჩვენი და ბასკების ნათესაობა დღევანდელი ეთნოგენეტიკური მონაცემით არ დასტურდება.

მაგალითად, წყაროს ცნობით შერვაშიძეები შირვანშაის შთამომავალი არიან, რომელნიც დავით აღმაშენებელმა აფხაზეთში გაამთავრა. შერვაშიძეების გენებში R1a პაპლოჯგუფია. R1b არის ჯავახიშვილის გვარში.

ასევე არსებობს ფრიგიული, მეომრული გენი – I1, რომელიც ბალკანეთში შემორჩა. იგი ჩვენს თავადაზნაურულ გვარებში – ვანჩაძეებში, ციციშვილებში გვხვდება და ასევე მთის რამდენიმე ჯგუფშია წარმოდგენილი.

ჩვენთან თითქმის არ არის მოძიებული თურქული, მონღოლური თუ სხვა დამპყრობელთა გენები, თუმცა არის ჩრდილოკავკასიური – ლეკური და ებრაული J1. ებრაელებს აქვთ J1 და J2 გენი. ჩვენი ვარაუდით, მამამთავარ აბრაამს,

რომლისგანაც ებრაელები და არაბები წარმოიშვნენ, შეიძლება ჰქონოდა J2. არაბეთის სამეფოების ემირები ისმაილის, ანუ აბრაამის პირდაპირი შთამომავლები არიან და J2 გენი აქვთ.

II ეს “უპატრონი” პაპლოჯგუფია და დომინანტურად არსად არ არის გავრცელებული. იმერულსა და მეგრულში ცოტაა, ხოლო ცოტა მეტი შეგვხვდა ლაზებში. ამ პაპლოჯგუფს ბოლომდე გამოვიკვლევთ, რადგანაც მას მიეკუთვნება ჩიქოვანების გვარი. ისტორიოგრაფიაში ამ გვარის წარმომავლობაზე ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია.

ქართველი მეფეები გამოჩენილ მხედართმთავრებს ჩუქნიდნენ წოდებასაც, მიწებსაც... ცხადია, ისინი დროთა განმავლობაში ქართველი ერის ნაწილი ხდებოდნენ და ქართული სახელმწიფოს ორგანული მკვიდრები. ასე იყო მაშინაც, როცა აქ ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ უცხო ტომის, მაგრამ საქართველოსთვის თავდადებული მოღვაწეები და მაშინაც, როცა ჩვენები მიდიოდნენ სხვაგან.

მაგალითისთვის მოვიყვან: მამიკონიანები იყვნენ ჭანები და შემდგომ გახდნენ სომეხი მთავრები. ასევე ძველი ორბელიანები, როდესაც ისინი გიორგი III-მ გააძევა, გადავიდნენ სომხეთში და დარჩნენ იქ. ეს გვარები ახლა აბსოლუტურად სომხური გვარებია, თუმცა მათი ქრომოსომის ანალიზი სხვა სურათს აჩვენებს. ასევე არიან საქართველოში სომხური, ქურთული და სხვა წარმოშობის გვარები, რომლებიც საუკუნეების წინ გაქართველდნენ და დიდი დამსახურებებიც მიუღვივთ ჩვენი სამშობლოს წინაშე.

ამიტომ, კიდევ ერთხელ გავმეორდები და ვიტყვი, რომ ეთნოგენეტიკური კვლევები – ეს არ არის ეროვნების დამდგენი ანალიზები, როგორც ეს ზოგიერთს მცდარად ჰგონია. ეს არის ისტორიოგრაფიული და სხვა პუმანიტარული მეცნიერებების კვლევების დამხმარე ინტერდისციპლინარული მეცნიერების ახალი მიმართულება.

“მ.ა.”: ამბობთ, რომ თურქული და მონღოლური გენები თითქმის არ მოიძებნა. ყოვანდების გენი თუ აღმოაჩინეთ?

ბ.ა.: ყოვანდური ძალიან გამოკვეთილი თურქულ-მონღოლოიდური პაპლოჯგუფი უნდა ყოფილიყო და ძალიან გვანებტურესებდა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. შეიძლება შემდეგ კვლევებში აღმოჩნდეს. სკიითები და კიმერილების თემას რაც შეეხება, ამ ტომებმა აქ მხოლოდ გადაიარეს და მცირე აზიაში შეიჭრნენ. ამიტომაც მათ გენებს არცერთი ისტორიკოსი ისედაც არ ვარაუდობდა.

“მ.ა.”: ბაგრატიონთა კვლევა თუ ჩაატარეთ?

ბ.ა.: ქართველი მეფეების ნამარხის კვლევა გვინდა, მაგრამ ვერ მოვიპოვეთ. რაც შეეხება ცოცხალ ბაგრატიონებს, ჩვენ არ ვეხებით, რადგან ეს პოლიტიკური პროცესია და ნებისმიერი ინფორმაცია პოლიტიკური მხვედლობის საგანი გახდება. ამიტომაც ინტერესი არ გვაქვს.

“მ.ა.”: თქვენ საუბრობთ, რომ ნამარხებზეც აპირებდით კვლევას და ორი ნიმუში გვაგზავნილი იყო. რა შედეგი დაიდო?

ბ.ა.: გავზავნილი გექნოდა, მაგრამ ძალიან ძველი და გამოფიტული ძვალი აღმოჩნდა, ამიტომაც დნმ ვერ გამოიყო. ახლა გვინდა ნამარხი ძვლები ხელახლა მოვიძიოთ, ავსტრიის შესაბამის ლაბორატორიებთან ხელშეკრულება გვაქვს და ჩვენც აქვე ვაგრძელებთ კვლევას-ძიებას.

“მ.ა.”: დღევანდელი ერებიდან ყველაზე ახლოს ქართველებთან რომელი ეთნოსი დგას?

ბ.ა.: ჩვენსავით ურარტუს და ხეთების ცივილიზაციის მემკვიდრეები არიან ქურთები, მაგრამ ქურთების მნიშვნელოვან ნაწილში შეინიშნება ინდოევროპული R1a პაპლოჯგუფი, მაგრამ J2-ით გენნათესავებულია.

წინარე პრეისტორიული რასიდან შემორჩნენ ასევე ებრაელები და არაბები. თუმცა, ურარტულ-ქალდეური კულტურა

მხოლოდ ქართველ ერს აქვს შენარჩუნებული, რაშიც სამხმინ სიმღერას და მეტყველებას, ქართველურ ენებს ვგულისხმობ. მაგალითად, პარადოქსულია, რომ ქურთული ენა ინდოევროპულია, ჩანს, რომ ენა გვიან შეიცვალეს, ამიტომაც მიანდით ისინი ინდოევროპულებად.

“მ.ა.”: ენათმეცნიერები ამ კვლევებს აკრიტიკებენ. ამბობენ იმასაც, რომ ეთნოგენეტიკის ანალიზი ენათმეცნიერებასთან კავშირში არ არის. თქვენ თუ გქონიათ მათთან დისკუსია და რას ეტყობით მათ?

ბ.ა.: გენეტიკურად თუ ახლოს ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ ენათაც ახლოს უნდა იყო და ამის დამადასტურებელია ის, რომ ქურთები ენობრივად ინდოევროპულ ჯგუფში არიან. რაც შეეხება ებრაელსა და არაბული ენების ქართველურთან სიახლოვეს, ნიკო მარი ამტკიცებდა, რომ ქართველური ენა სემიტურის მონათესავეა, უამრავი მსგავსი სიტყვები აქვს მოყვანილი და ის ამის გამო მკაცრად გააკრიტიკეს. კომუნისტურმა იდეოლოგიამ ისტორია თავიდან გადაწერა, მაგრამ ეს ეთნოგენეტიკური კვლევა ნიკო მარის პირობებს ამართლებს.

ენათმეცნიერებმა ჩემი ის მოსაზრება გააკრიტიკეს, რომელსაც ჩვენი კვლევის ყველაზე დიდ მიღწევად ვაფასებ. სანამ ეს კვლევა არ არსებობდა, ენათმეცნიერული დასკვნის საფუძველზე იურისტს და პოლიტიკოსს შეეძლო გაეკეთებინა დასკვნა – თუ სვანური სხვა ენაა, სვანები სხვა ეთნოსია. კვლევებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენი ერთი ერი ვართ და 4 ენაზე ვსაუბრობთ. ეს უნიკალურია, ისე, როგორც ქართული სამხმინი სიმღერა. ენათმეცნიერებმა ეს გააკრიტიკეს. ამდენად, ენაზე დისკუსიამ აზრი დაკარგა და იმის ადგილი აღადარჩა, რომ ქართველური ენები – მეგრული, სვანური ლაზური და ქართული საქართველოს დიფერენციაციისათვის იყოს გამოყენებული.

“მ.ა.”: აფხაზებთან და ოსებთან რა გენეტიკური სურათი იქმნება?

ბ.ა.: აფხაზები 40% მეგრული წარმოშობისაა და 60% ჩერქეზი-ადიგები არიან, რომლებიც ყველაზე ახლოს სვანურთან დგანან. ოსებთან, რომლებიც ენით ინდოევროპული ოჯახიდანაა, ეთნოგენეტიკურად აღანების პაპლოჯგუფი ძალიან ცოტაა. სამხრეთ ოსების დიდი ნაწილი სვანური პაპლოჯგუფის მატარებელი ხალხია, თუმცა, ჩრდილოეთ ოსეთში სხვა გენია და ის უფრო რუსულ პოპულაციასთან არის ახლოს.

“მ.ა.”: და ბოლოს, ჩვენი მეზობელი ერების ეთნოგენეტიკური კვლევის შედეგი როგორია?

ბ.ა.: სომხები, ბერძნები და ირანელები ერთი ინდოევროპული ჯგუფია. სომხეთში დარჩა მცირე ჯგუფი ქალდეელებისა და ურარტუელებისა, რომლებიც გასომხდნენ და ეს კვალი მათ გენოფონდში ნათლად ჩანს. ძველი აღბანელების გენოტიპი ფიქსირდება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებში.

თურქეთში საკუთარი შუააზიური გენოტიპი დღეს მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს და იგი ადგილობრივი ანატოლიური მოსახლეობის გენეტიკურ მემკვიდრედ გვევლინება. დიდა მათში ასევე ქართული გენოფონდის წილი.

ბევრი ქართველი ვახტანგ VI წაიყვანა რუსეთში, დღეს მათი შთამომავლები “ქართული” ქრომოსომები რუსი ერის სისხლსორციელი ნაწილია.

ეროვნების განმსახვრელი ანალიზი არ არსებობს და საერთოდაც ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილება შინაგანი, მსოფლმხედველობითი მომენტია და არა ბიოლოგიური ფაქტორი. ამის ნათელი მაგალითია შუშანიკი, აბო თბილელი, ევსტათი მცხეთელი, რომელთაც დიდი ქართული საქმე გააკეთეს. როსტომ ხანი კი, გენით ბაგრატიონი, დიდი ლუარსაბ I-ის შვილიშვილია, რომელიც ქართველთა მთავარ გადაამგვარებლად მოგვევლინა.

მეა ბასილიაძე, გაზ. “რეზონანსი” მთელი კვირა, 2013 წლის 25 ნოემბერი

კაცი

მბალონი

(როგორ უნდა იყოს საჯარო მოხელე)

„ვინც მოიხადა ამ სოფლის ვალი ის მეკლარიც ცოცხლობს, არ არის მეკლარი“.

ა. წამბაძე



ადვილი არ არის ისაუბრო ისეთ პიროვნებაზე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მე-20 საუკუნის ქართული სამართალწარმოების განვითარების ისტორია რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა უმრავი კანონის და ნორმატიული აქტების სრულყოფა, - იმ დროის მოთხოვნების შესაბამისად. მან მთელი თავისი ენერჯია და ძალა მართლმსაჯულების განვითარების საქმეს მოახმარა. ასეთი იყო ბატ. გრიშა ბიჭიანი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი - რომელიც დაუღალავად მუშაობდა და არასდროს მისწრაფოდა მუშაობაში მოჩვენებითი წარმატების შთაბეჭდილების შესაქმნელად. მის ხელში კანონი ზეიმობდა. ხშირად უთქვამს „შიშველი რჩება კანონი, თუ მისი გამტარებელი და შემსრულებელი სუსტად ფლობს პროფესიას და მორალურად სუსტია“. ამ შეგნებით გაიარა მან ცხოვრების გზა და სამოღვაწეო ასპარეზზე უკუსვლა არასდროს განუცდია.

ბატ. გ. ბიჭიანი დაიბადა ჭიათურის რაიონში სოფელ ცხრუკეთში. შრომითი საქმიანობა დაიწყო ჭიათურის მდაროებში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. შემდეგ აწინაურდებიან და ნიშნავენ საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის; - ჯერ დირექტორის მოადგილედ, სასწავლო ნაწილის ხაზით, ხოლო შემდეგ - დირექტორად.

ყველა თანამდებობაზე ბატ. გრიშამ გამოავლინა უდიდესი ნიჭი და უნარი სამართალმცოდნეობის განვითარების საქმეში და შედეგად არ დააყოვნა, 1941 წლიდან ბატ. გრიშა საშუალო გადაყავთ საქ. რესპუბლიკის პროკურატურაში, - სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ნიშნავენ ამავე განყოფილების უფროსად. გარკვეული სამუშაოების წარმატებით ჩატარების შემდეგ გადაყავთ მილიციის ორგანოების ზედამხედველობის განყოფილების უფროსად, ხოლო ერთი წლის მუშაობის შემდეგ ბატ. გრიშა რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი ხდება. ბატ. გრიშა პიროვნულად ღმობიერი იყო მაგრამ პრინციპული. უდანაშაულოდ არ დაგხვდია მაგრამ დანაშაულს არ გააბატებდა. მხედველობიდან არ გამოპარვია იმდროინდელ ხელმძღვანელობას ბატონი გრიშას ნიჭი, უნარი და საქმის დიდი სიყვარული. მას აწინაურდებიან აჭარის ავტონომიური ოლქის პროკურორად. ოთხი წლის მუშაობის შემდეგ გადმოჰყავთ ახლად შექმნილ თბილისის ოლქის პროკურო-

რად. ოლქის გაუქმების შემდეგ ნიშნავენ ქობულისის პროკურორად. სამსახურებრივი ირარქიის კიბეზე კიდევ ერთი ცვლილება განიცადა და ბატონი გრიშა 1953წ. ინიშნება რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ. (რომელ თანამდებობაზეც 21 წელი იმუშავა). ამ დროისათვის მას ქონდა უზარმაზარი გამოცდილება, რასაც ემატებოდა ბუნებრივი ნიჭი და დაუღალავი შრომის უნარი. პროფესიონალიზმის მაღალმა დონემ მას უდიდესი ძალა მიანიჭა და სამოქალაქო სამართლის (რაც ყველაზე რთულია) უბადლო მცოდნედ ჩამოყალიბდა. მას თავის მუშაობის სტილი ჰქონდა, - საბრალდებულო დასკვნას ხელს მანამ არ მოაწერდა სანამ საქმეს ძირფესვიანად არ გადახედავდა. მის კაბინეტში როცა არ უნდა შესულიყო მაგიდაზე საქალაქების გორა ეწყო. დასკვნების დღეებშიც კაბინეტში იჯდა და მუშაობდა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საქმეების გარკვეულ რაოდენობას იღლიაში ამოიღებდა და ისე ბრუნდებოდა ოჯახში. დარჩენილ დამის საათებსაც საქმეების შესწავლას უთმობდა. ბევრს შრომობდა, თანამშრომლებიდანაც ამასვე მოითხოვდა. შეცდომის პატიება იცოდა, მაგრამ ტყუილს, მოჩვენებით თვალთმაქცობას ვერ იტანდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს იურიდიულ საზოგადოებაში ცოტა თუ მოიძებნებოდა ისეთი პიროვნება რომელიც სამოქალაქო სამართალს ისე ფლობდა როგორც ბატ. გრიშა. იგი ზედმიწევნით ფლობდა ორგანიზაციის მართვის თეორიას, რაც ხელმძღვანელისათვის ძვირფასი სამკაულია. უამრავი მეგობრები ყავდა, ყველა ძალიან უყვარდა და ასევე ძალიან უყვარდა მეგობრებს. ამ სტრიქონების ავტორს დიდი ბეზღიერება ხვდა წილად მონაწილე ყოფილიყო იმ დიდი შეხვედრების სადაც ვისმენდი ისიდორე დოლიძის, შალვა ნუცუბიძის, ვიქტორ ჩხიკვაძის და სხვათა შეფასებებს ბატ. გრიშას პიროვნების შესახებ.

მიუხედავად დიდი ტრაგედიისა რომელიც მის ოჯახს დაატყდა თავს, ის მაინც აქტიურად განაგრძობდა მოღვაწეობას: - იცავდა ადამიანის უფლებებს და თავისუფლებას. მართლმსაჯულების სწორად მართვამ ბატონ გრიშას დიდი აღიარება მოუტანა. საზოგადოებაში ასეთი ტერმინიც არსებობდა **“რესპუბლიკის პროკურატურაში ბატ. გრიშა ბიჭიანთან თუ მოხვდები (კვირაში ორჯერ ქონდა მიღება) აუცილებლად სამართალს იპოვნი”**. მიუხედავად ასეთი დიდი ავტორიტეტისა და საზოგადოების სიყვარულისა, იმ პერიოდის ავღსახსენებელმა პარტიულმა ფუნქციონერმა ედუარდ შევარდნაძემ სრულიად უმიზეზოდ გაანთავისუფლა თანამდებობიდან. საქმე შემდეგში იყო: - შევარდნაძემ, მიინდომა **“ცხვარიჭამიას”** აგარაკების დანგრევა. ბატ. გრიშამ ამ ვანდალურ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა და განაცხადა ბიუროს სხდომაზე: - მათ, ვინც ფლობს აგარაკებს, ყველა დოკუმენტი წესრიგში აქეთ, კორექციების ჩამორთმევა და დანგრევა დანაშაულის ტოლფასია. ამ განცხადების შემდეგ შევარდნაძე პასუხობს: - თქვენ, ამხანაგო გრიშო, მოხუცდით. ბატონი გრიშა პასუხობს: - მოვხუცდი, მაგრამ ჯოხით არ დავდივარ! ამ ამბის შემდეგ აკადემიის პრეზიდენტმა ბატ. ილია ვეკუამ მოხვია ხელი და წაიყვანა აკადემიაში იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელად.

მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებული **“გადემოკრატებული”** შევარდნაძე იტყვის: **“ცხვარიჭამიას” ჩამორთმევა შეცდომა იყო”**.

საინტერესოა როდის იყო მართალი შევარდნაძე - როცა ანგრევდა **“ცხვარიჭამიას”**, თუ როცა **“მოინანია”**? - ვფიქრობ არცერთხელ. შევარდნაძეს მონანიება არ უყვარდა, ის ბოლომდე გაუდენთილი ფუნქციონერი იყო და ასეთად დარჩა კიდევ.

ბატ. გრიშა ბიჭიანის განთავისუფლების შემდეგ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ დაინიშნა ქალაქ თბილისის პროკურორი ბატ. თალაკვაძე. თალაკვაძემ რამდენიმე თვე გაუძლო შევარდნაძის ადვირახსნილ დავალებებს. შემდეგ კი დატოვა პროკურატურა და საქართველოც. მუშაობა გააგრძელა ბე-

ლორუსიის პროკურატურაში. ასე ყოველგვარი ზღვარგადასული ქმედებებით ანადგურებდა საქართველოში ღირსეულ კადრებს ედუარდ მოლაღაძე, რომელმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ფეშქაშად მიართვა სეპარატისტებს და საქართველო ხელში ჩაუგდო 25 წელს გადაცილებულ უზარო ახალგაზრდობას - სააკაშვილის მეთაურობით, რომელთაც 9 წელიწადი ძარცვეს ქვეყანა და მისი მოსახლეობა.

ბატონი გრიშას ხელში უამრავ სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო დავების საქმეს გაუვლია. მკითხველთათვის მოვიყვან ორიოდ მაგალითს.

ყველასთვის ცნობილია დურუ ხურცილავას **“საგმირო”** საქმეები. პირველი **“დანაშაულისათვის”** რომელიც მან ჩაიდინა, სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. საკასაციო სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. ზეწესით განსახილველად განცხადება შევიდა რესპუბლიკის პროკურატურაში. ვინაიდან იმ პერიოდში დურუ ხურცილავა მცირეწლოვანი იყო, განცხადება განსახილველად ბატ. გრიშა ბიჭიანთან მოხვდა. მან პირადად შეისწავლა საქმე, აღმოაჩინა დარღვევები და პროტესტით შევიდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში. პროტესტი დაკმაყოფილდა, დურუ ხურცილავა გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

ამ სტრიქონების ავტორი ასეთ სიტუაციას შევსწრო ბატ. გრიშას კაბინეტში. მიღების დღე ჰქონდა, კარები იღებდა, ხელეზღვრილი შუახნის კაცი ტირილით შემოდის. ბატონი გრიშა ბევრს ეცადა მაგრამ მისგან ვერაფერი ვერ გაიყო. დაადგინა მის საკასაციო პროცესზე რომელი პროკურორი გამოდიოდა და გამოიძახა. პროკურორმა დაიწყო განმარტება:

- ვაკეში მოხდა ჩხუბი, იხმარეს იარაღი და გადაადგეს, გადაადგებული იარაღი იპოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა, შეინახა ერთი თვე და შემდეგ ჩააბარა მილიციას. სტუდენტი დაიჭირეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობა, იმის გულისხმობის, რომ სტუდენტმა დაარღვია ნაპოვნი იარაღის ჩაბარების წესი.

ბატონი გრიშა ეკითხება პროკურორს: ბრალდებულმა თუ იხმარა აღნიშნული იარაღი?

- არ უხმარია, - იყო პროკურორის პასუხი.

- თქვენ ორგანოს მუშაკებმა არ იცით იარაღის ჩაბარების წესი, ამიტომაც აგზავნით მე-3 კურსის სტუდენტს ციხეში და საშუალოდ ღუპავთ! იქიდან დაგვიბრუნდება ქურდი და ყანალი. სასწრაფოდ მოამზადეთ პროტესტი და მიმიტინგეთ, ხვალ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაზე შევად პროტესტით!

შემდეგ მოუბრუნდა თვალცრემლიან მშობელს და უთხრა: წაბრძანდით, თქვენი შვილი რამდენიმე დღეში დაგვიბრუნდება.

გახარებული კაცი ღამის ფეხებში ჩაუვარდა, აღარ იცოდა როგორ გამოეხატა პატივისცემა ბატონი გრიშას მიმართ, რაც მისმა სამართლიანმა გადაწყვეტილებამ არგუნა.

ასეთი შემთხვევები მის ცხოვრებაში უამრავი იყო. თავის ცხოვრების წესიც კანონზე ქონდა აგებული. ბატონი გრიშა გვარის და სოფლის საამაყო შვილი იყო და კაცურკაცობის ეტალონს წარმოადგენდა. იგი მოუხომელ ფრახებს არასდროს არ ამბობდა, მოუფიქრებელ ნაბიჯს არასდროს არ გადადგამდა.

ასეთი გახლდათ კაცი-ეტალონი გრიშო (გრიშა) ბიჭიანი.

ლევონტი ბიჭიანი ინჟინერ-ეკონომისტი

პოეზიის კუთხე

ორი სათრამველა
“ნაცმაცუნა” ტელეარხ
“რუსთაველი-2”-ის გადაცემა, P.S“-
ის 8 დეკემბრის სიუჟეტებთან
დაკავშირებით გაუღერდა ნაცნობი
ხელწერა, სადაც ლიყიანი ვიკი
ნოღია არ მოერიდა ქართული
ეკლესიის საკეთილშობილების,
უწმინდესისა და უნეტარების
აუფად მოხსენიებას - მამული
ნაკუწ-ნაკუწ გაგვიყვიღეს, ენა
წავგიბილწეს, ახლა ქვეყნის მესამე
ძირითადი ბოძის - დედაკულესის
წაქცევასაც ცდილობენ სკამებ
და ეროვნებადაკარგული „ნაციონალები“.

როცა ასხენებს უწმიდესს
„P.S“-ის უწმინდესობა
და წამოიწყვებს ნოღია
ეკლესიაზე ბოღიანს,
თუმცა დიდებას უწინდელს
ვერ დაძლევენ უწიგნურობა,
მაგრამ სახუმრო როღია,-
რადგან ნაცნობი კოღია!

მ მ მ მ რ ა
სამარცხენოდ დამთავრდა
მავანთა მცდელობა, რათა ხელი
შეეშალა საქართველოს
პრეზიდენტისათვის, რომ
მენორაზე აენთო ხანუკას
პირველი საწიფი
ხან წინ დახტოდნენ, ხან უკან,
რომ ჩაეშალათ ხანუკა,
მაგრამ მათ როდი ემონა
ებრაველი ან ქართველი,
ჩვენს მეგობრობას მუკერულად
ხელს ვეღარავინ აუკრავს,
რადგან ანთია მენორა
თავისი ცხრავე საწიფით!
ალექსანდრე შინბელია

აფხაზეთო, ჩემი გულის ნაწილი ხარ!

აფხაზეთო, ჩემი გულის ნაწილი ხარ,
ოც წელიწადს უმწიბოთ გაუვლია,
ქართველი და აფხაზი რომ
ერთად არ დგას,
დამერწმუნე, უკვე დანაშაულია!
აბა, როგორ არ მიყვარდეს
ჩემი რიწა,
მიუბნის ძირში მოლივლივე
წყალი ლურჯად,
დავაფიცებ საქართველოს
ძირძველ მიწას,
მტერთა მრავალ დარბევას
რომ გადაურჩა.
ბიჭვინთა ხომ აფხაზეთის
მშვენიერება,
უმილობას ვერ ვიტან და
ცრემლი მომდის,
თოვლი მხარის ფირუხი და
ალმასია,
ჰოდა, როგორ არ მიყვარდეს
ეს წაღკოტი.

აფხაზეთო, შენი ნახვის
სურვილი მკლავს,
სურვილი მკლავს, ისე რო-
გორც მწყურვალს - წყალი,
როგორც ყველა დანარჩენი,
ისე მიყვარს
თვალწარმტაცი გულრიფში
და ჩემი გალი.
სანუკაპრო, ჩაგეხუტო მინდა მა-
გრად,
ვერ ვახერხებ ამას, ჰოდა გული
მწყვდება,
ნოსტალგია შემომავა, ჩემო
გაგრავე,
შენი ნახვა ისე ძლიერ მენა-
ტრება.
აფხაზეთო, ჩემი გულის
ტკივილი ხარ,
დაკოდილ გულს განკურნება
გულით უნდა,
ღმერთო ჩემო, სახიერო დამი-
ბრუნე
ოანშირე, სოხუმი და გუდაუთა!

შშანბი ხანთარაშვილი

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა
2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს **ჯალალონია-ჯალალანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალალანიას სახელზე)**. მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 - როლანდ ჯალალანიას**.

კოლხეთი – პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-248

„კომპრომატ რუ“-ს მიხანია საქართველოს კუთხეებს შორის შუღლის გაღვივება და იმასაც მიუთითებს, რომ გეოპოლიტიკის ფუძემდებელი გერმანელი ფრიდრიხ რატცელი (გარდაიცვალა 1905 წელს) მგერვლებს ქართველებისაგან მკვეთრად გამოყოფს, თუმცა მიუთითებს მათ ნათესაობაზე.

ასევე, ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ალექსანდრე გრეტი წერდა, რომ ქართველები მგერვლებს წაგრავენ და უძველესი ხალხი მგერვლებისათვის დამწერლობა აუცილებლად მიანდა. ა. გრეტიმ თავის წიგნში – მგერულ გრამატიკას, მგერული დამწერლობის საფუძვლად რუსული გრაფიკა შეარჩია. (იხ. თეიმურაზ გვანცელაძის საუბარი გია ოქრობაგელ-ხეველთან. „ფხაზური ენა დიდარჩინა, რუსულმა დამწერლობამ კი აფხაზური ენა ძლიერ დააზარადა“ (გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2005, 11-18 აგვისტო, №031).

1936 წელს მივლ საბჭოთა კავშირში დაიწყო ხალხთა დამწერლობის გადაყვანა რუსულ გრაფიკაზე, მათ შორის მრავალრიცხოვანი ხალხებისა – ყაზახური, უზბეკური, აზერბაიჯანული და სხვათა. რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდ. ოსეთის დამწერლობა გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე, ხოლო საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზური დამწერლობა ქართულ გრაფიკაზე. 1862 წლიდან აფხაზეთში შემოიღეს რუსი ენათმეცნიერის, გენერალ პ. უსლარის მიერ შემუშავებული რუსული დამწერლობა, (გრავიკა), 1926 წლიდან შემოღებული იქნა ლათინური ანბანის საფუძველზე შედგენილი, ხოლო 1928 წლიდან უნიფიცირებული ლათინური ანბანი. 1926 წლამდე არსებობდა რუსული დამწერლობა, ხოლო 1938-1954 წლებში აფხაზური ენა ქართულ ენაზე იყო გადასული. 1937 წელს აფხაზეთის კვლევით ინსტიტუტში ქ. სოსხუში ნატარადა აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის საკითხთან დაკავშირებით თათბირი, რომელსაც ესწრებოდა ენათმეცნიერი ალექსანდრე გრეტი. 1954 წლიდან აღდგენილი იქნა 1926 წლამდე არსებული დამწერლობა, გრაფიკა (იხ. თეიმურაზ გვანცელაძის მითითებული ნაშრომი).

გარდა რუსული „კომპრომატ-რუ“ გერმანელი ფ. რატცელი, რუსი პ. უსლარი, საბჭოთა მეცნიერი სახარაძე, მწერალი სოლჟენიცინი, ელენე ბონერი, ა. ეპიფანცევი, ა. გრეტი, არამედ სხვა უცხოელი მეცნიერი, განსაკუთრებით რუსები, ზოგიერთი ქართული მეცნიერის, ამტკიცებენ, მგერვლები ქართველები არ არიან, რომ მგერვლები სხვა ეთნოსის, სხვა ეროვნების ხალხი იყვნენ (იხ. ნინო ხაჩიძის საუბარი რუს ისტორიკოსთან და პოლიტოლოგთან ა. ეპიფანცევთან „რატომ ითხოვს რუსეთი ბიბლის მგერვულად თარგმნას და რატომ არის რუსული სახელმწიფოს მთავარი სამიზნე ქართლისა და ქართველების განადგურება“, ჟურნ. „თბილისელები“, 2010, №13. გვ. 6-7). უცხოელები (განსაკუთრებით – მეცნიერები), ამას ასე ხსნიან: ქართლი, ჰერეთი, კახეთი გამონაკლისის გარდა თითქმის მუდამ დაპყრობილი ჰქონდათ თურქულ-ჯუჯუკებს, არაბებს, სპარსელებს, თათარ-მონღოლებს და სხვა დამპყრობლებს, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა „განქართველდა“. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში ჩამოსახლდა 40 ათასი ყივანი – დაახლოებით 200-210 ათასი სული, რომლებიც ქართველებში

„იითქვიფნენ“. მიუთითებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ვითომ გენეტიკურად „გადაგვარდა“, „გადაჯიშა“.

გარდა ამისა, ამერიკის მეცნიერ-გენეტიკოსებმა დაადასტურეს, რომ გენეტიკური კოდი ათასეული წლების განმავლობაში არ იცვლება. ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენები გენეტიკური მემკვიდრეობის შესახებ, გაიზიარეს მსოფლიო მეცნიერებმა. ამით რუსი მეცნიერები, ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი ხალხი „შეთქვიფილია“, „განქართველდა“. ამის საპირისპიროდ, მგერულ-ქართველი ხალხები არასდროს დაუპყრია სხვა ხალხებს, მგერვლები არ ქორწინდებოდნენ სხვა ხალხის, ტომის ადამიანებზე. ამიტომ მგერვლები არიან „სუფთა“, „წმინდა“ რასის ხალხები, რომელიც „ეხარბებათ აღმოსავლეთ მეზობლებს“. ასეთივე წმინდა სისხლის ხალხად მიანდათ გურულები, იმერლები, აფხაზეთელი ქართველები, აჭარლები, ლეჩხუმელები, რაჭველები, სვანები – ყოფილი მგერვლები და მგერულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი.

მგერვლთა „წმინდა“ რასის თეორიის „პროპაგანდას“ დიდი ხანია ეწევიან უცხოელი მეცნიერები, რითაც ცდილობდნენ და ცდილობენ გაითიშონ საქართველო, ერთი კუთხე დაუპირისპირონ მეორე კუთხეს და ა. შ. ამით არა მარტო საქართველოს ებრძვიან, არამედ მთელ საქართველოს და ზოგჯერ „წარმატებასაც“ აღწევდა – ქართველებს გვიპირისპირებენ ერთმანეთს.

საბუნდუნოდ მგერულ-ქართველები, არც მეცნიერი და არც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, არ წამოგებია ასეთ პროპაგანდას, ამის მაგალითს ვერავენ ნახავენ: ყოველთვის და ყოველ დროს მგერვლები საქართველოს ერთიანობის – მთლიანობისთვის ბრძოლის ავანგარდში, პირველ ხაზზე იყვნენ და არიან.

ჩვენ ზემოთ დაპირაკი გვაქვს, თუ როგორ ებრძოდნენ და ებრძვიან ძველ კოლხეთს და თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი და პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს ზოგიერთის გვარი და სახელი.

საქართველოს ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს გამძინილი მეცნიერები, რომლებსაც არასდროს უღალატათ მეცნიერული სინდისისათვის, მაღლა იდგნენ მიკროსკოპულიანობისა და კუთხურობისაგან: დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროვეა, სერგი მაკალათია, სერგი ელენტი, სიმონ ყაუხჩიშვილი, თინათინ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, სერგი ჯიჭია და მრავალი სხვა.

თავიანთი ობიექტურობით და სამართლიანობით ქართველი მკითხველის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს სახელოვანმა მეცნიერებმა – მაღალ აბდუშელიშვილმა, თამაზ გამყრელიძემ, გერონტი ვასიანმა, გრიგოლ გიორგაძემ, ვახტანგ გიორგაძემ, რისმაგ გორდუხიანმა, მამანტი ძაძაძამ, ოთარ ლორთქიფანიძემ, ოთარ მიქიაშვილმა, რომინ მჭერეველმა, თეიმურაზ მიქელაძემ, დავით მუსხელიშვილმა, ზურაბ რატიანმა, ზურაბ სარჯველაძემ, აკაკი ურუშაძემ, ოთარ ქაჯაიამ, გიზო ჭელიძემ, ნანა ხაზარაძემ და ბევრმა სხვამ (ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი).

გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. გიზო ჭელიძის ნაშრომები (უხადო ქართულით დაწერილი წიგნები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები, ბევრი დიალოგის სახით არის დაწერილი) ხელმისაწვდომი და გასაგებია ყველა ფენის მკითხველისათვის, წერს: „სვანური, მგერული და ლაზური მეტყველება ფუძე ქართულთან მიმართებით, სხვა „ენები“ ან კიდევ „მომხე ენები“ კი არ არიან, არამედ ისინი წარმოადგენენ შინაარსობრივ, შინაენობრივ ოდენობებს, დღეს უკვე თავიანთი კუთხური განვითარებით და სალაპარაკო პრაქტიკით, აგრეთვე, კუთხის ზეპირი სიტყვიერი შემოქმედებით“ და აგრძელებს: „ასე რომ სულაც არაა მიზანშეწონილი „ქართულის“, „სვანულის“, „მგერულის“, სხვადასხვა ან „მომხე ენებად“ მისწვნა.

პროფ. გ. ჭელიძე, როგორც ითქვა, ადრე, 2000 წელს, წერდა: აიგის დროს და უფრო ადრეც, კოლხებს ჰქონდათ საკუთარი – კოლხური ენა და ამ ენაზე შექმნილი დამწერლობა... შეიძლება დავასკვნათ, რომ 3000 წლის იქით არსებობდა საქართველოს დასავლეთ ნაწილი – კოლხეთი, რო-

მელსაც ჰქონდა სახელმწიფო, ჰყავდა მეფე, კოლხური ენით იმართებოდა ქვეყანა და ყველაზე მნიშვნელოვანი – ამ ენაზე არსებობდა დამწერლობა. ხოლო 2005 წელს გ. ჭელიძე წერს, რომ მგერული ენა წარმოადგენს „შინაენობრივ ოდენობას“. აქ ცოტა რაღაც გაუგებარია – ნუთუ, ქართველოლოგთა IX კონფერენციამ და მისმა შემორანდუმმა (კონფერენციაზე დამსწრე 200-მდე ადამიანიდან, მხოლოდ ოცდაათამდე პიროვნებამ მოაწერა ხელი) მოახდინა გაგება, როგორ განიცადა გ. ჭელიძემ ასეთი ცვლილება, რა მოხდა, ასე რამ შეცვალა? შეგედგებათ ასეთი ცვლილება დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ გ. ჭელიძეს ეს არ მოუნდომებია, რადგან უსწორო თვალსაზრისის, დებულების დამტკიცება შეუძლებელია. ნეტავ ვის???

ფრიად საწყხარია! არ შეიძლება არ გავისხენოთ გამოჩენილი პოეტის ვაჟა ერისთავის ლექსი:

აიგის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის – გველეშაბი მისწოლია: მათ იცინა: იქ იწყება, საქართველოს ისტორია.

შეიძლება ეს ლექსი აქ არ მოგვეტანა, პროფ. გიზო ჭელიძეზე საუბრის შემდეგ, მაგრამ ვფიქრობ, მნიშვნელობა არა აქვს ამ ლექსს სად მოვიტანოთ, რადგან ის ზუსტად გამოხატავს ზოგიერთ იმ ადამიანის შეხედულებას, რომელიც ასე გამწვანებით ებრძვიან ძველ კოლხეთს და თანამედროვე საქართველოს, მის ისტორიას, მის ენას, მის წარსულს და მომავალს.

სწორედ ის არ უნდათ, რომ საქართველოს ისტორია კოლხეთით-სამგერვლოთი იწყება, მაგრამ ამ უტყუარ ისტორიულ ფაქტს ვერაფერი წაშლის, არა მარტო საქართველოს ისტორია იწყება კოლხეთით, არამედ მსოფლიო ისტორიაც, რომ კოლხეთი ცაცობრიობის განვითარების საწყისია, კაცობრიობის ცივილიზაციის ფუძე და აკანია (ასეთი დასკვნები, ფაქტობრივად, გამომდინარეობს ძველი ბერძენი-რომაელი-ბიზანტიელი სწავლულების, ქართველ მეცნიერ-მკვლევარების – მ. აბდუშელიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, თ. გამყრელიძის, გერონტი ვასიანის, გ. გიორგაძის, ვ. გოილაძის, რ. გორდუხიანის, ე. თაყაიშვილის, პ. ინგოროვეას, ს. კაკაბაძის, ნ. კვაშილავას, ე. კვაშილავას, ა. კილასონიას, ი. კვეციანის, გ. მჭერეველის, ბ. სართანის, ვ. სოფას, ს. ელენტის, ზ. რატიანის, ა.კ. ურუშაძის, ნ. ფოფხაძის, ზ. ქაფიანიძის, ს. ყაუხჩიშვილის, თ. ყაუხჩიშვილის, ა. შონიას, ა. ცაგარელის, ვ. ციციშვილის ი. ჯავახიშვილის და სხვათა მრავალთა შრომებიდან, მაგრამ ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს დაჟინებით არ სურთ აღიარონ კოლხთა – კოლხეთის პირველობა).

საქართველოს უშიშროების ორგანოების ყოფილი ხელმძღვანელი, ფრიად განათლებული, წიგნიერი გენერალი, კარგი ადამიანი, თენგიზ კიტიშვილი წერს: „როდესაც დისერტაციას ვიცავდა უშიშროების ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც მასლებს ვეცნობოდი, საქართველოს ისტორიასაც გადავავლე თვალი, ჭეშმარიტ ისტორიას, რომელიც არა თუ ხალხში, უმაღლეს ემულიონებშიც კი ბევრმა არ იცის – უნდათ მგერვლებს, იმერლებს, რაჭველებს თუ არ უნდათ, ჩვენი წინაპრები მგერვლები და სვანები არიან. ეს ყველა უნდა იცოდეს. ჩვენი ფესვები იქიდან მოდის, ქართლის სახელმწიფოებრიობა იქიდან დაიწყო. ჩვენ კი ამ კუთხის განადგურება მოვიწოდებთ, რასაც არავინ გვაპატიებს. ეს იყო დანაშაული საკუთარი ერი-სა და ისტორიის წინაშე. (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 1998, 2-8 მარტი, №10.)

ამჟამად დედამიწაზე, რამდენიმე ათას ენას ითვლიან, მაგრამ უთუოდ, არავინ იცის რამდენი ენაა გადაშენებული, რამდენი მკვდარ ენათა რიცხვში გადასულია. როგორც აღინიშნა, ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმში მონაწილე შემორანდუმში ხელისმომწერი ერთი ჯგუფი იგივე ბედს უმზადებს კოლხურ, იგივე ზანურ-მგერულ-ჭანურ (გიორგი ციციშვილი, „მაფალუ“ მგერული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამგერვლოს მონაპოვართი ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო, თბ., 2007, გვ. 9.) და სვანურ ენებს. როგორ ეგუება ამას ქართული ინტელიგენცია? ნუთუ

წარსულს არ ჩაბარდა ის დრო, როდესაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ლანძღავდნენ და ავიწყდნენ სამგერვლოს, ამასინჯებდნენ მის წარსულს, ისტორიას, აწმყოსა და მომავალს, ხოლო 1992 წლის დასაწყისიდან 2003 წლის თითქმის ბოლომდე, რამდენიმეჯერ ააოხრეს სამგერვლო, ააწიოკეს მოსახლეობა, მრავალი უდანაშაულო ადამიანი დახოცეს, სახლები გადაწვეს, თვითმფრინავიდან დაბომბეს.

გავისხენოთ XX საუკუნის 20-იან წლებში სამგერვლოში შექმნილი მდგომარეობა.

პროფესორი გიორგი ციციშვილი ნაშრომში „მაფალუ“ მიუთითებს, რომ „მაფალუ“ მგერულ-ავტონომისტურ სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამგერვლოს მონაპოვართი ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო, წერს: „წიგნში დოკუმენტებისა და მისი ავტორისეული კომენტარების საფუძველზე გაშუქებულია „მაფალუ“-ს და მისი დამაარსებლების სტეფანე გაგუასა და მიხეილ კანკაგას მიზანდასახულობათა შესახებ“, რომ ამ არაპარტიული, არაპოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ არასწორი, უპირინციპო ბრძოლა წარმოებდა, რომ „ამ ბრძოლაში მთავარი ის იყო, რომ ეს უკანასკნელები (მაფალუელები) უფრო ახლოს იდგნენ ხალხთა ინტერესებთან. აქ მთავარი ის არის, რომ მოწინააღმდეგეები ი. ფვანის ყალბად უგრცელებდნენ ჭორომის უყენებდნენ მგერული ნაციონალიზმის მეთაურის ბრალდებას. ამით კი ისე გამოჰყავდათ, თითქოს მართლა არსებობდა მგერული ნაციონალიზმი და ანტიქართული სეპარატისტული ტენდენციები და პროცესები“. მაგრამ, სამწუხაროდ, „დღემდე შემოვარდნა, „მაფალუელობის“ ქვეშ იმ დროს პარტიის ლიდერების მიერ „სიტყვის ხერხად“ მოაზრებული გამოყენებული „ეროვნული საშიშროების“ ყალბი გაგება. იგი მგერული ანტიქართული საშიშროების იმიტაციას ყოველ კონკრეტულ პერიოდში იწვევდა. (მგერვლები და ლაზები მრავალი საუკუნის განმავლობაში განცალკევებული არიან ერთმანეთისაგან და მგერულ ლაზებს შორის განსხვავება დაფიქსირდა იმდროინდელი, მით უმეტეს ლაზურში, მრავალადა შესული და კიდევ შედის თურქული სიტყვები. მიუხედავად ლაზ-მგერვლების მნიშვნელოვანი დონის დიპეზისა, თურქეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს (აკეთებდა საუკუნეების განმავლობაში) რომ ამოშალოს ლაზ-მგერვლთა ნაკვეთი. ეს ვერ გააკეთა საუკუნეები და ალბათ ვერასოდეს ვერ გააკეთებს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს.

„მაფალუს“-ათვის სეპარატისტული განწყობილების გავრცელების სხვა მიზეზებთან ერთად პროფ. გიორგი ციციშვილს მიანია ისიც, რომ „სადღესიოდ არ მოიპოვება არც ერთი სერიოზული ნაშრომი, რომელშიც ობიექტურად შექლება „მაფალუს“, ისაკ ფვანისა და საერთოდ „მგერული საკითხის“ ისტორია. სწორედ ამიტომ ხდება „მაფალუს“ და „მგერული საკითხის“ ყალბი ისტორიის თავისებურად გამოყენება.“

არა მარტო ამჟამად, არამედ XX საუკუნის 90-იან წლებშიც წარმოებდა მძიმე ბრძოლა მგერული „ნაციონალიზმისა“ და მგერული ენის წინააღმდეგ.

ერთი ამჟამინდელი მაგალითიც: პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილს თავის ზოგიერთ ინტერვიუში (2008 წლის ოქტომბრის დამდეგს) გახუთ „ალიაში“, უნიჭიერეს და ღირსეულ ჟურნალისტთან, გელა ზედელაშვილთან საუბარში, დაპირაკი აქვს მგერულ „სეპარატიზმზე“, რისთვისაც ყალბად იყენებს უცხოეთის პრესის მაგალითებს და დასძენს: საკითხი იუპორში გადავიტანოთ, თორემ მგერვლები გახუთს წაიკითხავს და ეწყინებათ. რ. კლიმიაშვილი მსგავსი „ინფორმაციით“ გახუთ „ჯორჯიან თაიმსსაც“ მიწვდა და აქაც ასხენა მგერული „სეპარატიზმი“ და აქაც „იყენებს“ უცხოური პრესის მასალებს (არ ვიცი უცხოური პრესის მასალებს აქ, აღნიშნულ გახუთში ყალბად იყენებს თუ არა, რადგან რ. კლიმიაშვილის მიერ აღნიშნული უცხოური გახუთი, ვერ მოვიპოვე).

კლიმენტი შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

– "ულა" მგერულად ნიშნავს "(წა-ს)ვლას"; როგორც ვნახეთ მგერული და ძველქართული "უ" ჩანანაცვლა "ვ" ბგერამ; პირვანდელი ფორმა რომ იყო "ულა" და არა "ვლა" ეს ასახულია სიტყვებში "გარ-დასული" (გარდასულა-გარდასვლა), "წარ-სული", "გასული"; მსგავსად ამისა გერ-მანულ ენაში სიტყვა "(ს)ვლა" - გერმანულად "გვენ" მთელ რიგ სიტყვებს აწარ-მოებს, მაგალითად: "უსვანგ", "ფორვანგ", "ნახვანგ" და ა.შ. "ულა" ბრუნვაში არის "მეურქ"-მიდისა და "მეურც"-ურს"-მიდის, აქედან კი სიტყვები "ურემი" და "ურიკა".

– სიტყვა "მოდი" მგერულად არის "მორთი"; "რო" ფუძე ვიცით რომ ურთიერ-მოქმედებებს აწარმოებს ქართულურ ენებ-ში, ამდენად ცხადი ხდება, რომ არქაული ფორმაა "მორთი" და არა "მოდი".

– ქართულ სიტყვა "კი" (თანხმობა) მგერულად არის "ქი", რასაც შეესაბამება ქართული "ხი"-ს; აქედანაა ქართულ დიალექტებში არსებული ფორმა "ქი" (ქე ვიცი, ანუ კი ვიცი). ძველქართულად "ქი"-ს შეესაბამება "ქე"; ამდენად სიტყვა "კი" თავიდან იქნებოდა "ქიქი". სიტყვა "ღიას" იქნებოდა "ღიას" (ღელა ღვთაება) და "ხ-ხო-ქი"-ს ერთობა (ღიასქი). "ქი" ძირსვე უკავშირდება სიტყვა "ქორე"-არის და "ქოფე"-ყოფე-ყოფილა; აქედან სიტყვა ყოფნა.

– ქართული სიტყვა "არა" ნაწარმოებია მგერული სიტყვიდან "ვარ(ა)"-ვა". სიტყვა "არაში" "ვ" ასოს დაკარგვაზე მიგვანიშნებს ქართულივე სიტყვა "ვერ", "ველარ", ასევე სიტყვა "ვარის" დასავლურ ქართულ დიალექტებზე არსებული ფორმა "ვარი". თუ "ვ" ასომ უმეტეს შემთხვევებში ჩანანაცვლა "უ" ასო "ვარის"-ვარის" შემთხვევაში პირიქით მოხდა, რადგან თავსართი "ვ" სა-თავისო ფორმაა: "ვაკეთებ, ვამბობ, ვიქმ-ნი" "უ" თავსართი კი ერთის მხრივ "უმე-ტვობაა" (უფრო, უდიდესი, უძიერესი) და მეორეს მხრივ უქონლობას აღნიშნავს (უფულო, უგუნური, უჭმელი...), ამდენად სიტყვა "ვარი" გამოდის "ვარო" ანუ "არას" გარეშე მყოფი და მეორეს მხრივ "უფრო დიდი არა"-უფარესი"-უვარესი"-ეს კი ნონსენსია; ამდენად მართებული ფორმა მართლაც არის "ვარი", მაგრამ ეს-ეთი ფორმათ ვერ დარწმუნდა ქართულში, რადგან სათავისო "ვ"-მ აწარმოებდა ისეთი სიტყვები, როგორცაა "ვარისი" და "ვარ" (მე ვარ)- მგერულად "ვორე" - მგერული "რე" ნიშნავს "არის"-ს - ძველქართული "არს". თეოლოგიაში ღმერთი "არსია"-შეარსებელი და "არსის-შინაარსის" მიმ-ცემი - ეგვიპტურშიც მარსებულ ღვთაებას ქვია "რე" (იგივე "რა"); ლათინურად მეფეს ეწოდა მისი სახელი "რე", რაც ეტრუსკულ-იდანაა. ეს ქართული სიტყვა "არს-არის" ხელოვნურად-დაზღუდულ შექმნილი უნდა იყოს საეკლესიო ლინგვისტური რეფორმე-ბისას- "ა" თავსართი "აღმატება" ისე როგორც "აგება, აღმართვა, აფრენა, ასვლა" "ს" ბოლოსართია, ისევე როგორც "გავს", "მდგომარეობს, ჩანს" ძირი გვრდება "რ"-მგერულად "რინა" - ნიშნავს არსებობას-ყოფას; ამდენად სიტყვა "არის"-არსის" ძირია მგერული "რე".

– ასევე დაზღუდულ შექმნილს გავს სიტყვა "ხარ" - ეს "ხ" უწესრიგოდაა აქ ჩასმული და სხვა სიტყვებთან კავშირს და ანალოგს ვერ პოულობს, მგერულში კი არის "რექ"(ხარ) რაც ასევე ქარულ ფორმებთანაც მოდის შესატყვისობაში, მა-გალითად: "შესდექ, დადექ".

– ამდენად მგერული ფორმები თვით ქართულისთვისაც კი გრამატიკული თვალ-საზრისით უფრო გამართულია, რაც აგრეთვე ადასტურებს იმას, რომ ქართული ენა გამოყოფილია მგერულს. სვანური ენა კი არის მთლიანად მგერული და ადილო-თურქმენული ენების ნახავი, ისევე როგორც წოვა თუ შური არის მთის ქართულის და ნახურის ნახავი. სვანურ ენაში ის სიტყვებ-ნი, რომლებიც მგერულში არაა სვანურში შესულია ადილო-ყაბარდოული ენებიდან, ასევე არის პირდაპირ ქართულიდან შესული სიტყვებიც. თუმცა არის რამდენიმე ისეთი უძველესი კოლხური სიტყვაც, რომ-ლებიც ვეღვაზე უკეთ სვანურშია დაცული. გარდა ამისა სვანურში მთიულური-გაუხ-ეშებული მტყვევლების თვისებიდან გამომ-დინარე ბევრი მგერული სიტყვა უბრალოდ დეფორმირებულია, ასევე დეფორმირებულია ადილო-ყაბარდოული სიტყვებიც. ამდენად შეგვიძლია დავასკვნად, რომ სვანური ენა მთიულური მგერულია ადილო-ყაბარდოული მინარევებით. მაგალითისთვის მოვიყვან-ზოგავთ სვანურ-ადილო-ყაბარდოულ სიტყვას: ფუსტ-ფუსტ(ფში)-ბატონი(თათრ-ულად ეფენდი); ფაყ-ფაყ=ქული; ხედა-ხეთა=რომელი; მეგემ-ჩეგემ=ხე; ლემესკ-

მასკე(ე)ცეცხლი; ხამ-ხვა=ლორი; ჯიბრა-აჯკრა=მუხა; მუს-უ(ე)ს, ასი(აქ) ძირია "ს"-თოვლი; ჩაჟ-(კ)ა(ე)იჟ, ში(კ)აქ ძირია "ჩ(ე)-შ(ე)"; ცხენი; შვიბ-ში"შკლე(აქ) ძირია "შგ"-შე"რკო; თხერე-თიდეჟ(აქ) ძირია "თხ"-თლ" თურთმენილი "თ(ა)ლირიდან" მგელი; მიშვი(მი)სიჟ-ჩემი; ფხუღ-ფხუჟ=თითი; ეხა-ეხი=ის; პაშდექე-პაშინდირხუ=ხელიკი; ლიპეშდე-პეში-ტი=გადადობება და ა.შ. სვანურს და ადილო-თურქმენულ ენებს აქვთ ამასთანავე საერთო გრამატიკული ფორმებიც, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

– ეს მოკლე ლინგვისტური კვლევაც კი ცხადყოფს რომ ქართული ენა ზანური ენის ბაზაზეა წარმოქმნილი და ამდენად ითანე-ზონისებს მიერ ნახსენები "ლაზარე" ენა სწორედ ეს "ზანურ-წანარული" ენაა რომლითაც მტყვევლებდნენ მცხეთაში "მო-ქცევამდე", შემდგომ კი მცხეთა იქცა ქრის-ტიანული-სალიტერატურო ენის ანუ კარ-ტოგრაფიული-ქარტალური-ქართული ენის გაავრცელების ეპიცენტრად. საეკლესიო ქართული ენის ჩასახვის ადგილად კი მი-მანია კაბადუკია, სადანაც იყო "ახალი

სამეფოს მეფებს ქრქვათ "ფარნაბაზი". "ფარ"-ძირიდანაა ქართული სამეფო სახ-ელები: "ფარნაბაზი", "ფარსმანი", "ფარან-დატი" (მარებისა და კოლხების მეთაური), "ფარნაკე", "ქსეფარნუგი", "ფარნაჯომი", "ფარნადი" და "ფარტაზი" - დაბოლოვება "აზი" დიდის-აღმატებულის და წარსინებ-ულის აღმნიშვნელია, რომელიც შემორჩე-ნილია ქართულ სიტყვა "ბუმბაზიში". ამავე დაბოლოვებისაა მეფის სახელები "გუბაზი", "აზო", "აზოკი" და უმაღლესი გეორგიანული ღვთაების სახელი "არმაზი", რომლის მეორე სახელია "ფარნაბაზი". "აზ"-ძირისაა წოდება "აზნაური", "ვაზირი", "აზატი", რუსული "კნაზი", სკანდინავიურადაც "ას"-აზ" დიდგვაროვანს ნიშნავს - თუმცა ეს არ უნდა აგვერიოს თათრული ტომების თვისახელ "ას"-აზ"-ში. გეორგიანული "აზ"-ძირისაა გეორგიანულ-ქალდეური სახ-ელები: "ჯამაზი" (ჯამა უხუცეს ნიშნავს), "თამაზი", "მალხაზი", "რევაზი", "რამაზი", "აზმიფარა" აგრეთვე ქართული სიტყვები: "აზრი", "აზმანი", "დარბაზი", "ლამაზი", "ნაზი", "ლაზათი" და ა.შ. მგერულად "აზა-ტი" ნიშნავს თავისუფალ და კეთილშობილ

ადამიანს. "აზ" ბოლოსართისებურია მგერული ბოლოსართი "ეზი" და მედიტ-ერანული "ოზი", მაგალითად: "ანგელოზი", "კალაოზი", "ტარტაროზი", "ავგაროზი", "მაფიოზი", "ფარნეზი", "ბორგეზი" და ა.შ. "აზ"-ძირს უკავშირდება აგრეთვე ქართული ძაღლის ჯიშის სახელში "ნაგაზი" (შესა-ძლოა თავფორმა ყოფილიყო "ნაგერაზი"), აგრეთვე გავრთილი შევარდნის სახელი "ბაზიერი" და ვეფხვისებული ცხოველის სახელი "ავაზა". საეკლესიო ენაში "ავაზას" სახელი ბერძნულ-ლათინურად: "ლეონ(ბ)არ-დი-პარდუს", "გეპარდი", "პანტერა"- (პარ)ტერა). აღსანიშნავია რომ ძველი დროის მეფეები და ღვთაებები ხშირად ავაზის ტყეებში არიან მოსილნი. წარმარ-თულ ღვთაებათა და დიდებულთა ვარსკვლავებიან სამოსელს ქვია "ვალა"-პალა". ევროპულ ენებში სიტყვა "პანი" და "პატრონი" ნიშნავს ბატონს და პა-ტრონს - ბატონი მგერულად არის "პატენი" - აქედან სიტყვები "პატივი" და "პატიება" რაც იტალიურად არის "პატიე" და "პერ-დონი" - ფრანგულად "პარდონ". თალმულში იყოს (ოსების) მამის სახელი "პანდერე". ქრისტე ქართულად "უფალია"- "უ" თავსარ-თი აქ "უფროს"-უმეტეს" ნიშნავს, როგორც ხუცესი და უხუცესი. "უფალისი" ერქვა "ფარნაგაზი" მამას; რომელიც იყო მცხ-ეთის "მამასახლისი", იგივე "პიტიაზი"- ლათინური მამის აღმნიშვნელი სიტყვაა "პიტერ"-პატერი". ძველქართულად სამეფო სასახლეს ერქვა "პალატი".

– "ფარ"-ძირიდანაა ნაწარმოები აგრეთვე გეორგიანული ტომონიმებიც: "ფარავანი", "საფარა", "ფარცხისი", "იფარი" (სვანეთის), "ფარნაკია" (ლაზეთის), "ფარ-მასი" რომელიც პლინიუს უფროსის მიხედ-ვით იბერიის დელტაქალაქია, ესაა იგივე "გერმასტუსი"(გერმასტუსი), რომელიც მდ-ე-ბარეობს მდინარე "ნეორისის" (იორის) პირას - აქ ლაპარაკია არა არმაზზე, არამედ უჯარმაზე, რომელიც მეფე აღსარ-თანის დრომდე კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი უნდა ყოფილიყო. "ვალაისი" (გალების მითიურ ქალაქი), "ვალაია" (ეგვიპტის ერთერთი სახელია - შესაძლოა აქედან იყოს სიტყვა "აფრიკაც" - "ა"ვალ-ი, კა=აფრიკა), "პალესტინა", "პალესტინა", "პალესტინა" (იტალიაში), "პარხალი", "პარიზი", "მონტ პარნასი" (მთა პარნაში), "პარნასი" (მთა პელაზგურ საბერძნეთში), "პარიადრის მთები" - ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული "ფარისოსი მთები", "პართია", "სპერტი", "სიპარი", "სპარსეთი", "სპარტა", "კასპი", რომელიც უკავშირდება კასპიისპირეთში მცხოვრებ ხალხს "კას-პარეზს", "პარმა", "პალერმო" და ა.შ.

– "პარ"-ძირს უნდა იყოს აგრეთვე სიტყვა "პური", ლათინურად "პანე", მგერუ-ლად "ქიპალი", შემერულად "ბაპალი" ("ბაპარი"). სათურად "პური" ბატონს-უფალს ნიშნავდა, ქალდეურად განწმენდას. საქართველოში სარიტუალო ცხოვრებას აგრეთვე ერქვა თეონიმური სახელები: "ქ-რა-ბერია", "აბრი" და "ვალუსტაკი". სვა-ნური პურის სახელი "დიარ" აგრეთვე თეონიმურია და მასში ღვთაება "ღიას"-ღიასლას" სახელი იკითხება. ამდენად ძველი აღთქმის ბიბლიის ლოცვა "მამო ჩვენში" ნახსენები "პური ჩვენი არსობისა" და ახალი აღთქმის ცნება, რომ პური

უფლის ხორცია იმ დროინდელ რელიგიურ ტრადიციებს უნდა ემყარებოდეს როცა ადამიანმა ხორბლის მოყვანა და პურის გამოცხობა ისწავლა. თეონიმურია მარ-ცვლის სახელი "ხორბალიც" (ჩხორი-ბალი). იტალიურად სიტყვა "ფარინა" ნიშ-ნავს პურის ფქვილს.

– თეონიმურია სიტყვა "ლაპარაკიც" - ლათინურად "პარლე"("პაროლ"-სიტყვა), გერმანული "შპრა"ხე". თეონიმურია აგრეთვე ქართველური მტყვევლების აღმ-ნიშვნელი სხვა სიტყვებიც: "საუბარი", სვანურად "გარვლა"-ლი"გურვალ", მგერუ-ლად "რა'გა'დი" (ღია) - შეადარეთ ბერძნული "დიალექტი". საეკლესიო სიტყვა "ხლაპარიც" - "ხლას"-ძლას" პა-ლეოგეორგიანში ლაპარაკის მნიშვნელობა უნდა ქონოდა, რომელიც შემორჩენილია სიტყვებში: "ლა'ხლანდარი", "მო'ძღ'ვრება", "ლან'ძღ'ვა", "ბუ'ხლ'უნი" ანუ სიტყვა "ხლა-პარი" ნიშნავდა ღვთაებრივ ამბებზე ლაპარაკს. ნეოლათინურ ენებზე ზღაპრს ქვია "ფავოლა", რაც ენათმეცნიერე სიტყვა "პაროლას" და ამდენად შესაძლოა "ფავოლას" თავდაპირველი ფორმა იყო "ფარ(ბ)ოლა".

– საეკლესიო სიტყვებიც: "ფარეხი" და ცხვრის "ფარა" (უფალი მწყემსია), "ფარანი" მგერულად ნიშნავს დროს (აღბად მზის საათის მიხედვით, რომელსაც უკავშირდება აგრეთვე სიტყვა "ჰამი"-ჰამი - "ბჟა" მგერულად მზეა). "ფარა" მგერულად უფლავს ნიშნავს, თუ რატომ ამას უძველესი მონეტების გამოსახ-ვლები მიგვანახებენ - ძველ ბიბლიაში მოხსენიებულია მონეტები სახელად "ფარეხი" და "უფარსინი". "ფარდი" არის ზღვარი-ზომა - აქედან სიტყვა "ფარგალი", "შეფარდება" და "ფართე". "ფალუა" მგერუ-ლად ნიშნავს გაფურჩქნას-აყვავებას-აღ-მოცენებას - ჰელაზგურ ტრადიციაში გა-ფურჩქნული ყვავილი გამოსახავს მარცვალ "აია"-ს ანუ მზეს. აქედანვეა სიტყვა "ფლო-რა". "ფალ" ძირიდანაა სიტყვები "სოფელი" და "მსოფლიო" - იტალიურად სოფელი არის "პაეხაჯო", ქვეყანა (მსოფლიო) კი "პაეხე". კონტინენტის სახელი "ევროპა" მიხნეულია რომ ქალის სახელიდანაა მიღ-ებული, მაგრამ მოდიო ამ სახელის ეტი-მოლოგიის დასადგენად ვცადოთ და გამოვეთ "უ" თავსართი და გავისხნოთ უძველესი ქვეყნების სახელები: "კავისი", "ეგეიდა", "ელადა", "ეგეა", "ეგესალდუნი" (ბასკეთი), "ე-დინე" ანუ "ე-დემი" ანუ "ე-დუნია" ანუ ქვეყანა "ე", საიდანაც იყო "ე-ვა" - ასეთ შემთხვევაში გვრჩება "ეროპა", "ე" ასომ ვიცით რომ ბერძნულში და ებრაულშიც "ბ" ასო ჩანანაცვლა, თუ მას აღვადგენთ მივიღებთ "ბროპას", "ბრ" დაუშ-ვათ ამ შემთხვევაში შეიღოს გულისხმობს (ზანური ბრეე), "ოპა"-პა"-პაეხე" კი ქვეყანას. ასეთი ანოკითხვით "ევროპა" იმიფრება როგორც "ეას შვილთა ქვეყანა" - თუ გავისხნებთ რომ ბერძნულიავე ტრადიციაში "ე" შეესაბამება მარცვან "აიას" პირველი ქალი "ევა" იგივე "აიაა", "ევროპა" კი გამოდის "აიას შვილთა ქვეყანა" რასაც ზუსტად შეესაბამება ბას-კეთის სახელიც "ეესკალდუნი" - "სკალ" იგივე ზანური "სკუაა" (შვილი), "დუნი" კი ქვეყანა. ამასთან შესაბამისი მოდის ბას-კეთის მეორენაწიო სახელიც "ზისკაია" ანუ "პერის სკუების აია". ამდენად "ევროპა" და "ევა" თავიდან მხოლოდ მოკვდავი ქალის სახელი არ იყო - "ევას" საწყი ფორმად აღდგება "თან"აია"ბა" - "ბა" ნიშნავს შვილს და თან დაბადებულს, ამდენად "ევა" განიმარტება როგორც "აია დამბადებელი" - მართლაც ევა პირველი დედაა, მისივე სახელი ფორმაა "მაია" - "მე" თავსართი ნიშნავს "მეაიეს" ანუ "მევეს" ანუ "ევა"-აიას" მსგავსს. "მარიამი" კი ნიშნავს "მარეიანს" ანუ "კაცინს" და "კაცის გამწენს". ღვთისმშობელი "მარიამი" ღმერთის დედაც იყო და ღმერთის შვილიც, მისი პირში კი ღმერთიც იყო და კაციც. ღმერთკაცი იყო აგრეთვე "ამირანიც" - ბერძნულად "პრომეთე" - სახელი "პრომ-ეთეს" ეტიმოლოგიას ზეიად გამსახურდია ხსნის როგორც "პრო"-წინარე და "თეოს"-ღმერთი, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლოა "პრ" კომპონენტი "პარ" ფუძიდან იყოს მიღებული: "პრ-პარ(გასხივოსნებელი)-ომ(კაცი)-თეოს(ღმერთი)". საეკლესიო სიტყვა "პრომეთე" - "პარ"-პალ" ძირისაა ქართული წარმართული პანთეონის ღვ-თაება "კოპალაც", რომელიც თქმულების თანახმად ადრე კაცი ყოფილა და მერე გაღმერთებულა, ამდენად "კო" შეგვიძლია გაავიგოთ როგორც "კაცი"-კონი", "პალა" კი ღმერთი - "უ'ფალი".

ენა ლაზარე

ნინო" (შესაძლოა ჰელენე დედოფალიც) და სადაც ცხოვრობდნენ ქრისტიანი ზანები.

პარ-ფუძე

– "პარ"-ფარ"-პალ"-ფალ" ფორმები შეესაბამებიან როგორც ერთმანეთს, ასევე "გერ"-გარ"-ბერ"-ბარ"-ბელ"-ბალ" ფორმებსაც.

– "ფარი"-პარი" გეორგიანულ-ქალდეურ სამყაროში აღნიშნავდა მზის ღვთაების წმინდა სინათლეს, ნათელმოსილებას. აქედანაა ნაწარმოები ქართული სიტყვა "ფარანი" და "ლამპარი" (ინდოევროპულად "ფალი"-ფაკელ"-ფაგარი). ალექსანდრიის შუქურას ერქვა "ფაროსი". სვანურად "ლიმპარი" ამასთანავე ნიშნავს ჩირადანს - სვანეთში დღემდე შემორჩენილია წარმართული დღესასწაული "ლიმპარობა", როცა ღამით სვანები ჩირადღნებით ხელში ადიან მალაღ მთაზე და გარკვეულ რიტუალს ას-რულებენ. ოლიმპიური ჩირადღანი ამ "ლიმპარიდან" იღებს სათავეს: თავსართი "ო" შეესაბამება "სა" თავსარცამ, ამდენად "ოლიმპოს" ნიშნავს "სალიმპარეს". ნ.კ. შპრინგელის აზრითაც ოლიმპიური ას-პარეხობა პელოპონესში კოლხეთიდან არის შესული.

– საქართველოში სიტყვა "ფარს" თავი-დან მზის დისკოს მნიშვნელობაც უნდა ქონოდა. ერთერთ ქართულ სარიტუალო ცეკვას ქვია "ფარცაქუკი", რაც განიმარტება როგორც "ფარი"-მზე, ცა და კუკუ, ანუ უკუნეთი, ანუ ეს სარიტუალო ცეკვა ჩამ-ნელდება ცის მზის მიერ განათებას ასახავდა.

– მგერულ სიტყვა "ფარსავი"-ფარსავი" ნიშნავს ჩინებულს-ბრწყინვალეს, ხოლო "ფარწალი" თვალების ბრიალს (თვალე მზის სიმბოლოა), "პარპალი" ნიშნავს ცეცხლის ალის ლიცლიცს.

– "ფარ"-ძირს შესაძლოა უკავშირდე-ბოებს ცეცხლოვანი ფრინველი "ფასკუნჯი" - ინგუშურად "ფარა ხასილგი" - ბერძნუ-ლად "ფენიქსი", რომელიც იფევა და შემდეგ ფერფლიდან აღზდება; ასევე "ფარშავანგი".

– ძველსპარსულად "ფარნა" ნიშნავს წმინდა ცეცხლს, ღვთაებრივ სინათლეს და მზე-მეფის ძალაუფლებას. ავესტაში "პარა-დათა" ნიშნავს "მეფეს" - უმაღლეს "ხელისუფალს". იგივე მნიშვნელობის სიტყვის ფორმა "ფარონი" ებრაულად მიიხნევა, ეგვიპტურ ფორმებად კი ივა-რადება "ფრ"-პერ-აა"-პერ-ოჰ"-ფარ-ოს". "ფარ"-ფალ" ძირისაა გეორგიანული სიტყვები: "მამფალი" (მეფე-მამა), "დიუ-ფალი" (დედოფალი), "ფალავანი".

– "ფარ"-ძირი სამეფო სახელებში ხშირ-ად გვხვდება, მაგალითად სკვითურში და სარმატულში არის სამეფო სახელები: "პალი", "სპარგაპითი", "პარტატუა", "საიტა-ფარანი", "ფარნაქსე", "ფარლოზაროსი", "ქსოფაროსი", "პიტეფარქსისი", "მაიტა-ფარნესი". სოგდიანურში და ხორაზმულში: "ბაგეფარანი", "ნაფეფარბი", "განეფარანი", "საქსაფარი", "ფარასმანი", "შაუშაფარი". პართიულში: "მათარფარანი", "ფარნაბაე", "ბერძეფარანი"... ასურულ ღმერთზე წარწ-ერებში გვხვდება: "ავარფარნე", "სიტირ-ფარნა", "იფარნა". ფრანკების მითიურ მეფეს ერქვა "ფარამონდი". ფრიგიის და პონტოს

ადამიანს. "აზ" ბოლოსართისებურია მგერული ბოლოსართი "ეზი" და მედიტ-ერანული "ოზი", მაგალითად: "ანგელოზი", "კალაოზი", "ტარტაროზი", "ავგაროზი", "მაფიოზი", "ფარნეზი", "ბორგეზი" და ა.შ. "აზ"-ძირს უკავშირდება აგრეთვე ქართული ძაღლის ჯიშის სახელში "ნაგაზი" (შესა-ძლოა თავფორმა ყოფილიყო "ნაგერაზი"), აგრეთვე გავრთილი შევარდნის სახელი "ბაზიერი" და ვეფხვისებული ცხოველის სახელი "ავაზა". საეკლესიო ენაში "ავაზას" სახელი ბერძნულ-ლათინურად: "ლეონ(ბ)არ-დი-პარდუს", "გეპარდი", "პანტერა"- (პარ)ტერა). აღსანიშნავია რომ ძველი დროის მეფეები და ღვთაებები ხშირად ავაზის ტყეებში არიან მოსილნი. წარმარ-თულ ღვთაებათა და დიდებულთა ვარსკვლავებიან სამოსელს ქვია "ვალა"-პალა". ევროპულ ენებში სიტყვა "პანი" და "პატრონი" ნიშნავს ბატონს და პა-ტრონს - ბატონი მგერულად არის "პატენი" - აქედან სიტყვები "პატივი" და "პატიება" რაც იტალიურად არის "პატიე" და "პერ-დონი" - ფრანგულად "პარდონ". თალმულში იყოს (ოსების) მამის სახელი "პანდერე". ქრისტე ქართულად "უფალია"- "უ" თავსარ-თი აქ "უფროს"-უმეტეს" ნიშნავს, როგორც ხუცესი და უხუცესი. "უფალისი" ერქვა "ფარნაგაზი" მამას; რომელიც იყო მცხ-ეთის "მამასახლისი", იგივე "პიტიაზი"- ლათინური მამის აღმნიშვნელი სიტყვაა "პიტერ"-პატერი". ძველქართულად სამეფო სასახლეს ერქვა "პალატი".

– "ფარ"-ძირიდანაა ნაწარმოები აგრეთვე გეორგიანული ტომონიმებიც: "ფარავანი", "საფარა", "ფარცხისი", "იფარი" (სვანეთის), "ფარნაკია" (ლაზეთის), "ფარ-მასი" რომელიც პლინიუს უფროსის მიხედ-ვით იბერიის დელტაქალაქია, ესაა იგივე "გერმასტუსი"(გერმასტუსი), რომელიც მდ-ე-ბარეობს მდინარე "ნეორისის" (იორის) პირას - აქ ლაპარაკია არა არმაზზე, არამედ უჯარმაზე, რომელიც მეფე აღსარ-თანის დრომდე კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი უნდა ყოფილიყო. "ვალაისი" (გალების მითიურ ქალაქი), "ვალაია" (ეგვიპტის ერთერთი სახელია - შესაძლოა აქედან იყოს სიტყვა "აფრიკაც" - "ა"ვალ-ი, კა=აფრიკა), "პალესტინა", "პალესტინა", "პალესტინა" (იტალიაში), "პარხალი", "პარიზი", "მონტ პარნასი" (მთა პარნაში), "პარნასი" (მთა პელაზგურ საბერძნეთში), "პარიადრის მთები" - ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული "ფარისოსი მთები", "პართია", "სპერტი", "სიპარი", "სპარსეთი", "სპარტა", "კასპი", რომელიც უკავშირდება კასპიისპირეთში მცხოვრებ ხალხს "კას-პარეზს", "პარმა", "პალერმო" და ა.შ.

– "პარ"-ძირს უნდა იყოს აგრეთვე სიტყვა "პური", ლათინურად "პანე", მგერუ-ლად "ქიპალი", შემერულად "ბაპალი" ("ბაპარი"). სათურად "პური" ბატონს-უფალს ნიშნავდა, ქალდეურად განწმენდას. საქართველოში სარიტუალო ცხოვრებას აგრეთვე ერქვა თეონიმური სახელები: "ქ-რა-ბერია", "აბრი" და "ვალუსტაკი". სვა-ნური პურის სახელი "დიარ" აგრეთვე თეონიმურია და მასში ღვთაება "ღიას"-ღიასლას" სახელი იკითხება. ამდენად ძველი აღთქმის ბიბლიის ლოცვა "მამო ჩვენში" ნახსენები "პური ჩვენი არსობისა" და ახალი აღთქმის ცნება, რომ პური

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურბშიცხეულ კოლეგებს

დასაწყისი – “ილტორი” №№238-249
სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.
ბალზამი
ჭეშმარიტება არ იხადება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.
შილერი

ახლაც თვალწინ ვარბიან საშინელებათა კადრები, რაც გამოვიარეთ ჩვენს ხალხთან ერთად. ამპარტავენული, კაცთმოძულე, უგუნური და წინდაუხედავი – დალატის ტოლფასი პოლიტიკის შედეგად, გაღებულ მსხვერპლი და ტყვიანი იმდენად განუზომელია, რომ ვერაფერ შემაკავებდა!

ვერც, თქვენ გამანუშობი, ბატონებო! თქვენი ნაქები ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისასტიკე ყველამ უნდა იცოდეს, რათა იგი არასოდეს, არასდროს არ განმეორდეს!..

სახვასში მიხდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ **“უმეტრებულზე”**, რომლებსაც თქვენ ასე დაუსაბუთებლად მებრალბეთ, და თქვენი თქმით, ასე განხეულია ჩემს წიგნში, ბატონო ჯემალ! ამაზე მე საგაზეთო წერილშიც ვისაუბრე, მაგრამ ეს ისეთი თემაა, რომ მას აქაც ვერ აუვლით გვერდს!

რატომ არის უმეტრება, თუ (თუნდაც არაფილოლოგია) გამოვავლინე ინტერესი ისეთი საკითხისადმი, როგორც არის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილების **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორის ვინაობა. ეს თემა საუკუნეების მანძილზე იყო არაერთი მეცნიერის სერიოზული კვლევის საგანი, მაგრამ ამ სწორუფროსი შედეგის ავტორის ვინაობა დღემდე დიად რჩება. ვის არ გამოუთქვამს პრეტენზია გენიალური პოეტის კუთვნილებაზე, ვინ არ გვეცილებოდა და არ დასვს დღემდე – სპარსი, ოსი, სომეხი თუ სხვა. ამ დროს გამოდის ქართველი მეცნიერის – პროფ. ამირან ცაბციშვილი-ფირცხელაურის ფუნდამენტური ხუთსაგვერდიანი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც გვთავაზობს ყველაზე სარწმუნო ვერსიას და გვიდასტურებს რომ **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორი იყო არა ვინმე სხვა, არამედ შოთა (იოანე) ვარდანის ძე დადიანი (დაიბადა 1060 წელს და აღესრულა ღრმა სიბერეში 1150 წელს), რომელიც ცხოვრობდა მეფე გიორგი III-ის და მისი ქალიშვილის – თამარის ეპოქაში, მათ კარზე განათლების ვეზირის თანამდებობა ეჭირა. საზოგადოებაში, ლიტერატურასა თუ მეცნიერებაში ამ ფაქტს არ მოჰყოლია არავინათ გამოხმაურება – ყველაფერმა ისე ჩაიარა, თითქოს არაფერი მომხდარა (დაეგმო, გაეკიცხა, უარყო ვინმეს

მაცნე). რატომ?! თუ გიფიქრიათ ამაზე, ბატონო ჯემალ?!

თქვენთვის და თქვენისთანა ურწმუნო თომებისთვის, ჩემი თხოვნით, კიდევ ერთხელ გაშუქდა ეს თემა გაზეთ **„ილტორში“** (ა/წ თებერვლიდან 208-215), სადაც იბეჭდებოდა ამირან ცაბციშვილი-ფირცხელაურისეული უახლოესი ცნობები **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორზე.

არამგონია, რომ თქვენ ამ საინტერესო ცნობებით აღფრთოვანებული დარჩით! როგორ ფიქრობთ, რატომ არის ტაბუდებული ეს თემა, ვის არ აძლევს ხელს **„ვეფხისტყაოსნის“** ნამდვილი ავტორის ვინაობის გამხელა? იქნებ, გიფიქრიათ იმაზეც, თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ბრძნული და ფილოსოფიური აზრებით ვგზომ დახუნძული პოემის ტექსტი შემორჩენილიყო საუკუნოობით ხალხის მეხსიერებაში და დაევიწყებინა მისცემოდა მისი ავტორის ვინაობა? ან რატომ არ პქონდა ანალოგიური მოვლენას ადგილი გრიგოლ ჩახრუხადის **„თამარის“** და მოსე ხონელის **„აბდულ-მესია შაეთელის“** შემთხვევაში. ესენიც ხომ იმ ეპოქის კულტურული ძეგლებია?!

მე ვგრძნობ, რომ ბევრ **„უხერხულ“** კითხვებს ვისვამთ. თქვენი **„შორს-მჭვრეტელი“** პასუხებიც ვიცი და მაინც დაუინებოთ მინდა გავიგო: თუ გაქვთ თუნდაც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, ხე მოაღინაშულ **„მტკიცენულ“** თემებზე მსჯელობა, რატომ არის მიუღებელი, უმეტრება და რატომ უწყობს ეს ხელს ე.წ. მებრუნდ სეპარატიზმს?! რომელ სეპარატიზმზე საუბრობთ თქვენ, საერთოდ, ბატონო ჯემალ?! ან ვინ გათხრობა, რომ სამეგრელოც სხვისელება! აბა, სად ამოიკითხეთ, წიგნის რომელ გვერდზე? საიდან მოგაქვთ ასეთი გამაოგნებელი ამბები, ვის თავეში იხარებოდა ასეთი აბსურდული აზრები? რა მოგივიდათ, ასე რომ შეგაცხუნათ?!

რომლებმა სულ სხვა რამეშია და მე ამ თემას ვუბრუნდები ისევე, ჩემი **„პიტირასი“** ოპონენტების მსგავსად, მეწინავე! ვერ ხედავთ, რომ კახელს, იმერელს, რაჭველს, არც გურულს ეშინია, რომ თქვენ სადაურნი არიან. თქვენ კი ასე რამ შეგაშინათ, თქვენა მეგრული რომ ხართ?! ასე რამ შეგაძულათ თქვენი დეიძლი მხარე?! ნუთუ დედას არ უმღერია თქვენითვის: **„ბრუნია, ნანა, ბრუნია ბონდო, ჭიჭე ტურა მოურსია...“** ან რატომ არის **„ანტიქართული“** ან **„ანტისახელმწიფოებრივი“** აზროვნება, თუ ვინმემ თქვა, რომ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა ძველს-ძველად, საუკუნეების

მანძილზე იბერიად იწოდებოდა და დღემდე დგას იბერიის (კოლხეთის) საბირკველზე, მის ისტორიაზე? რატომ არის ეს **„დანაშაულებრივი არაკომპეტენტრობა, მიამიტობა“**, თუ კი ქართული ისტორიის ისეთი კორფეებიც, როგორებიც არიან ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ყიფშიძე და სხვნი აღიარებენ, რომ ძველ იბერიაში ძირითადი ენა იყო იბერული-ლაზურ-მეგრული (ზანური) და ეს ენა, ვიმეორებ, ამერ-იმერში იბერულად იწოდებოდა, ხოლო ქართლის გამორჩენის (მე-6 საუკუნე) და ქართლის სამთავროდ, მოგვიანებით კი სამეფოდ ჩამოყალიბების, მისი აღზევებისა და ბაგრატ მე-3 მიერ ამერ-იმერის გაერთიანების (მე-11 საუკუნე) შემდეგ, ქვეყანას საქართველო ეწოდა და ამაში უდიდესი როლი მიუძღვის სწორედ კოლხეთს, მის კოლხ მოსახლეობას – რა არის აქ გაუგებარი? რატომღა, **„აგი წინასწარგანზრახულობა“** საუბარი ისეთ უპირველესტო ფენომენზე, როგორცაა მეგრული ენა? ჩვენი აზრის – ქართული აზრის თითქმის ყოველი ასო-ბგერა მეგრულ ენაზე ხომ ცალკე საგანს ან მოვლენას ნიშნავს, რაც არ შეინიშნება მსოფლიოს არცერთ ენაშიც, მათ შორის თვით ქართულშიც! მეგრულ ენაზე თითქმის ყველა ზმნა სამაგვარ ინფორმაციას შეიცავს: ერთდროულად მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვისზეა საუბარი, სად იმყოფება მოქმედი პირი ან საგანი და რას აკეთებს იგი. ეს ხომ ფანტასტიკურია! ან რატომღა დასამადლო, რომ ტყველ ენას გააჩნია ამოუწურავი სიტყვის მარაგი. ეს ხომ საოცრება და საამაფია?!

რატომღა მიჩქალალოდ ის ფაქტი, რომ ჩვენი აზრის – ქართული ასომთავრული 38 ასო-ნიშნებიდან, თავის დროზე, ხუთი ასო-ნიშანი იქნა ამოღებული და დღეს ისინი არ არიან ხმარებაში? რომელია ისინი და რომელ კუთხის მოსახლეობის ენის ფონემას შეესაბამებენ ეს ასო-ბგერები? რატომ მოხდა ეს და რა მიხედვით იხარავდა იგი? ეს ფაქტი ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი აზრის – ქართული ასომთავრული, იბერული (ლაზ-მეგრული – ზანური) ენის ამსახველია და რომ ის წარმოშობილია კოლხეთში – კოლხური მოსახლეობის წილად? რატომ არის ამაზე ფიქრი ტაბუდებული? თუ სიტყვის უფლება დაცულია ჩვენში, ფიქრი და საუბარი რატომღა აკრძალული? განა შეიძლება არსებობდეს ბუნებაში სიტყვა ფიქრისა და აზრის გარეშე? თუ გიფიქრიათ ამაზე და სხვა ასეთ გამაოგნებელ **„უმე-**

ტრებზე“, ბატონო ჯემალ?!

ეს, რაც შეეხება ფიქრსა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ მიუბრუნდეთ მთავარს და მითხარით: მეგრული ენის – ამ საოცრების მიმართ აღფრთოვანების გამოხატვა რატომღა სეპარატიზმის თანამედროვე იდეოლოგია? რატომ ენაბილწობთ, როდის და სად ვთქვი, რომ მეგრული ენა უნდა გაუტოლდეს ჩვენ მშობლიურ ქართულს და იქცეს ასევე სალიტერატურო ან სახელმწიფო ენად?! თუმცა, თუ გულწრფელი და სამართლიანი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დამწერლობა ამ უძველეს და უმდიდრეს ენაზე არ უნდა იკრძალებოდეს ჩვენს დროში.

ჩემთვის უბრალოდ ის არის მიუღებელი (ამაზრხენი, გულსატკენი) თუ მეტყვიან, დაივიწყე მეგრული ენა, თუ გინდა იყო ქართველი. ეს არის და ეს! ასე რომ, ნუ გეშინიათ! არავითარი სეპარატიზმი და არანაირი სამეგრელოს გასხვავება! სამეგრელო იყო და სამუდამოდ დარჩება ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებელ ერთ-ერთ უძველეს და ფუძემდებელ კუთხედ!

ვიმეორებ, ეს აქსიომაა, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ საქართველო ყოველთვის როდი ყოფილა ერთიანი და განუყოფელი. რა, მიუწვდომელია თქვენთვის, რომ საქართველო არაერთხელ ყოფილა დაშლილი და დაქუცმაცებული სამეფოებად და სამთავროებად, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეების განმავლობაში, რის შედეგადაც ისინი, მათ შორის აფხაზეთიც, ცალ-ცალკე აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში? რატომ არის ეს თემა ტაბუდებული, რა არის აქ არასწორი და გაუგებარი, ბატონო ჯემალ? განა ავად-სახსენებელი ბოლშევიკების (რომელთა გულანთებული პროპაგანდისტი და მეხობე იყავით თქვენ წლების მანძილზე, როგორც მათი ისტორიის სწორუფროსი ტრიბუნი) მიერ არ იქნა უკანასკნელად საქართველო გაერთიანებული, თუმცა მათე ვადალობით ქვეყანამ დაკარგა ისტორიული ტერიტორიებიც, მაგრამ მაინც, რატომ გეშინიათ გაუსწვროთ თვალს სიმართლეს და რატომ მადანაშაულებთ დაუმსახურებლად იმაში, რაც აზრდაც არასდროს მომხველია?

ნაპო მუსხია,
 პროფესორი
 (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

რამდენადაც მომავალი ქმნილების თვისებები განისაზღვრება ქმნილებაში შემოქმედის მიზნით, ამიტომ თქვამდა, რომ, ჯერ კიდევ, სამყაროს შექმნამდე შემოქმედი თამაშობდა ასოებით. თამაშობდა იგულისხმება თამაში მის საწინააღმდეგო თვისებასთან, როგორც შემოქმედის თამაში ხლვის ლეგენდარულ ურჩხულთან. ყველა ასონიშანი ჯამში ერთიანდება და გამოსწორების ბოლოს თავს იყრის შემოქმედის ერთიან სახელთან (იხ. M. ლაიტმან, 30AP, გვ. 284-285).

ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის 3 საფუძველი: შემოქმედში, მის მმართველობაში და თორაში, სულიერი წინსვლისთვის აუცილებელია მუდმივად გაწინასწორებული ორი სახე: მარცხენა – ცოდნა, ჰომინის (სიბრძნის ნათელი, კ.ფ.) ნათელი, მიღებული მიღების სურვილით, მიეკუთვნება მარცხენა მხარეს, და მარჯვენა – რწმენა, გულმორწყალების ნათელი – მასადმიის ნათელი, აღტრუსიტიული (უანგარო, კ.ფ.) გაცემის სურვილი, მიეკუთვნება მარჯვენა მხარეს.

მხოლოდ ცოდნაში ყოფნა ნიშნავს ყოფნას მარცხენა არაწმინდა ძალების (კლიპატ სმოდ) ხელქვეით, რის შედეგად ადამიანი სულიერად არ გრძობს სულიერს, იმყოფება სულიერი სიბნელებაში. თუ იმყოფება მხოლოდ რწმენაში, ნიშნავს, იმყოფება მარჯვენა არაწმინდა ძალების (კლიპატ იამინ) ხელქვეით, რომლებიც აძლენ მას შეგრძნებას, რომ ის იმყოფება სრულყოფილებაში, რომ არაა საჭიროება თავისთავზე მუშაობისა, გამოასწოროს თავისი თავი, რის შედეგად ადამიანს ერთმევა წინსვლის შესაძლებლობა (იქვე, გვ. 302).

„ჩვეულებრივი აღფავიტიური წესრიგი შეესაბამება ნათელს (Ma)“I, დადგება ზევიდან ქვევით. მაგრამ Ma“H-ის (ლოცვის) წესრიგი საწინააღმდეგოა Ma“I-ისა, აღფავიტიური წესრიგისა, ამიტომ ადის ქვევიდან ზევით.

ასოები – ეს სხვა არაფერია, თუ არა და სურვილები, თვისებები, აზრები, რომლებიც, როგორც ადამიანები ფიქრობენ, მიდიან სულიერი წვდომისაკენ, შემოქმედისკენ, მისი მმართველობისკენ. ადამიანი ირყევა ერთი აზრიდან მეორისკენ, მაშინ თვლის, რომ შეიძლება შევიდეს ერთი თვისებით სულიერ

სამყაროში, მაშინ მას ეჩვენება, რომ შეიძლება შევიდეს სულიერ სფეროში, სხვა თვისების დაუფლებით, მაშინ იწყება ჯიუტად შეასრულოს ყველა მცნება და გულისსურთი ლოცვლობს, მაშინ წყვეტს ყველა მოქმედებას და ეფლობა წარმოდგენაში, ან კითხვაში, მაშინ სურს მხოლოდ ცოდნა, ან მხოლოდ რწმენა, ფანტატიზმადღე.

როგორც ჩვენს სამყაროშია ორი უკიდურესობა – ცოდნა და რწმენა, ასევე სულიერ სამყაროში არის სულიერი მუშაობა ცოდნისა და რწმენის მიღწევისათვის, როგორც უკვე ადამიანი შეგნებულად ადის სულიერ კიბეზე შემოქმედისკენ (იქვე, გვ. 302-303).

შეუძლებელია ზემოთქმულში ებრაელ ბრძენთ არ დაეთანხმოს ადამიანი, მაგრამ, საინტერესოა, რატომ გამოიყენა მაინცდამაინც ასონიშნები ებრაელმა ბრძენმა სულიერი წვდომისკენ, შემოქმედისკენ, მისი მმართველობის შეცნობისკენ მიმწერავი ადამიანის სურვილების, თვისებებისა და აზრების სადემონსტრაციოდ? პასუხი იხ. ქვემოთ.

ახლა კი მივევთ ებრაელ სიბრძნეს: **„22 ასონიშნიდან (სინამდვილეში ბუერადან, კ.ფ.) თითოეული წარმოდგენს ამა თუ იმ თვისებას. ადამიანს მონაცვლეობით ეჩვენება შესაფერისად სულიერში მიღწევისათვის ხან ასონიშნის ტა(თ) თვისება, ხან კიდევ სხვა ასონიშნისა. ეს იმის გამოა, რომ ერთდროულად თავისი სულიერი ადამიანობისა, ადამიანი იწყებს ყოველ ჯერზე სულ უკეთესად შემოქმედის მიზნის გაგებას ქმნილებაში, რაც მოთხოვრება მისგან.“**

და ასე მას გადააქვს ყველაფერი, სანამ ვერ მივა თავის მიხებაში ჭეშმარიტებადღე: მხოლოდ ასონიშან ბეთ-ის (ב) დახმარებით, რადგანაც მისგან იწყება სიტყვა ბრახა – ბუდნიერება, – შემოქმედთან კავშირი, მხოლოდ ამ ძალის დახმარებით შეიძლება მიზნამდე მისვლა“ (იქვე, გვ. 303).

აქ ნაშთობილებული შეხედულების მიხედვით, თითქოსდა, ღმერთმა უფრო ადრე შექმნა ასონიშნები და შემდეგ კი ბუერები, და არამოტივირებულად, პირობით და შეუთხვევით ამა თუ იმ ასონიშნის ენა თუ ის ბუერა დაუფიქრნა.

მაგრამ ერთადერთ იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაში, რომელიც მრავალი მონაცემებით დას-

ტრდება, რომ ვლოტოლონიური ფენომენია, ანუ კაცობრიობის პირველადი, საწყისი ენაა, თითო თანხმონიანი ბუერა-სიტყვები, რომლებიც ბუნებაზე ხმაბაძვით მიიღო ადამიანმა, გამოხატავს იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ადამიანებს აქვთ თვისებად და ებრაული ასონიშნების თვისებებადაა წიგნში „ზოპარი“ წარმოდგენილი.

ეს ჭეშმარიტება ადასტურებს, რომ ბუერები დეითური წარმოშობისა და მათი ხელთნერად შექმნა ადამიანს არ შეუძლია, თორემ ებრაელები არ მიაწვდნენ თავიანთი სურვილების მიხედვით ბუერად გვიან შექმნილ ასონიშნებს იბერიულ ენაში არსებულ ბუერა-სიტყვათა მნიშვნელობებს.

ცხადია, დვთის ნებით, მაგრამ სამეტყველო ბუერებისა და მეტყველების წარმოშობიდან ასევე ათასობით წლის შემდეგ, ადამიანთა გონებაში შექმნა დამწერლობები და ასონიშნები, მისთვის მინტუბული რიგითი ნომრებითა და რიცხვითი მნიშვნელობებით და შეუძლებელია ისინი რაიმე სულიერ საფეხურს წარმოადგენდნენ. ხოლო სამეტყველო ბუერები ნამდვილად წარმოდგენენ სულიერ საფეხურებს, რადგან დვთით მოცემულია და საერთოა ყველა ენისათვის. უფრო ზუსტად, ენებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ბუერებიც, მაგრამ ბუერი ბუერა მშვენიერ ენისათვის საერთოა და ერთი, ხოლო ამ ბუერების აღნიშვნელი ასონიშნები ენების და შესაბამისად, სხვადასხვა და ადამიანი, ამასთან, სხვადასხვა დროს შექმნილი. ეს იმ-იტომ, რომ ბუერები დვითური წარმოშობისაა, ხოლო მათი აღნიშვნელი ასონიშნები, მართალია დვთის ნებით, მაგრამ ადამიანთა შექმნილია. ამიტომ შეუძლებელია, ასონიშნებში იყოს რაიმე სულიერი საფეხური, როგორც ამონიშნაბას აქვს აქ წარმოდგენილი, ვინაიდან მათ მიერ თავიანთი ასონიშნებისთვის მიწერილი თვისებები და სულიერი საფეხურები ადამიანისა, ერთადერთს დედაშიწავს, იბერიულ ბუერა-სიტყვების შემოუნახავს და ადამიანის თვისებებს წარმოდგენს. ამიტომ ებრაელმა ბრძენებმა იბერიული ბუერებისგან შემონახული მნიშვნელობები თავიანთ ასონიშნებში გადაიტანეს და ასონიშნთა სრავიკული გამოხატულებები თავიანთ სურვილებს და იბერიული ბუერების მიერ შემონახულ

მნიშვნელობებს მორავეს, მაგრამ ძალზე სუსტია ეს მორავებებიც იბერიულ ასომთავრულთან შედარებით.

გარდა იბერიული ასომთავრული დამწერლობისა, არცერთ სხვა დამწერლობაში არ არის მოტივირებული ანბანი მწკრივში ასონიშნთა გაწყობის თანმიმდევრობა, რიგითი ნომერი, გარავიკული გამოხატულება და ასონიშნის სახელდება. რადგანაც ანბანთ მწკრივში ასონიშნის რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობანი იბრდება და მაღალი ნომრითა და რიცხვითი მნიშვნელობების მქონე ასონიშნებით შედგენილი სიტყვები, თავისუფლად შეიძლება გაუტოლდეს დაბალი რიგითი ნომრისა და რიცხვითი მნიშვნელობების მქონე ასონიშნებისგან შედგენილ სიტყვათა კომპოზიტებს და წინადადებებს რიცხვითი მნიშვნელობებით, ეს ბუნებრივია, რადგან ნებისმიერ რიცხვში შედის ყველა წინ მგზარი რიცხვები, დაწყებული ერთი-დან თვით ამ რიცხვამდე, ამასთან, სიტყვაში ბუერათა განმეორებაც შესაძლებელია, ამიტომ გამოირიცხულია ასე ხელთნერად გატოლებული სიტყვები, ან წინადადებები (სიტყვათა კომპოზიტები) ერთნაირი დირებულებებისა, ანუ ერთნაირი სიბრძნის დამტევი და ჭეშმარიტების გამომხატველი იყონ.

მაგრამ „ზოპარი“ ჯიუტად ცდილობს გაამაგროს თავისი მტკიცებები და „მოვეითხრობს, როგორ „მიდიან“ ასონიშნები – თვისებები, ძალები, სურვილები შემოქმედთან და ყოველ ჯერზე თხოვლობენ იმას, რომელიც მას ეჩვენება ნამდვილ მიზნად, იმას რა თვისებას და ძალას სურს დაეუფლოს იგი, და თითოეული ასონიშანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისა ყველაზე უკეთესი შემოქმედის შეგრძნების მიღწევისათვის, მასთან შეწყობისათვის. ხოლო შემოქმედი ამტკიცებს, რომ ყველაზე უკეთესი და ერთადერთი – ეს ასონიშანი – ბეთ-ია, რომ მხოლოდ ის აძლევს ადამიანს კავშირს შემოქმედთან. ამიტომ თორა იწყება ამ ასონიშნით“ (იქვე, გვ. 303).

კუპური ფიფია, „ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

მაგალითების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ამჟამად ჩვენი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ შემთხვევას გვინდა შევხვით და ნათელი მოვფინოთ ს. ვიტეს ზემოთ დასახელებულ მოგონებებში აღწერილ ერთ საარაკო გმირობას.

გრაფი ვიტე იხსენებს დედის მხრიდან თავისი ბიძის, დიდად განათლებული პიროვნების, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილის როსტისლავ ფადეევის ნაამბობს, რუსეთის ჯარების მიერ ყარის აღებას (1853 წ.) რომ უკავშირდება. აქ ნათქვამია ფადეევის გულიანადი მეგობრის, ერთი ქართველი ოფიცერის, ორბელიანის გასაოცარ სიმამაცეზე. მიუხედავად იმისა, რომ მოხსენიებულია მხოლოდ გვარი, რამდენიმე მინიშნება გვარ-სმუნებს — ეს ოფიცერი გახლავთ ჩვენი გამოჩენილი პოეტი-რომანტიკოსი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ვახტანგ ორბელიანი; მოგონებებში აღნიშნულია, რომ მისი ნათესავი, ორბელიანის ქალი, კავკასიის მთავარმართებლის ფელდმარშალ ბარიატინსკის ცოლი გახდა, ეს კი, როგორც ვიცით, ვახტანგ ორბელიანის ძმისშვილი, დიმიტრი ორბელიანის ასული ელისაბედი (ლიზა) ორბელიანი იყო. თვით ვიტე წერს, რომ ამ ორბელიანს ყმანილობის უამს ხშირად ხედავდა, რადგან მის ვაჟ ნიკოლოზთან ერთად სწავლობდა ნიკოლოსისკის (ოდესის) უნივერსიტეტში. ნიკოლოზ ორბელიანი — პოეტ ვახტანგ ორბელიანის ვაჟი — პროფესიით იურისტი, მართლაც, პეტერბურგის უნივერსიტეტიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხვის შემდეგ, დიდად მთავრის მიხილ რომანოვის მფარველობით, გადაიყვანეს ოდესაში, სადაც ს. ვიტესთან ერთად მოუხდა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ შემდგომში ნიკოლოზ ორბელიანის სიძე გახდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში მთავარი მანც ვახტანგ ორბელიანის მხედრული თავდადებაა. ფადეევის მონათხრობის თანახმად, ვახტანგ ორბელიანს შეტევებზე წაუყვანია ჯარისკაცთა ერთი მწკრივი და, მიუხედავად ტყვიების სეტყვისა, თურქების პოზიციამდე მიულწვია. ამ დროს გაოგნებული და შეძრწუნებული ფადეევი ხედავს დაუფრებელ სურათს — ორბელიანი ზის ცხენზე და გარდებარდომ იქნეს ხმალს, რათა ჯარისკაცებს გზა გაუკვალოს, მისი ცხენი კი თურქების ხიმტებზეა აცმული. ფადეევი ყვება: „...**ორბელიანი თითქოს კვარცხლბეკზე იყო, იგი არამოსახვდა თავისებურ ქანდაკებას, რომელიც იდგა არა კვარცხლბეკზე, არამედ თურქი ჯარისკაცების ხიმტებზე**“.

ს. ვიტესა და ბიძამისის განცვიფრებას ყველაზე მეტად ის ინვესს, რომ ამ საშინელი ჩეხვისა და ჩახაჩუხის შემდეგ ქართველი ოფიცერი, რომელსაც ცივი იარაღით მიყენებული რამდენიმე ჭრილობა აღმოაჩნდა, სიკვდილს გადაურჩა.

სრულიად ბუნებრივია, როსტისლავ ფადეევს, ამ ამბის თვალთ მხილველს, ვახტანგ ორბელიანი ცოცხალ ქანდაკებად მოჩვენებოდა. ქანდაკება არ ვიცო, მაგრამ ვინმეს რომ დაეხატა ეს ბატალური სცენა, უთუოდ ძალზე შთამბეჭდავი სურათი გამოვიდოდა. აღნიშნული ეპიზოდი სხვანაირი შარავანდებით მოსავს დიდებულ მამულიშვილსა და საქართველოს ბრძენ ნიდავდ მწუხარ შესანიშნავ პოეტს, რომელმაც ყარის ომის შემდეგ გენერლობა მიიღო, მაგრამ თავისი მრწამსიდან გამომდინარე, რუსეთის მეფის არმიში სამსახურს თავი გაანება. სხვათა შორის, იმ ომში, ბაშკარელიკლართან (გაუხსენებოთ დემნა შენგულაიას ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა) დაიღუპა ასევე უმამაცესი ქართველი ოფიცერი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა ილიკო ორბელიანი. ვახტანგ ორბელიანის იმიჯით თავმდაბლობაზე, კეთილშობილებასა და რაინდულ ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ქალიშვილის, მარიამ ორბელიანის მოგონებებზე დართული მისივე მცირე ჩანაწერი:

„**მამაჩემი სიმამაცისათვის ბევრჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებით. მახსოვს ისიც, რომ მამაჩემს ოქროს ხმალი ჰქონდა. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩინებსა და ორდენებს. არ უყვარდა დღესასწაულები. როცა მისი იუბილეს გამართვა მოინდომეს, მან დიდი უარი სთქვა**“.

შეიძლება ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნეს, რომ ამ ნიაღვრებს არავითარი კავშირი არა აქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებთან, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის

და ამას თანდათან დაეინახავთ. მაგალითად, მარიამ ორბელიანის მოგონებებში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხილ შერვაშიძის ვაჟის, პოეტ გიორგი შერვაშიძის გვერდით (იგი ბარიატინსკის ადიუტანტი იყო) ნახსენებია სილამაზით განთქმული, მარიამზე ექვსი წლით უფროსი და სიმეფენიერით მისი დამატყვევებელი პაშა (პარასკევა) დადიანი, დედა ალექსანდრე ვიტგენშტეინისა, ვინაც პრინცესა სალომე დადიანის ვაჟ ნაპოლეონ მიურატთან ერთად ძალზე დიდი ამაგი დასდო ბედუ-კულმართობის გამო შორეულ აღმოსავლეთში მოხვედრილ გვანჯი ჩიქოვანს.

წინამდებარე ნარკვევში შეძლებისდაგვარად გვინდა მიმოვიხილოთ სავალალოდ გამქრალი სოციალური გარემო, ალაგ-ალაგ წარმოვჩინოთ დასაღუპად განწირული არისტოკრატთა და ინტელიგენტთა ცალკეული ტიპები, ადამიანთა ის წრე, ვისთანაც ნათესაური კავშირი ან ახლო ურთიერთობა ჰქონდა გვანჯი ჩიქოვანს, თუმცა მოგონებებში მთხრობელი თავადაც გვაცნობს იმ დიდებულ ადამიანებს, რომელთა ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე თვითონ იყო. ძალზე ვრცელია მის მიერ მოყოლილ ეპიზოდთა არეალი, გეოგრაფია, სადაც მთხრობელს უხდება ყოფნა, ცხოვრება, ბრძოლა.

ეპოქაზე, რომელსაც ზედაპირულად, გაკვრით უნდა შევხვით, აურაცხელი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული ცდის შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტური ხასიათის წიგნს

სამაგიეროდ, სიმანოვიჩმა, ყოვლად უანგაროდ, თავის მოძმეები არაერთ უბედურებასა და რბევას გადაარჩინა; იგი თავდაუზოგავად იბრძოდა ებრაელთა უფლებებისათვის და ამ მხრივ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. შემოსავალი და ფულის წყარო მას სხვადასხვა საკმაო ჰქონდა, არ მალავს ისეთ შემთხვევებს, როცა რაიმე საქმის მოკვარახჭინების მერე გასამრჯელოს ბლომად იღებდა და რასპუტინსაც უნანილებდა. თვითონ რასპუტინი მუდამ ეხმარებოდა ღირს-ლატაკებს, რაც უნდა გაგვიკვირდეს, მისი კარი ყოველთვის ღია იყო მშვირთა და უპოვართოვის, იქ ყველას უმასპინძლდებოდნენ.

იმთავითვე ცნობილი იყო ნიკოლოზ მეორისა და, განსაკუთრებით, დედოფალ ალექსანდრას ლტოლვა სპირიტუალური სენსების, ოკულტიზმისა და სხვადასხვა ჯურის „წინასწარმეტყველებისა“ თუ „სასწაულმოქმედობის“. სწორედ ამის გამო საეჭვოდ გაივსო სამიზნეობა კარი თვალთმაქცებითა და ნაირნაირი „ჩუდაკებით“. ციმბირელი „მუჟიკი“, ეშმაკი ჭკვიანი, გაუნათლებელი, მაგრამ განსაკუთრებული შინაგანი ძალის მქონე რასპუტინი (იგი 1905 წელს გამოჩნდა ცარსკოე სელოში) სწორედ ამ ტალღას მოჰყვა და მტკიცედად დაიმკვიდრა ადგილი სასახლეში, სანამ შეთქმულებას მოუწყობდნენ და მოკლავდნენ. რასპუტინის სულიერ მოძღვრად დაყენება და შეუცვლელი იმანაც განაპირობა, რომ იგი შედარებით გვიან გაჩენილ და ჰემოფი-

გამოც მოგვინებს ზოგი რამის თქმა. სიმანოვიჩი წერს, რომ ნიკოლოზ მეორეს ძველი სამეფო კარის, დედისა და ნათესავების შეთქმულებისა ემინოდა და თავის დაცვაში, უპირატესად, ქართველებსა და თათრებს იღებდა. პირადად მას კავკასიელი თავადები იცავდნენ და მათ სიახლოვეს თავს მხნედ გრძობდა, ბუნებით ეჭვიანს, მათი ერთგულებისა სწამდა.

იმპერატორი რომ ასე ენდობოდა ქართველებს, ამის დასტურად შეგვიძლია კიდევ ერთი ცნობა მოვიხმოთ. ლიტურგი წარმომავლობის ბრწყინვალე რუსი მხატვარი მსტისლავ დობოუჟინსკი (1875-1957) მოგონებათა შესანიშნავ ნიგში გასაოცარი ფერადონებით აღწერს თავის ბავშვობის-დროინდელ, მეცხრამეტე საუკუნის მინურულს პეტერბურგს, ნევის პროსპექტს, სადაც მრავლად ირეოდნენ ნაირნაირ ფორმებში გამოწყობილი სამხედროები. ერთხელ, სიჭაბუკის ჟამს, მას დაუნახავს აქ მომავალი ნამდვილი რაინდი, რომელსაც ჯაჭვის პერანგი სცმია და წელზე კაპარჭი ჰქონია ჩამოკიდებული. მოგონებათა ავტორი იქვე შენიშნავს, რომ მამის ჯერ კიდევ არსებობდა მეფის მცველთა რაზმი, კავკასიელთა ასეული, რომელთაც უძველესი ხევესურული თორ-აბჯარი ეცვათ. უეჭველია, ეს რაზმი ქართველებისგან იქნებოდა შედგენილი. ისიც საუბრობს იმანაც, რომ დობოუჟინსკისა, გვანჯი ჩიქოვანის დარად, სამოც წელს გადაცილებულს დაუნყია თავის მოგონებათა წერა და ისიც, დაახლოებით, იმავე ეპოქას ასახავს.

ყველაზე უხვ მასალას, ამ მხრივ, ისევ სიმანოვიჩის ჩანაწერები გვანჯის. არონ სიმანოვიჩი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფის პირად დაცვაში მომსახურე ძმების, თავად ვიტგენშტეინების (ერთი მათგანი, ალექსანდრე, როგორც ვთქვით, ხშირად იხსენიება გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობში) გაცნობას. მათი მეშვეობით დაუახლოვდა დედოფლის უაღრესად გავლენიან სეფექალს, ნიკოლოზ მეორის ყოფილ საყვარელს კენია ორბელიანს, რომლის მიმართ დედოფალი ალექსანდრა განსაკუთრებულად გულმონყავდ იყო. მათი მეშვეობითვე გაიცნო მეფის პირადი დაცვის თავკაცი უჩა დადიანი და ალექს ამილახვარი, დაცვის თითქმის მთელი ოფიცრობა. უჩა დადიანმა იმავე ხანებში სიმანოვიჩი დაახლოვა ასევე დიდად გავლენიან კენიან სოფიკო თარხნიშვილთან, რომლის სიძემ, თავადმა გელოვანამ, რევოლუციის შემდეგ დაპატიმრებულ სიმანოვიჩს მეგობრული მფარველობა გაუწია, სატუსაღოდან იხსნა, სიცოცხლე შეუნარჩუნა. საქმეში კერენსკიც იყო ჩარეული.

სოფიო თარხნიშვილის სიძე უნდა იყოს სახელმწიფო სათათბიროს წევრი, დიდებულ პიროვნება, მცირე ერების ინტერესთა თავგამოდებული ქომავი კუჭიკო გელოვანი, დიდი სიბოთით და სიყვარულით მოხსენიებული გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, კაცი, ვინაც თავისი დაღუპული ბიძის, კონია შერვაშიძის ცხედრის ნასასვენებლად პეტერბურგიდან შორეულ ფრონტზე წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი სახანდო დაიღუპა ყარსში. გარდაცვლილის დიდი პატივით დაკრძალვას თბილისში ჩამოსული გვანჯი ჩიქოვანიც დასწრება.

აღსანიშნავია, რომ სიმანოვიჩს ზოგჯერ ეშლება მის მიერ ნახსენებ თუ დახასიათებულ ადამიანთა ეროვნება — დადიანსა და ამილახვარს იგი „კავკასიელ თავადებს“ უწოდებს, მეფის კარზე საკმაოდ მიღებულ თავადს, მიხილ ანდრონიკოვს, ავანტიურისტს, გერმანიის შპონად შერაქცილს, იგი სომეხად თვლის, მამინ, როცა იქვე ჩამოთვლის მის ნათესავებს — კენიან ორბელიანს, თავად შერვაშიძეს, დუმბაძეს და სხვებს. რასპუტინის ერთ-ერთი სასიძო იყო ოფიცერი სიმონ ფხაკაძე (მას კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპადაც მიიჩნევენ), რომელსაც სიმანოვიჩი აგრეთვე სომეხად ნათლავს. ეს ქორწინება არ მოხდა, ვინაიდან რასპუტინმა თავისი ჰიპნოზური ძალით იგრძნო, ფხაკაძეს იგი უნდა მოეკლა. მოგონებულმა, საქციელმამდარმა სასიძომ თვითონვე დაიჭრა თავი, ხოლო მერე მეფის ოჯახის უახლოესი ადამიანის ანა ვირუბოვას შემწეობით დედოფალთან შესხვედრა მოახერხა, ცოლდა მოინანია და მიყვარებულ იქნა. ამ ინციდენტის დროს სიმონ ფხაკაძეს ახლდნენ ძმები — ნესტორ და საშა ეპისთავები.

მზხარ კვიტიციანი
გარძელება შემდეგ ნომერში

ცხოვრება ბვანჯი ჩიქოვანისა

მოვიშველიებთ.

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, ძირითადად, მოთხრობილია რევოლუციამდელი, პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციის პერიოდისა და სამოქალაქო ომის დროინდელი ამბები; იგი საგანგებოდ აღნიშნავს რუსეთის იმპერიის ისეთ საკვანძო და საბედისწერო მომენტს, როგორც იყო რასპუტინის მკვლელობა, ნახსენებია არაერთი მამინდელი ისტორიული პიროვნება. ამდენად, ზედმეტი არ იქნება, აქ მოვიხმოთ რასპუტინის პირადი მდივნის არონ სიმანოვიჩის მოგონებათა ძალზე მიმზიდველად, გონებამახვილურად დანერვილი და მრავალი საინტერესო ფაქტის შემცველი ნიგნი „**რასპუტინი და ებრაელები**“, სადაც დაახლოებით იგივე ეპოქაა დახატული და ამასთანავე მრავლად არიან მოხსენიებული ქართველები, კონკრეტული პიროვნებანი. მათ შორის, იმპერატორის კარზე დიდად გავლენიანი, ნიკოლოზის უსაყვარლესი ადამიანი, მეფის დაცვის უფროსი, ბრწყინვალედ აღზრდილი, სიმამაცით გამოჩენილი თავადი უჩა დადიანი, რომელთან ერთადაც გვანჯი ჩიქოვანს პირველ მსოფლიო ომში უხდებოდა ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე.

ისტორიულ თემებზე მომუშავე ზოგი თანამედროვე ავტორი არონ სიმანოვიჩს „**მაკედონსა**“ და „**აფერისტს**“ უწოდებს. ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. მსგავსი შეფასებები ძველი, სტანდარტული აზროვნების ნარჩენებია. აშკარად ჩანს, სხენებული ნიგნის ავტორი მარჯვე, მოხერხებულნი, გონიერი კაცი იყო. კიევში მცხოვრები დახელოვნებული ოქრომჭედელი დიდ ჩინოვნიკებს, გავლენიან პიროვნებებს, მათ ცოლებს იაფად, ხელსაყრელ ფასებში სთავაზობდა ძვირფას ნივთებს; ასე დაიმსახურა ამ ხალხის კეთილგანწყობა და მალე პეტერბურგის არისტოკრატულ საზოგადოებაში, თვით სამეფო კარისკენ გაიკვალა გზა, ყველაისათვის მეტად საჭირო ადამიანი გახდა. ასეთი წარმატების მოპოვება ებრაელი კაცის მიერ მამინდელ რუსეთში მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო. სიმანოვიჩს გახსნილი ჰქონდა კარტისა და სხვა აზარტულ თამაშობათა სახლები, სადაც თავს იყრიდნენ ფულიანი და გავლენიანი პიროვნებები. ამ დროს დაუახლოვდა არონ სიმანოვიჩი მეფის ოჯახში დიდად მიღებულ გრიშკა რასპუტინს. რასპუტინის გაუთავებელ ღრეობებსა და ორგიებს დიდძალი თანხა ესაჭიროებოდა, რასაც მომჭირნე დედოფალი ეწინააღმდეგებოდა და ეს როლი არონ სიმანოვიჩმა იტვირთა, საამისოდ მდიდარ ებრაელ ვაჭრებს იყენებდა.

ლით დაავადებულ უფლისწულს, ტახტის მემკვიდრეს, ეფექტურად მკურნალობდა, ხშირ სისხლისდენას უჩერებდა, რის გამოც დედოფალს მფარველად, წმინდანად მიაჩნდა და თითქმის ყველა მის სურვილს ასრულებინებდა უნებისყოფო მეუღლეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ — უბრალო წარმოშობის, მაგრამ ნიჭიერმა, მოქნილმა და ალლოიანმა ებრაელმა კაცმა არონ სიმანოვიჩმა მკვეთრად გამოხატული სიმამიტიზმის პირობებში შესძლო სამეფო კარს დაახლოვებოდა და მძლავრი ზემოქმედებაც მოეხდინა სახელმწიფოებრივი საქმეების მდინარეებზე. იყო ისეთი პერიოდიც, როცა ყოველი მინისტრის დანიშვნასა თუ გადაყენებას ყოვლისშემძლე რასპუტინი მას უთანხმებდა. ზედმეტად რომ არ გათამამებულიყო და სიმანოვიჩის ნებას დაჰყოლოდა, რასპუტინი ასე იოლად არ გახდებოდა თავად ფელიქს იუსიპოვისა და სხვა შეთქმულთა მსხვერპლი. ეს კი უწინასწარმეტყველა „**წმინდანმა ეშმაკმა**“ მეფის ოჯახს — მე თუ დიდგვაროვანთა შეთქმულებას შევერდები, თქვენც მალე დაგვაცვენ, ჩემს სიკვდილს ტახტის დაკარგვა და რომანოვთა დინასტიის დაღუპვა მოჰყვებაო.

საკმაოდ ზუსტად, მიუკერძოებლად ახასიათებს სიმანოვიჩი რუსეთის ბლომ იმპერატორის წინააღმდეგობრივ, ორჭოფულ პიროვნებას. ჩვენ უნდა ვერწმუნოთ მას, რომ ნიკოლოზ მეორე პიროვნულად არავითარი „სისხლიანი“ და ტირანი არ ყოფილა. პირიქით, ზედმეტ ლიბერალობას იჩენდა, როგორც მონარქი, მეტისმეტად რბილი იყო, მძლავრ გავლენაში ჰყავდა მოქცეული დედოფალს, რაც დიდგვაროვან რუს პატრიოტებს ალიზინებდა. თვით სტალინის უთქვამს ადრევე, ჩვენი ხელმწიფე სუსტიაო. სუსტი და უნიათო რომ არ ყოფილიყო, ისა და მისი ამფსონები ამდენჯერ და თანაც ასე დაუბრკოლებლად ვერ გამოიქცეოდნენ შორეული გადასახლებებიდან.

ამავე დროს მემუარების ავტორი ნიკოლოზს მეტისმეტად უნდო, გადაუწყვეტელ, ეჭვიან კაცად წარმოსახავს. იმონებს კიდევაც ხელმწიფის ნათქვამს — ადამიანს მხოლოდ ორ წლამდე შეიძლება ენდო, სამისა ილო უკვე მოტყუებას იწყებსო.

მეფის ჩინოვნიკები გუბერნიებად დაყოფილ ჩვენს სამშობლოში თუმცადა დიდმეცრობელურ, საძრახ პოლიტიკას ახორციელებდნენ, მაგრამ თავად ნიკოლოზ მეორეს ქართველების მიმართ საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა, რაზედაც სამეფო კარზე ქართველთა დიდი სიმრავლე მეტყველებდა. ამის

“ანისტორია” – ისტორიის არცოდნა

მის საუბარს რომ უსმენდა, ბატონ კონსტანტინეს სახეზე დიმილი არ მოსცილებია.

– ბრძენი ილია ჭავჭავაძე, როცა პეტერ-ბურგიდან მოდიოდა, – უამბობდა ბატონ კონსტანტინეს მოხვევ, – პირველად ჩემს უმცროს ბიძას – ჯღუნა ხუდელისძეს შეახვედრეს თურმე. ხევში მას ხელელთჯღუნას ეძახდნენ და დღესაც ჩვენს მოხვევებში რომელი გამგელსაც გინდა შეეკითხო, ვინ იყო ლელთჯღუნაო, გეტყვიან ხელელთჯღუნა იყო. რუსულად განსწავლულსა და განათლებულს, ჩვენს სასიკადალო მწერალს, ალბათ ეუხერხულეობდა სიტყვები – ხელელთი ან ხელელთი ეხმარა, სახელი ჯღუნაც, მართალია ხევში გავრცელებული სახელი იყო, მაგრამ ძალზე უხეშად გამოითქმებოდა, ჩემი უშიშრო ბიძა ხევის ისტორიისა და კავკასიური ენების კარგი მცოდნე ყოფილა, ამიტომ ვწუხვარ, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი ისტორიას არ შემორჩა და მხოლოდ ლელთჯღუნად იცნობენ...

– ბატონო ვანო, არ მიწყინოთ, – უთხრა ბატონმა კონსტანტინემ, – მთავარი ის არის, რომ დიდმა ილიამ სამშობლოს გასაჭირი მოხვევ კაცის პირით ილაპარაკა, ეს კი საამაყო თქვენთვის, იქნება თავისუფლებაც სწორედ მაშინ იწინასწარმეტყველა?..

გვარი “ჭავჭავაძე” მთიდან ბარში ჩამოსული გვარია და ითვლება, რომ იგი წარმოდგება სიტყვიდან “ჭიჭავაძე”. ჭავჭავაძე, ჭიჭავაძე – პატარა მოყვითალო-მომწვანო ჩიტა ბელურასნაირთა რიგისა.

“ჭიჭავაძე” უძველესი კოლხური სიტყვაა და იგი შემორჩენილია უღელტეხილის სახელწოდებაში – “აჭავჭავაძე (აჭავჭავაძისა)”, რომელიც მდებარეობს სოხუმის რაიონში, ბზიფის ქედზე.

ბგერა “ჭ”-ს ინტერსიური ხმარება კოლხური ბუნების მახასიათებელია, ქართული ენა მასქიმაღურად გაუბრძნის ამ ბგერის გამოყენებას და ცვილის ბგერას “წ”-ით. მაგ. მეგრული “ჭვიმა” – ქართულად – წვიმა, ჭვეთი – წვეთი, ჭვა – წვა, ჭარა – წერა... თავად ფორმა ჭავჭავაძე-ჭავაძე მოგვაგონებს მეგრულ გვარებს როგო-ვა, კვაში-ლა-ვა, ფარულა-ვა, ჭავჭავა-ვა.

ჩვენ არ ვამტიკვებთ, რომ ილია ჭავჭავაძე

მეგრელი იყო, თუმცა იგი საქართველოს ყველა კუთხის ღვიძლი შვილია, მაგრამ მისი გვარის საერთო-კოლხური ბუნება უმჭკველია.

ი. ჭავჭავაძის გვარის წარმოშობა დაგვიტრიალებს ღირიული გადახვევისათვის, როდესაც “მგზავრის წერილებს” გადაიკითხავთ და მოუსმენთ ილია ჭავჭავაძისა და ლელთჯღუნის საუბარს სამშობლოს და ლელთჯღუნაზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საუბარი ორი კოლხი კაცის ელურტულია (როგორც ამას სულხან-საბა იტყვოდა).

მახლიები, მალხები

სახელწოდება “მახლიები, მალხები” უძველესი წარმოშობისაა.

ტერმინოლოგიის კრებულში (58-ე პუნქტი) წერია: “საერთოდ გვიანდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის უცხო არ არის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხალხების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს: საბერძნეთის აქაიები და შვიზღვისპირეთის აქაიები; ლობიის მახლიები და მეოტოლის მახლიები”.

“გარკვეულ ინტერესს იწვევს II საუკუნის ცნობილი მეცნიერის კლავდიუს პტოლემეის “გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში” კოლხეთის შიდა რაიონებში რამდენიმე დასახლებული პუნქტის – “ქალაქისა და სოფლის” დასახელება” – წერს ნიკო ლომოური.

მეხლეოსის (mexleos) ლოკალიზაციის საკითხს შეეხო კ. მიულერი და შემდეგ პერმანი. ორივე მეცნიერი ამ პუნქტის სახელს უკავშირებს სვიდას “ლექსიკონში” და ლუციანესთან მოხსენიებულ მახლიების ტომს (maxlies) რომელიც, თავის მხრივ, გაიგივებულია ფსევდო-არიანეს მახლონებთან, არიანეს მაკრონებთან და პტოლემეოსის მანრალეებთან პერმანი პირდაპირაც ამბობს, რომ პუნქტი მეხლეოსის და მახლიების ტომი უნდა ვეძოთ აწინდელ სამეგრელოში, მაგრამ მეხლეოსის დაკავშირება მახლიებთან (მახელონ-მაკრონ-მანრალეებთან) ფაქტიურად არაფერს იძლევა მისი ლოკალიზაციისთვის.

ჩვენ ყურადღება მივაქცევთ იმ გარე-

მოებას, რომ გვიანდელ ბიზანტიელ მწერალთან პროკოფი კესარიელთან რამდენიმე იხსენიება ლაზეთის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული და უხე-მოსავლიანი ოლქი, მოხერესის (მოხეროსის) მხარე შეეფერება დღევანდელ ქვემო იმერეთს და შეიცავდა ტერიტორიას ცხენისწყალსა და რიონს შორის, როგორც გადმოგვცემს ს. ყაუხჩიშვილი, 1930 წელს აქ ძიება უწარმოებია ნ. ბერძენიშვილს; ამ ძიების შედეგად გამორკვეულია, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე, ოღონდ რიონის მარცხენა მხარეს ეხლაც მუხური ეწოდება, ხოლო დაბლაგომის აღმოსავლეთით, მისგან 4-5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მუხურის ციხე.

მუხურის ციხესთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ პროკოფი კესარიელი, გარდა მოხირისის მხარისა, ასახელებს ამავე სახელწოდებით ქალაქსაც, როგორც ლაზიკის ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქს. შესაძლოა, რომ იგივე ქალაქის დასახელებული იმპერატორ იუსტინიანეს ერთ-ერთ ნოველაში, ოღონდ დამახინჯებული ფორმით – სმურისიოს (Moupicios).

რამდენადაც ქალაქი მოხერისის VI საუკუნეში წარმოადგენდა ლაზეთის ერთ-ერთ უმსხვილეს ქალაქთაგანს, ბუნებრივად ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო ადრე წარმოიქმნა. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ნაყოფალოთ პტოლემეოსის “გეოგრაფიის” ერთ-ერთ “ხელნაწერში ეს პუნქტი აღნიშნულია ფორმით “მეხრესოს” (Mexpeccos).

“მუხური” მეგრულად “მხარეს” ნიშნავს. ეს სახელწოდება, გარდა სამტრედიის, საკამოდაა გავრცელებული ისტორიულ სამეგრელოში – მუხური (მუხურისა) სოფელი ტყიბულის რაიონში; მუხური – სოფლები ჩხოროწყურს, სენაკის, გალის რაიონებში; მუხურჩა – სოფელი მარტვილის რაიონში, მუხურმა – მთა სოხუმის რაიონში, ბზიფის ქედზე. ამდენად, სამეგრელოს რომელი მუხური (მხარე) იყო მახლიების/მაღლების ადგილსამყოფელი, არც ისე იოლი დასადგენია, თუმცა შედარებით სარწმუნო მაინც პროკოპი კესარიელის მოხიროსია (ქვემო იმერეთი).

სახელწოდება “მალხები” რომ “მახლიები”-დან მომდინარეობს, ამაში ეჭვი

არ უნდა აღგვიძრას იმ ფაქტმა, რომ პარმონიული წყვილი “ხლ” (მა-ხლ-იები) ქართულში იცვლის რიგითობას, ანუ იკითხება როგორც “ლხ” (მა-ლხ-იები). მისი ანალოგიური მაგალითი გაგვაჩნია მეგრულთა თვითსახელწოდების გადაქართულებაში, ანუ მეგრულ-ბერძნული პარმონიული წყვილი “რგ” (მა-რგ-ალი) ქართულში ინაცვლებს “გრ” (მე-გრ-ელი). ასევე ბერძნული “მეხლესოსი” ქართულად შეიძლება გამოითქვას როგორც “მელხი” ასევე “მალხი”-დან “მელხი”-ს წარმოქმნა ჩვეულია ქართულისათვის, ვინაიდან ხმოვნები “ა” და “ე” ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს (მარგალი – მეგრელი).

მელხებთან დაკავშირებით გაცვანი ამონაწერს ა. ნახლაიძის სტატიიდან “ქისტები”, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ “ლაშარის გორის” 1996 წლის 8 ნოემბრის ნომერში: “ღალღალი და ნოხნი, აზი და მელხი, იბერიულ-კავკასიური მოდემის ნახური განსტოების ეთნოგრაფიული ჯგუფებია, რომლებსაც საერთო სახელი – ვეინახი აერთიანებს.

ვეინახი ჩვენს უახლოესი ნათესავი ენითაც და სისხლითაც ვეინახი ქართველ მთიელს წააგავს: წეს-ჩვეულებით, ზნე-ხასიათით, სახლ-კარით, ჯამ-ჭურჭლით, ჩაცმ-დასურვით, ცეკვა-სიმღერით, სასმელ-საჭმელით, უფროს-უმცროსობით, მტერ-მოყვარებით... ვეინახი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, ცენტრალურ კავკასიაში, თერგის შენაკადებთან: არმხის, ასას, არღუნისა და შარო არღუნის ხეობებში.

ჩვენ ამ ჩვენს უახლოეს ნათესავს და კარის მეზობელს ჯერ დურბუკს, მერე დლიდვს და ქისტს ვეძახდით. ამჟამად ჩვენს ქისტს ჰქვია და ამდენად უფრო მართებული იქნება ქისტის სამშობლოს ქისტეთი ვუწოდოთ... (ქისტეთში გავრცელებულია ლეგენდა, რომ პირველი ქისტის დედა ქართველი ქალი იყო)... პირველი ქისტის დედის ქართველობა სამუდამოდ ხალხური გადმოცემის დონეზე რჩება, მაგრამ ქართველთა პირველი დედოფალი რომ ქისტის ქალი იყო, ამის შესახებ “ქართლის ცხოვრებაში” გვიწერია...”

ჯუნი (ჯუმბერ) ბაკულია (გაგრძელება იქნება)

მუ ჭყოლა რე, თქვანი დუცუ, ზუბდილელო?

ცხოვრებაში ბევრი ცუდი ენახე და ბოლოს იმასაც მოგესწარი, რომ თქვენ სამეგრელოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას მოითხოვო!

დარბაზებში სხდომებს აღარ სჯერდებით და სოციალურ ქსელებში ავრცელებთ ვიდეომასალებს, სადაც თქვენი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ამსახველი კადრები ურწმუნო თომასაც კი აიძულდეს თქვას: **თურმე მებრუდი საპარტიზმო არამბობს!**

მართალია მცირე ჯგუფი ხართ, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად ორგანიზებული და, ალბათ, კარგად დაფინანსებულიც.

გახეთ “ასავად-დასავადის” ფურცლებიდან შეგირვე ამ ჯგუფის არსებობა და გადაწყვეტილი გამოვთქვა ჩემი შემოთქვა და შიში... შიში ათასწლოვანი კოლხური სამყაროს, ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის წგრევისა, ჩვენი ჯიშის, ვილაგის გადაგვარებისა... ვიცი, სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” ალაგმავს ამ ვაიპატრიოტებს, მაგრამ, ვფიქრობ, არამეგრელის კაცის სიტყვაც საჭიროა.

ლაებობა მეგრელთა არაქართველობაზე, სამეგრელოს დამოუკიდებლობაზე არახალია. ისიც კარგადაა ცნობილი, თუ რა განაჩენი გამოუტანა ისტორიამ მეგრული სეპარატიზმის მქადაგებელთ.

საქართველოს არასდროს აკლდა უცხო ქვეყნების არაკეთილმოსურნე პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ცდილობენ მეგრელები თუ სვანები, აჭარელები თუ იმერელები, ფშაველები თუ ხევსურები, კახელები თუ ქართლები მცირე ერებად გამოაცხადონ, რომელთაც ჩაგრავს და გენოციდს უწყობს ქართველები (ვინდა ეს მადგალაი “ქართველები”?)!

გახეობა “განმანათლებლებელმა” (№38, ოქტომბერი, 2013 წელი) გამოაქვეყნა ალექსანდრ დუგინის საუბარი საქართველოს შესახებ “ინტერნეტპორტალთან”, სადაც

ეს ვაუბატონი აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფო ჩაგრავს, გენოციდს უწყობს მცირე ერებს. მართალია, ჩვენი დახმარებით ორი ერი გადაჩნა და საფრთხე აღარ ემუქრებათ, მაგრამ ამგვარ დახმარებას სხვა ერებიც საჭიროებენ. **“სიტუაცია ანალოგიური სცენარით განვითარდება – ამ გზას დაადგება ზუგდიდი, ჯავახეთი, აჭარა. ეს იმის მაწიყებელია, რომ საქმე გვაქვს კონფლიქტთან, რომელიც თავისით ვერ გადაწყდება, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავერიოთ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, შეგვეძლოს ამ პრობლემური ერებისათვის ხელის მოხვევა და სხვისთვის გადაცემა. ოღონდ ამერიკას არა, მაგალითად ირანს ან თურქეთს, რომლებიც სწორ რეგიონალურ პოლიტიკას ატარებენ”.**

მახლას, ალექსანდრ დუგინ! რა ზრუნვა, რა კეთილშობილება და თავგანწირვა პრობლემური ერების მიმართ... არა და, ვიდაც აგრესორი ქართველები საშუალებას არ გაძლავებს ხელი მოხვიოთ თურქეთს და გადასცემა აჭარელები, მეგრელები, გურულები... ირანს კი ჯავახები, კახელები, ქართლები...

ბატონო იური დვინჯილია! თქვენ აცხადებთ, რომ მიმდინარეობს მეგრელთა ასიმილაცია, რომ მეგრელები პრობლემური ერი... **გამოსავალი მხოლოდ ერთია: პოლიტიკური სტატუსის მოპოვება!**

ბატონო ედემ იზორია! თქვენ აცხადებთ, რომ მეგრელები პრობლემური ერი... **გამოსავალი მხოლოდ ერთია: “სამეგრელო ავტონომიური რესპუბლიკა უნდა გახდეს”!**

ბატონო კონსტანტინე თოდუა! თქვენი ცნობიერება ქართული ყოფილა, რადგან სკოლაში ქართულად სწავლობდით. გსურთ გქონდეთ მეგრული ცნობიერება, ამიტომ **სამეგრელომ ეროვნული დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს!**

და ა.შ. და ა.შ. ჩამონათვალი შორს წავიყვანს. ეს მაგალითებიც საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: ზუგდიდში დუგინისნაირთა კანტორის მიერ განხორციელებული სეპარატიზმების ჯგუფი არსებობს, რომელსაც გულისხმიერი ზრუნვა და მეფა-ლეჟურება სჭირდება, თორემ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დუგინმა მართლაც მოხვიოს ხელი და ირანის ან თურქეთის გზას გაუყვოს!

რა გსურთ, დრმად პატივცემულო **“ერის მამებო”?** რატომ გაუბით სუსლოვის, სოროსის, ბუშის, ბუქინისკის, დუგინისა და სხვათა და სხვათა მიერ დაგებული მახეში? რატომ უხიარეთ მათ მიერ შავი მაგიით დამზადებულ სამსალს?

ნუთუ ასე ძალიან გსურთ **“კეთილსმყოფელმა”** ხელი მოგხვიოთ და ირანს ან თურქეთს საპატრონოდ გადაგცეს?

აი, აქ კი ნამდვილად გაგიჭრებათ ქართული ცნობიერება, ბატონო კოტე თოდუა!

რა აზრია თქვენს თავს, ჩემო კარგო ზუგდიდელებო? ვინ დაგწყველიათ ასე უღმერთოდ, ვინ გაგწირათ და დაგავალიათ არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ საქართველოს ყველა კუთხის, მთელი საქართველოს დაღუპვა?

ნუთუ დაგავიწყდათ სამეგრელოს კუთხის დიდი შვილების თედო სახოკიას, სერგი მაკალათიას, პავლე ინგოროყვას, დუტუ მეგრელის, ტერენტი გრანელის, შალვა და-დაიანის, ლეო ქიანელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლავრენტი ბერიას, ილია ვეკუას და სხვათა და სხვათა მრავალთა მოღვაწეობა, რომელთა ცნობიერება ქართული იყო და ქართული სახელმწიფოს სიძლიერეს ემსახურებოდა.

თქვენ კი, ზუგდიდელო მეგობრებო, რა დემონი გაგაწვირათ, რა სეპარატიზმის ვირუსმა დაგასნულათ?

იბახით, მეგრულ ენას სკოლაში არ

ასწავლიან... მერწმუნეთ, 80-90-იან წლებში ცნობილი პედაგოგები (მაგალითად ზ. ცუცკერიძე, რომლის გვარიც გამახსენდა) პრესაში აქვეყნებდნენ წერილებს, სადაც ასახულებდნენ მეგრული და სვანური ენების საფუძვლების სკოლაში სწავლების აუცილებლობას. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. მხოლოდ საჭიროა განათლების სამინისტროს მეგვერთა კეთილი ნება.

განათლების მინისტრთა კახა ლომია მეგრელი იყო, მაგრამ მეგრული ენის სწავლება კი არა, მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა განათლების სისტემა საერთოდ მოშალა!

ლაპარაკობთ მეგრელების ჩაგვრაზე და ალბათ გულისხმობთ მხედრობის თარეშს სამეგრელოს ტერიტორიაზე. მერწმუნეთ, საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ქალაქში, თითქმის ყველა სოფელში მხედრობის ყაჩაღობა, აუპატიურება, ხოცვა... განა თვით სამეგრელოში მეგრელები არ იყვნენ მხედრობის წევრები? განა ეს ხალხი არ ხვდებოდა ტაშ-ფანდურით მეგრელთა მოქმედებას და იოსელიანს?

მაპატიეთ ეს საყვედურები, მაგრამ არამეგრეთ ქართველის დადანიშნულება ყველა სივლახეში არ შეიძლება.

გთხოვთ, სანამ გვიან არ არის, თავი დაანებოთ სამეგრელოს პოლიტიკურ სტატუსზე, სამეგრელოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე თუ ავტონომიაზე, მეგრელთა არაქართველობაზე ბოლოითი იდეების პროპაგანდას.

დაე, მარად გახსოვდეთ და აღგაფრთოვანებდეთ ქართველი ერის საყვარელი შვილების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას უკვდავი მოწოდება: **საბარტიშო უპირველეს ყოვლისა!**

თენგიზ კუბლაშვილი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი

უცნობი აკუტაგავა

მას “ლიტერატურის ბოსნ” უწოდებენ, იმდენად ღრმა და მიუწვდომელი შემოქმედია. ძველმორეალისტიკური საზღვარი მწერლის პირად არქონდა, რომელიც, ამას წინათ, მისმა ახლობლებმა აღმოაჩინეს.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები:

აკუტაგავა რიუნოსკე, მეტსახელად – ჩიოლო შუჯინ; დაბადების თარიღი – 1 მარტი, 1892, ტოკიო გარდაცვალების თარიღი – 24 ივლისი, 1927, იქვე) — იაპონელი მწერალი, ახალი იაპონური ლიტერატურის კლასიკოსი. კომპოზიტორ იასუხი აკუტაგავას და დრამატურგ ხიროსი აკუტაგავას მამა. ცნობილია თავისი მოთხრობებითა და ნოველებით. 1935 წელს იაპონიაში დაწესდა აკუტაგავას სახელობის ლიტერატურული პრემია.

ადრეული წლები

აკუტაგავა რიუნოსკე დაიბადა 1892 წლის 1 მარტს ტოკიოში, რძის გამყიდველის ნიხარა ტოსიოს ღარიბ ოჯახში (მამამისი ფელდაქალაქის გარეუბანში საძოვრებსაც ფლობდა). იაპონური კალენდრის მიხედვით, მისი დაბადება დაემთხვა დრაკონის თვეს, დრაკონის დღეს, დრაკონის საათს. ამიტომ მას სახელად რიუნოსკე დაარქვეს, რადგან ამ სახელის პირველი იეროგლიფი “რიუ” აღნიშნავს “დრაკონს”. დაბადებისას რიუნოსკეს დედა 33 წლის იყო, ხოლო მამა 42 წლისა, რაც ძველი იაპონური ტრადიციის მიხედვით ცუდ ნიშნად ითვლებოდა. ცრურწმენის მიხედვით, ბავშვს მძიმე ცხოვრება და ტრაგიკული ბედი ელოდა. მშობლებმა გადაწყვიტეს ბავშვი გასაზრდელად უშვილო ბიძასთან (დედის ძმა) აკუტაგავა მიტიასთან გაეზავნათ, რომლის გვარიც მიიღო შემდგომ მწერალმა.

რიუნოსკეს დაბადებამდე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა მისი უფროსი და. დედა ამ უბედურებას თავის თავს აბრალებდა და ფსიქიურად დაავადდებოდა. დედის შეშლილობა მთელი ცხოვრება გასდევდა მწერალს. მწერლის ბავშვობა და ყრმობა თითქოს ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, იგი კარგად სწავლობდა და უცხო ენებსაც ადვილად ითვისებდა, მაგრამ არავინ იცოდა, რომ რიუნოსკე ბავშვობიდან პალეოცინაზიებითა და უძილობით იტანჯებოდა. ეს კი მომავალ მწერალს დედისგან ერგო მემკვიდრეობით, რომელსაც თვითმკვლელობის მცდელობებიც ჰქონდა.

რიუნოსკეს ბიძა, აკუტაგავა მიტიასი ტოკიოს პრეფექტურის სამსახურებელ განყოფილების უფროსად მუშაობდა და საკმაოდ შეძლებულ ადამიანად ითვლებოდა. რიუნოსკეს მან მისცა არამარტო საკუთარი გვარი, არამედ, შესანიშნავი განათლება და აღზრდა. მიტიასის ოჯახი ძველ ინტელიგენტურ ოჯახს განეკუთვნებოდა, მისი წინაპრები იყვნენ ედოს პერიოდის (ტოკუგავას სამხედრო-ფეოდალური დიქტატურა, XVII-XIX ს.) მწერლები, მეცნიერები და ინახავდა ძველ კულტურულ ტრადიციებს.

1910 წელს რიუნოსკემ წარჩინებით დაამთავრა ტოკიოს მუნიციპალური საშუალო სკოლა, და იმავე წელს, ინგლისური ენისა და ლიტერატურის შესწავლის მიზნით ჩააბარა პირველ კოლეჯში, ლიტერატურულ განყოფილებაზე. 1913 წელს აკუტაგავამ დაამთავრა კოლეჯი და ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი გახდა.

სალექციო პროცესმა იმედები გაუტეხა ახალგაზრდა ლიტერატორს, ლექციები უნივერსიტეტში სწავლას. მისი ძირითადი საქმიანობა გახდა ჟურნალ “სინსიტე”-ს (ახალი დინება) გამოცემა. ჟურნალის გარემო აკუტაგავამ და მისმა მეგობრებმა – ახალგაზრდა ლიტერატორებმა კუმე

და კიკუტიმ – ჩამოაყალიბეს გაერთიანება “სინსიტე” (ახალი ხელოვნების სკოლა). ჯგუფის წევრებმა თავი გამოაცხადეს „ანტიანტიკურალისტებად“, და ნატურალისტური სკოლის კრიტიკით გამოდიოდნენ. ჯგუფი აღიარებდა ლიტერატურის როგორც უპირველეს ყოვლისა ხელოვნების ფასეულობას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფორმას, მკვეთრად გამოხატულ ფაბულას, ლიტერატურულ გამონათქვამს, მოთხროვდნენ მასალის მრავალფეროვნებას და ფერადოვნებას, აფასებდნენ ენის გამოყენების ხელოვნებით მხარეს.

ლიტერატურული კარიერა

ჟურნალი „სინსიტე“ სამჯერ დაიხურა და სამჯერვე აღადგინეს იმავე სახელწოდებით. მესამეჯერ აღდგენისას, პირველივე ნომერში, რომელიც 1914 წლის 14 თებერვალს გამოვიდა, მითხველმა დაინახა მისთვის ახალი ლიტერატურული სახელი აკუტაგავა, ანტონო ფრანსის ნოველის „ბალთაზარის“ თარგმანზე. ხოლო მისის ნომერში ჟურნალ „სინსიტე“-ში დაიბეჭდა მისი პირველი ნოველა „მოსუცი“. შემდეგ დაიბეჭდა მისი ნოველები: „რასიომონის კარიბჭე“ (1915 წ.), „ცხვირი“ (1916 წ.).

საზოგადოებამ შეამჩნია ლიტერატურის სამყაროში ახალი ტალანტის დაბადება. „რასიომონის კარიბჭის“ (რომლის გმირების თვალთ აკუტაგავა სულ სხვადასხვანაირად აღიქვამს სამყაროს) გარდა ამ პერიოდში დაწერა აკუტაგავამ პირველი ლექსები – „ჰაიკუს კრებული“.

მისი ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია “შვიდი საშურა”, რომელიც ადამიანური კრთომის უგულვებელყოფისა და საკუთარი პრინციპებისადმი ერთგულების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამ ნაწარმოების სიუჟეტზეა აკუტაგავის არაჩვეულებრივი ამერიკული ვესტერნი “შესანიშნავი შვიდეული”, რომელსაც არაერთი ოსკარი თუ სხვა კინოჯილდო აქვს მიღებული.

აკუტაგავამ მსოფლიო აღიარება ღრმა ფსიქოლოგიზმისა და რაფინირებული სტილის მეშვეობით მოიპოვა. აკუტაგავა რიუნოსკე ცოცხალი სინამდვილისგან განდგომილი ხელოვანი იყო. ბევრი ნოველის სიუჟეტი მან აიღო ან თანამედროვე ცხოვრებიდან, არამედ შუა საუკუნის ლეგენდებიდან და ლიტერატურული ძეგლებიდან, რათა გამოეჯერებინა, მისი აზრით, უხამს, უგვანო რეალობას და მთელი ყურადღება გადაეტანა აბსტრაქტული ადამიანის რთული, ხშირად არაბუნებრივი სულიერი პროცესების წარმოსახვაზე „უსიერ ტყეში“, 1922; „ამბავი სიკეთის გადახდისა“, 1922).

აკუტაგავა რიუნოსკეს ნაწარმოებებს ლირიზმით შეხვედრული სეფსისისა და პესიმისმის დადი ახის, რასაც განაპირობებდა ბურჟუაზიული ყოფასთან მისი ეთიკური მოთხოვნების შეუთავსებლობა. აქედან – მწერლის საგანგებო ინტერესი რელიგიის მიმართ („ნანკინელი ქრისტი“, „ო-გინი“, „პიტიანები“, 1927). აქედან გამომდინარეობს აკუტაგავა რიუნოსკეს დაბეჭდილებული ესთეტიზმი; ხელოვნებისა და ცხოვრების დაპირისპირებისას იგი უპირატესობას ყოველთვის ხელოვნებას ანიჭებს („ცხოვრება იდიოტისა“, 1927; „წამებანი ჯოჯოხეთისა“, 1918).

სიცოცხლის ბოლო წლები

ბოლო წლებში გაუმთავრდა ფსიქიკური გადაბეჭვა, თვითმკვლელობაზე ფიქრი აკვირება, რაც ახახულია მის უკანასკნელ მოთხრობებში „კბილებიანი ბორბლები“, „ცხოვრება იდიოტისა“, „წერილები ძველ მეგობარს“. 1927 წლის აპრილის დასაწყისში აკუტაგავამ დაამთავრა „კბილებიანი ბორბლები“, სადაც პროტოკოლური სიზუსტით აღწერა ტოკიოში

ერთერთი უკანასკნელი მგზავრობისას თავისი განცდები, ადამიანებთან შეხვედრები და საუბრები. მოთხრობა მომწამვლელი ნაღველითაა სავსე. ცხადი იყო, რომ ცხოვრება უკვე მობეზრებოდა – ვერ ურიგდებოდა არამარტო სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც. ტრაგიკული თხრობა ასეთი სიტყვებით მთავრდება: „წერის ძალა აღარა მაქვს. ასეთ სულიერ ყოფაში ცხოვრება – აუწერელი ტანჯვა! ნუთუ ვერ მოიძებნება ვინმე, ვინც წენარად მიმასხრობდა მინარეს?“

აკუტაგავა ადრეული წლებიდან ცდილობდა ამ ცხოვრებიდან წასვლას. ახალგაზრდა ასაკში ექსპერიმენტი ჩაიტარა საკუთარ თავზე: თოკი კისერზე მოიჭირა და წამხომით აკვირდებოდა, თუ რამდენი წამით გახანგრძლივდებოდა სიკვდილი. ათი წამის შემდეგ, როდესაც ცნობიერებამ დაბნედა დაიწყო, გააჩერა ექსპერიმენტი – თვითმკვლელობის ეს მეთოდი მწერალს არ მოეწონა. პოპულარობას ადრე მიადწია, ცხოვრების სხვა გარეგანი გამოვლინებებიც საკმაოდ კეთილსაიმედოდ წარიმართა: მტკიცე ოჯახი, ლიტერატურული წარმატება, მკითხველთა სიყვარული. თუმცა თვითონ აკუტაგავა მიიჩნევდა, რომ მისი არსებობა ჯოჯოხეთში ერთ-ერთი მთავარი თემა. მწერალს მთელი ცხოვრება ემინოდა სიგიჟის (დედის სულიერი აშლილობის გამო) და შემოქმედებითი უნაყოფობის. ბოლო წლებში შიში გადაიზარდა აკვირებულ იდეად, ნერვულმა დაძაბვამ გამოიწვია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, უძილობა, გადაღლა.

დაიხ, იგი ნამდვილი გიჟი გახლდათ – სიყვარულისა და სიძულვილის გიჟი, რადგან სიცოცხლე ზუსტად იმდენად უყვარდა, რამდენადაც ეზიზღებოდა. გარდაუვალი გახლდათ, რომ ერთ-ერთ განცდას მეორე უნდა გადაეწონა და მალე გადაწონა კიდევ – 1927 წლის 24 ივლისს, გამთენიისას, აკუტაგავა რიუნოსკემ ვერონალის სასიკვდილო დოზა მიიღო და, სრულ სიმშვიდეში, სიცოცხლე “ღამაზი” თვითმკვლელობით დაასრულა. იგი მხოლოდ 35 წლის იყო.

უაზრო სიცოცხლისადმი ზიზღით გამსჭვალული მისი ნაწარმოებები დადავებენ, რომ აკუტაგავას სხვაგვარად სიკვდილი არ შეეძლო.

სიკვდილის წინ მან მოასწრო დაწერა „ცხოვრება იდიოტისა“, რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალად იქცა. მოთხრობა ადამიანის მარტოობის, დროისა და ისტორიის მიმართ მისი უძღურების აღსარებაა. აქ ისევ ჩნდება დეკადენსისა და მოდერნიზმის აშკარა მოტივები – გვაშების აღწერა, ბავშვობაზე და შეშლილ დედაზე უსისხარულო მოგონებები, აშკარად იგრძნობა ავტორის შიში საზოგადოებისა და, ზოგადად, სიცოცხლის მიმართ. „კალმინი ხელი უთრთოდა. ნერწყვმა უმწყო ბავშვივით დაუწყო დენა. გონება ნათელი ჰქონდა მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ,

დაბინებას კი უამრავი ვერონალით ახერხებდა. და გონებასაც სულ ნახევარი ან ერთი საათით თუ უბრუნდებოდა ჩვეული ძალა. აუწყველ და ამოუხაპავ სიბნელეში მიიზღაზნებოდა დრო. თითქოს წვრილ მახვილზე იყო დაყრდნობილი, რომელსაც ადესილი პირი გადასტეხოდა“ („ცხოვრება იდიოტისა“, (1927 წლის ივნისი). მოთხრობა თავის მეგობარს დაუტოვა და სამუდამოდ დაემშვიდობა შემდეგი წარწერით: „აღლათ არც ერთი თვითმკვლეელი ბოლომდე დარწმუნებული არ არის იმ მოტივში, რის გამოც თავს იკლავს“.

თვითმკვლელობამდე იგი რამდენიმე დღის განმავლობაში საწერი მაგიდიდან არ ამდგარა. 23 ივლისსაც მისი კაბინეტის ფანჯრებში გვიანობამდე სინათლე ენთო – იგი მუშაობდა ხელნაწერზე, ხოლო დილით მკვდარი იპოვეს. გადმოცემის მიხედვით, თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე უთქვამს შემდეგი ბოლო ფრაზები: „ბუნება მადელეებს ისე როგორც არასდროს, რადგან სამყაროს ვუყურებ უკანასკნელად“.

მწერლის თვითმკვლელობამ საგონებელში ჩააგდო მეგობრები და ნაცნობები, თუმცა, ეს ამბავი მათთვის არ იყო მოულოდნელი. მისი თვითმკვლელობის ჭეშმარიტი მიზეზი მაინც ვერაინ გაიგო. მწერალი ბოლო დროს უმიზეზო დეპრესიაში ჩავარდა, რომელსაც იგი „ბუნდოვან შფოთს“ უწოდებდა. მიზეზი შესაძლოა ვეძებოთ პიროვნულ ხასიათში, დედის სულიერი აშლილობის მტკივნეულ მოგონებებში, შემოქმედებითი და პიროვნული ტემპერამენტის თავისებურებებში. პირად საუბრებში იგი არაერთხელ ახსენებდა, რომ ხვდებოდა საკუთარ ორეულს – თეატრში, ქუჩაში და ა.შ. (არა და, როგორ ჰგავს ტერენტი გრანელის ცხოვრება და მოღვაწეობა ამ ყოველივეს).

გ. ჩხარტიშვილი თავის წიგნში „მწერალი და თვითმკვლელობა“ გადმოგვცემს აკუტაგავას თვითმკვლელობის „კულტუროლოგიურ“ ვერსიას. მის მიხედვით, მან თავი მოიკლა იმის გამო, რომ იგი იაპონურ კულტურას და ლიტერატურას მეორეხარისხოვნად თვლიდა, რომელიც ვერასოდეს ავიდოდა მსოფლიო დონემდე. აკუტაგავას ცხოვრების გზა გამსჭვალული იყო ავადმყოფურ-მემკვიდრეობითი რევლუქსიით, რომელიც ხელს უშლიდა შეფასებინა საკუთარი ნაწარმოებების რეალური მნიშვნელობა.

1935 წელს მისი მეგობრის, მწერალ კიკუტი კანოს მიერ დაწესებული იქნა აკუტაგავა რიუნოსკეს სახელობის პრემია, რომელსაც წელიწადში ერთხელ გადასცემენ იაპონიის საუკეთესო ახალგაზრდა ლიტერატორებს. აკუტაგავა რიუნოსკეს სახელობის პრემიის დევიზია “წმინდა ლიტერატურისათვის”, მაშინ როცა ნაოკის სახელობის პრემიის დევიზია – “ლიტერატურა მასებისათვის”.

სპ. ივზ.



საკორტულო კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანიას "თემურ, თუ "ჩასარცხი" ფეხბურთელები გყავს, ნაკრების სათავეში რატომ რჩები?!"

ზუსტად ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ზურაბ ხიზანიშვილმა საქართველოს ნაკრებიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა: "არ მინდა, ეს გადაწყვეტილება ვინმემ ბრძოლის ველიდან გაქცევად ჩამითვალოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნაკრებში ჩემი ადგილი აღარ არის..."

– დიდი ხანია, ასე არაფერს გავუბრაზებოვარ... ვცდილობ ხოლმე, ადამიანის ნებისმიერ საქციელს გამართლება მოვუძებნო, მაგრამ ვეღარ მოვიპოვე იმდენი ტყუილი, რაც თემურ ქეცბაიამ შურნალისტებთან შეხვედრისას ილაპარაკა. მერე რა, რომ მხოლოდ ამისუღლაში ვიყავი გვარი ასხენა? ფაქტობრივად, ერთიანად "ჩაგვრეცხა" ყველა ფეხბურთელი... ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ინტერვიუსგან თავს იმიტომ ვიკავებდი, რომ არ მინდოდა "ცალკარას" თამაში. გითხარით კიდევ – კარგი იქნება, თუ ამ თემაზე მწვრთნელის, ფეხბურთელებისა და შურნალისტების ერთობლივი შეკრებისას ვილაპარაკებთ-მეთქი, მაგრამ... ქეცბაიამ ისეთი რადიკალი იკადრა, აღარაფერს მოვერდებო... იმის თქმა, ნაკრები შექმნეს ადგილზე იყო დამარხული და მე ამოვთხარეო, არ არის ნაკრების ფეხბურთელების შეურაცხყოფა? მინდა, ფეხბურთის ფედერაციის ვთხოვო: თუ თემურ ქეცბაია თვითონ არ წავა, გაათავისუფლონ! ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ეროვნულ გუნდში დაბრუნება მინდა. მიუხედავად იმისა, რომ ქეცბაიასგან წამოვედი და არა ნაკრებიდან! თუ მიმიწვევენ, ისევე ვითამაშებ...

– ყველაზე მეტად თემურ ქეცბაიას რომელმა ფრაზამ გააღვიძანა?

– როცა იცრუა, თითქოს ალეკო ამისუღლაში წავიდა და უთხრა, რომ ბიზნესკლასით უნდა ფრენა, დაიღალა და ა.შ. ალეკო არ არის ისეთი კაცი, თავის მართლება დაიწყო, მაგრამ ჩემი მეგობარია და მაქვს უფლება, მისი და სხვა ფეხბურთელების სახელგანთქკ ვილაპარაკო!

– თუმცა ამისუღლაში გინაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ქეცბაიამ მასზე ილაპარაკა, ნაკრებში ვეღარ ითამაშებ...

– იმიტომ, რომ ქეცბაიას ნათქვამისა და ჭორაობის შემდეგ, ალექსანდრე ამისუღლაში გინადგურებულა... სინამდვილეში, მან მართლაც დაურეკა ნაკრების მწვრთნელს, ოლონდ, ბიზნესკლასი არაფერ

შუაშია, ალეკოსგან ვიცი, რაც უთხრა: ვხვდები, რომ ნაკრების ახალგაზრდევებს, მალე 32 წლის ვხვდები და ჩემთვისაც და ნაკრებისთვისაც უკეთესი იქნება, თუ აღარ გამომიძახებო... თემურმა არ დაუთმო – ნაკრებში კიდევ ორი წელი ვრჩები, მხოლოდ ოფიციალურ მატჩებში გამოვიძახებ, თანაც, ესპანეთთან თამაში ახლოვდება. მეც იგივე ვურჩიე – თუ წასვლა გადაწყვეტილი გაქვს, ჯობს, ესპანეთთან თამაშის შემდეგ წახვიდე, სალაპარაკო რომ არ გახდეს-მეთქი. შუთანხმდნენ კიდევ, რომ ამისუღლაში ვიყავი წინააღმდეგ ითამაშებდა, მაგრამ... ვის ექნება ჩასვლის სურვილი, თუ გაიგებს, რომ მწვრთნელი მის ზურგს უკან იგინება და ჭორაობს?!

– რაში სჭირდება მწვრთნელს ნაკრების ფეხბურთელებზე "ჭორაობა"?

– ქეცბაია ბუნებრივად ადამიანია. სულ ეხვეწება, რომ ყველა მის წინააღმდეგ არის განწყობილი და არავის ენდობა – არც ფეხბურთელებს, არც შურნალისტებს და გულშემატკივრებს... ზის პირდაპირ თემურს და "ცალკარას" გვეუბნება, რადგან სტუდიაში არც ერთი ისეთი ფეხბურთელი არა ვართ, ვინც ეტყვის სიმართლეს, რომელიც მას ასე ძალიან აღიზიანებს!

– ნაკრების მწვრთნელი ვარჯიშზეც ისეთი ემოციურია, როგორც შურნალისტებთან იყო?

– თემური ერთხელ მაინც თუ დაინტერესდა, რატომ არ ჩამოიხსნა ანანიძე? ქეცბაიას ზოგიერთი ფეხბურთელი კი უთმეს გინებას, მაგრამ ყველა ხომ არ მოუთმენს? როცა ფეხბურთელი იმაზე ფიქრობს, მომავალ ჩამოვლავს ქეცბაიამ დედა არ შემაგინოსო, როგორი განწყობით უნდა ითამაშოს! ასეთ ვითარებაში ნურავის გაუკვირდება, თუ რომელიმე მოთამაშე მოიხიხუხებს, ტრავმა მაქვს და ვერ ჩამოვალო...

– ახლა მაინც იტყვი გულახდილად, რატომ წახვედი ნაკრებიდან?

– ვიმეორებ, ნაკრებიდან არ წავსულვარ, ქეცბაიას გავერდი! მწვრთნელთან პრობლემა პირველად 2012 წლის ზაფხულში, ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩის წინ შემიქმნა. ბილეთი უკვე აღებული მქონდა და ნაკრებში წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ თამაშამდე სამი-ოთხი დღით ადრე "ბეშიქთაშთან" ამხანაგური მატჩისას მეტ-

ქის ფეხბურთელმა ტერფში ძლიერად ჩამარტყა და ფეხი ისე გამისივდა, "შლოანცს" ძლიერ ვიცვამდი. იმ დროს, "ქისისერის" მწვრთნელი ჯერ კიდევ შოთა არველაძე იყო და მას ვუთხარი, ფეხი ძალიან მტკიავს, არადა, ნაკრებში "შლოანცებში" ხომ არ წავალ-მეთქი? ყინული დაიდევ, 24 საათი დავიცადებო, თუ არ დაცხრა, ქეცბას დავურეთო და ავუხსნათ, გერმანელი ხომ არ არის, გაგვიგებო... მეორე დღეს ფეხი უარესად მქონდა, თუმცა, ქეცბაია ვერაფრით დავაჯერე: თუ გაგიგებ, რომ რამდენიმე დღის მერე კლუბში ითამაშე, ნაკრებში აღარასდროს გამოვიძახებო! ანუ, რომც მომჯობინდე, კლუბში მაინც არ უნდა ითამაშო! ძალიან გავუბრაზდი – ამდენი წელია მიცნობ და ოდესმე მომიტყუებინარ? გიხსნი, რომ ფეხი მტკიავს და თუ არ გამომიძახებ, შენი საქმეა. თუ არ გჯერა, ახლავე წამოვალ და თავად დარწმუნდები-მეთქი. თუ ვერ ითამაშებ, ტყუილად რისთვის უნდა ჩამოხვიდეო... თითქოს დამიჯერა, მაგრამ მაგრამ მერე ტელევიზიით გამოვიდა და მართალია, გვარი არ უთქვამს, მაგრამ აშკარად ჩემს გასაგონად თქვა, ვისაც ნაკრებში ჩამოსვლა არ უნდა, კარგად იყოსო...

მერე? ესპანეთთან მატჩის წინ კაპიტნის სამკლავური ისე ჩამომარტყა, სიტყვაც არ უთქვამს... არადა, შეეძლო უბრალოდ ეთქვა: ხიზან, გადაწყვიტე, ამიერიდან კაპიტნად სხვა აირჩიო და გავერდი. კაპიტანი რომ აღარ ვიყავი, ტელევიზიით შევიტყვე-მეყვინა, მაგრამ მაინც დავრჩი – ნაკრებში სამკლავურისთვის ხომ არ ვითამაშებდი? კაპიტნობაზეც ბევრი მატჩი ჩამიტარებია და არც შემდეგ წავსულვარ... კონფლიქტი ბელორუსიაში თამაშის შემდეგ, გასახველშიც მოგვივიდა. ვიკორიოვს რომ უთხრა სტუდიაში, ეგ სიტყვები შენგან მოდის, თუ "იმათთან", მაშინ მეც იგივე მითხრა. ბელორუსეთთან გოლი ჩემი შეცდომის გამო გავუშეო და ნამატჩევე ვაღიარე კიდევ – ჩემი ბრალია, შეეცდი, თუ გინდათ, ნუღარ გამომიძახებთ-მეთქი... მაგრამ თემურს არ მოეწონა, მგზავრობით უკმაყოფილება რომ გამოეთქვი. არადა, მართლა საშინლად დავიღალეო – ფინეთთან ბელორუსის რომელიმე ქალაქში ჩავფრინდით, იქიდან მინსკამდე კი ავტობუსით ვიმგზავრეთ და გზაში თითქმის ათი საათი გავატარეთ...

ხომ შეიძლება, ცოტა კომფორტული მარშრუტი დავგვემთავრებო და მაშინ მითხრა: თბილისიდან გირეკავენ და გეუბნებიან, ფეხბურთელები ააბუნტეო... ისე გავბრაზდი, კინაღამ ხელით შევეხე, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელების ხათრით შევიკავე თავი... არ ვიცი, მისი აზრით ვინ "მირეკავდა", მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ფიქრობს და ამბობს ამას? ასეთი ხასიათი აქვს, თუ განსხვავებული აზრი გამოთქვი, მტრად მიანჩნისარ...

– ბოლო სანაკრებო მატჩებში გულშემატკივარი ზურაბ ხიზანიშვილსაც ხშირად აკრიტიკებდა... როგორ ფიქრობ, ქეცბაიას გადაწყვეტილებებზე ამანაც ხომ არ იმოქმედებდა?

– ვინც მიცნობს, იცის, რომ სამართლიან კრიტიკას არ გავუბრაზდებ და შეცდომებსაც ყოველთვის ვაღიარებ. ასე მოვიქციე ბელორუსიასა და ფინეთთან მატჩების შემდეგაც... საფრანგეთში გამართულ შეხვედრას რაც შეეხება, იმას თუ უწოდებენ "შეცდომა", ერთი-ერთზე რამდენიმე მომენტზე და მეტყვიან, ამის გამო ნაკრებში აღარ უნდა იყო, კი ბატონო...

– თემურ ქეცბაიას თქმით, ფინეთთან მატჩის წინ ნაკრების ავტობუსში არ ახვედით. ასე იყო?

– საფრანგეთთან თბილისური მატჩის წინ თემურის საქციელი ძალიან მესიამოვნა. მითხრა, ყვეთელი ბარათი გაქვს, საფრანგეთთან მეორე გაფრთხილებაც რომ მიიღო, ფინეთთან აუცილებლად მოსაგებ თამაშში დავგაკლდები, ახლა ამიტომ არ გათამაშებო... საფრანგეთთან 0:0-ის შემდეგ კი დაპირება აღარც გასსვენებია. ის მაინც რომ ეთქვა, შემაღებლობა არ შეეცვალა და ასე იმიტომ მოვიქცეო, გავუგებდი, მაგრამ არც დამლაპარაკებია... როცა ვნახე, რომ არაფრად ჩამაგლო და მიმანიშნა, წავიღო, რაღა უნდა გამეკეთებინა? წამოვედი... თუმცა, როცა ქეცბაია წავა, თუ გამომიძახებენ, ჩამოვალ და ვითამაშებ!

– ჰო, მაგრამ ნაკრების მწვრთნელს ფედერაციასთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს...


– ფედერაციას კიდევ ერთხელ ვთხოვ: ჩამოაშორონ ეს კაცი ნაკრებს! ჰკითხეთ ნაკრების ფეხბურთელებს და თუ უმრავლესობა იმავეს არ გეტყვი, ხმას აღარ ამოვიღებ!

რ. შველიძე

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საშუალო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



პოლ უოქერის ბარდაცვალების შემდეგ საიუველირო სალონის ბამყიდველმა საილუმო ბაამხილა

მას შემდეგ, რაც ცნობილი მსახიობის, პოლ უოქერის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ ინფორმაცია მიულ მსოფლიოში გავრცელდა, ამერიკის ერთ-ერთი საიუველირო სალონის ბამყიდველმა გასცა საილუმო, რომელსაც მსახიობის თხოვნით, 2004 წლიდან ინახავდა.

საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ წელს, სსენებულ სალონში, საიორწინო ბეჭდის შესაძენად კაილ და ქრისტინ აპკემები შევიდნენ. მათ იქ საუქრის შესაძენად შესული პოლ უოქერი დახვდათ. გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდებს ეს ძალიან გაუხარდათ და მსახიობს ავტორაფიც გამოართვეს. პოლმა შეამჩნია, რომ წვეთი სალონიდან შენაძენის გარეშე გავიდა, რადგან იმ ბეჭდის შესაძენად, რომელიც საპატარძლოს მოეწონა, თანხა არ ეყო.

სალამოს აპკემების სახლში ტელეფონმა დარეკა. მათ საიუ-

ველირო სალონიდან აცნობეს, რომ აუცილებლად უნდა მისულიყვნენ, რადგან მათ სახლზე ნივთი იყო დატოვებული. წვეთისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ის, რომ 9.000 დოლარად ღირებული ბეჭედი, უცხო ადამიანმა მათთვის შეიძინა. ბამყიდველმა, მისივე თხოვნით, ნივთის შემძენის ვინაობა არ გაამხილა. ახალგაზრდებმა ბეჭედი და ქვითარი წამოიღეს.

ამ ისტორიამ პრესაში მხოლოდ ახლახანს, მსახიობის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გამოჟონა. როგორც ჩანს, ბამყიდველი აქამდე პატიოსნად უნახავდა უოქერის საილუმლოს, თუმცა მისი დაღუპვის შემდეგ, გადაწყვიტა, გაემხილა ის, რათა ხალხს სცოდნოდა, როგორი კეთილი იყო "ფორსაჯის" ვარსკვლავი.

"არ ღირს ვიდარდოთ პოლიუდის ვარსკვლავის დაკარგვის გამო, უნდა ვიდარდ-



გაზეთი "ილორის" განცხადება

გაზეთში შემოვიდა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში მცხოვრებ ბატონ გურამ კორკელიას შეკითხვა, რომელსაც აინტერესებს, თუ რატომ არ გამოქვეყნდა მისი წერილი "ცოტა რამ კოლხებზე და კოლხურ დამწერლობაზე". გუბასუხებით ბატონ გურამს: ჩვენ არაერთგზის გამოგვიქვეყნებია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გაზეთთან თანამშრომლობის მსურველებმა ორი თაბახის ფურცელზე შეგი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გადაუბზავონ ელექტროფოსტით (ან ლახურის დისკზე გადატანილი), კომპიუტერზე "აკადნუსური" შრიფტით წინასწარ აწყობილი. მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებს სარედაქციო კოლეგია ამ მასალების გამოქვეყნების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნული პირობების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხელნაწერები არ განიხილება და, საერთო წესის თანახმად, იგი ავტორებს აღარ უბრუნდება.

ზამთრის სასკოლო არდალაბები 24 დეკემბერს და 19 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება

საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში ზამთრის არდალაბები 24 დეკემბერს დაიწყება და 19 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ეს ბავშვებისთვის სასიხარულო მომენტია.

"მე მათ ვუსურვებ მხიარულ და ნაყოფიერ არდალაბებს", – აღნიშნა განათლების მინისტრმა.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, ამავე პერიოდში დაიხვეწებენ თბილისში საბავშვო ბაღებიც.



ISSN 1987-8966 ilori. Includes barcode and contact information for the newspaper.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6. Includes address and phone number.

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია. Includes editor's name and contact details.

გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე. Includes website information.